შალვა დადიანი
როლანდ ქორქია

სტალინი ქიათურაში

ნარკვევი



სახელგამი * პოლიგლიფერავფურის სექტორი
1940



1904 1905 წლების პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ატარებენ გრძოლას მენშევიზმის მხილებისათვის და მუშათა მასების თავის მხარეზე გადაყვანისათვის.

რ.ს.-დ.მ.პ. კავკასიის კავშირის კომიტეტი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით აწყობს დისკუსიას მენშევიკებთან მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში...

მთელი რიგი დისკუსიები ეწყობა სხვადასხვა დროს ჰიათურაში, მარგანეცის თითქმის ყველა მაღაროში (პერევისა, შუქრუთი და სხვ.)...

ჰიათურის დისკუსიებში მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს. სოციალ-დემოკრატ მუშათა უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო.

ამხანაგი სტალინი ჰიათურაში აარსებს პარტიის ბოლშევიკურ სამაზრო კომიტეტს, მოწინავე აქტივისტ მუშებისაგან გაგოჰყოფს პროპაგანდისტთა ჯგუფს, აგრეთვე ამზადებს აქტივის სპეციალურ ჯგუფს ჰიათურის რაიონის გლეხთა შორის სამუშაოდ.

ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ნ ა ნ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

წინათ და ახლა

ალაპ ჭიათურაში ამაყად დგას კოხტა ობელისკი სწორედ იმ ალაგას, სადაც ამ 35 წლის წინათ ერთ დიდ მიტინგზე კობამ გამანადგურებელი პასუხი გასცა მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტებს, ფედერალისტებს და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლებს და თავისი მტკიცე ხელით საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გადარკინა ბოლშევიკურ პარტიაში ადგილობრივი მაღაროელები და მტვირთავები.

* * *

უახლოვდებით ჭიათურას—და მშვენიერი სურათი გადაგეშლებათ თვალწინ: ჩახრამულ მთა-გორაკებზე გაშენებულია სოფლები, შეფუთნული მცენარეთა მწვანე ხალისით და გარშემორტყმული ვენახებით, სიმინდის ყანებით და სხვა სახნავ-სათესი მამულებით. ამ გორაკებს რომ დაუკვირდებით და გვერდიდან შეხედავთ, შეამჩნევთ მრავლად რაღაც გამოქვაბულებს, ანუ უკეთ მაღაროებს. ეს მაღაროები კი ხშირად გამოთხრილია თვით სახლებსა და წყაროებს ქვეშ, საიდანაც ყოველწლიურად გამოაქვთ მილიონ ტონობით შავი ქვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელთ სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის სასახელო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია,

ჭიათურისა და მაღაროების ხედი სრულიად შეიცვალა. სადღა არის ის ლაფიანი ქუჩები, გაუვალი ტალახი, რკინიგზის პლატფორმებზე ურმებით და ჩალვადრის ცხენებით მოტანილი შავი ქვისაგან რომ იყო დამდგარი.

აღარსად დგას ძველებურად რკინიგზასთან შავი ქვის უზარმაზარი ზვინები, თუ არ ვიანგარიშებთ სოფ. რგანიდან ჭიათურაში საჰაერო გზით ჩამოტანილ მადანს, რომელიც სრულებით განრიდებულია ქალაქსა და რკინიგზის სადგურს.

ახლა თქვენ მოიცლით სპეტაკი თეთრი ტანისამოსით მთელს ჭიათურას, და არსად შავი მტვერი არ მოგეცხებათ: ქუჩები მოასფალტებული, კოპწია ახალი სახლები, დასუფთავებული, ყვავილის ნაპირა ბაღ-ყვავილნარით შემოსილი.

მაგრამ რაც მთავარია ჭიათურისა და მისი რაიონისათვის, ეს ის არის, რომ 1934 წლიდან დღემდე უდიდესად გაიზარდა მარგანეცის მრეწველობა, მოხდა მისი რეკონსტრუქცია, დიდად ამაღლდა მუშათა კულტ-საყოფაცხოვრებო პირობები.

შავი ქვის წარმოება გადაიქცა საქართველოს მრეწველობის დარგთა შორის წამყვან დარგად, და 5-წლიანი გეგმა, მაგ. 1936 წელს, 3 წელიწადსა და 10 თვეში შესრულდა.

წარმოების რეკონსტრუქციამ, მექანიზმების განვითარებამ და მუშათა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების ძირფესვიანმა გაუმჯობესებამ მოამზადა იმის პირობები, რომ მარგანეცის მრეწველობაშიც მძლავრად შეჭრილიყო სტახანოვური მოძრაობა.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა დაარწია სტახანოვური აკვანი.

ახლა უკვე მთელს კავშირში იცნობენ ორდენოსანს, მუშა მნგრეველს, ამჟამად საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. ვასილ სამხარაძეს, რომელსაც შემდეგში მოჰყვა მთელი წყება სახელოვანი სტახანოველებისა.

ამგვარად, ისტორიას ჩაბარდა ძველი, პრიმიტიული „ტექნიკა“ — საჭაპანო ტრანსპორტი, მარგანეცის გაუხვების პრიმიტიული „მექანიზმი“, და მათი ადგილი დაიჭირა ახალმა საშუალებებმა: ესაა ელმავლები, სატვირთი მანქანები, ელბურღები, საჰაერო გზები და ბაგირები, ახალი გამაუხვებელი ქარხნები და პირველხარისხოვანი გზატკეცილები. ამჟამად მთლიანად მექანიზირებულია ზედაპირის ტრანსპორტი.

ჩატარებულმა ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ და მექანიზაციის



ჭიათურა. ობელისკი, აღმართული იმ ადგილზე, სადაც ამხანაგმა სტალინმა 1905 წლის ივლისში მრავალრიცხოვან მიტინგზე გამანადგურებელი პასუხი გასცა მენშევიკებს, ანარქისტებს და ფედერალისტებს.

გაშლა-განვითარებამ კი, ცხადია, უზრუნველჰყო მექანიზირებული გამოღების შეუდარებელი ზრდა.

შავი ქვის აღმოჩენამდე

ხოლო რას წარმოადგენდა ეს, ახლა აყვავებული, მხარე ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ? იქ, სადაც ამჟამად ირგვლივ სოფლებში კოლექტივიზებულია სოფლის მეურნეობის 79% და კოლმეურნეობები მტკიცედ და ურყევად მიდიან შეძლებული და საამური ცხოვრების გზით სტალინური საკოლმეურნეო წესდების გატარების საფუძველზე, იქ წინათ ასეთი სურათი გადაგვეშლებოდა თვალწინ.

„... შავი ქვის აღმოჩენამდე და მისი წარმოების განვითარებამდე მთელს საქართველოში არ მოიძებნებოდა ისეთი ყველაფრით ღარიბი კუთხეო — სწერენ გაზ. „ივერია"-ში 1886 წ.—როგორც ეს რაიონი იყოო. მთელი ეს არე მიმოჭრილია მთებით, კლდეებით და გორაკებით. ხალხი ცხოვრობდა ამ მთების კალთებზე, ე. ი. ხნავდნენ კლდეებს და ,სთესდნენ სიმინდს მხოლოდ თავიანთ სამყოფს. როგორი ძნელია კლდეების ხვნა და ნათესების მოვლა, ეს ყველასათვის ცხადია. ზოგ ადგილას კავით რომ ვერ უდგებიან, მიწას ბარავენ ანდა სთოხნიან. დაქანებულ ადგილებს და მათთან ერთად ნათესებს ნიაღვრები და წვიმები რეცხავენ და ანადგურებენ, ამიტომ ირგვლივ სიღარიბე იყო გამეფებული და ადგილობრივ მცხოვრებთ წლის სარჩო არა ჰყოფნიდათ".

საქართველოს დიდი პოეტი, ჩვენი კლასიკოსი აკაკი წერეთელი ერთ თავის წერილში ამბობს, რომ ეს რაიონი ნაძრახ ადგილად ითვლებოდა, მეტსახელად „საქაჯეთი" ეწოდებოდაო, და მოჰყავს ერთი მაგალითი:

სოფლებში მოგზაურობის დროს ჭიათურაში მცხოვრებ ერთ გლეხს შევხვდი. გლეხი ახალგაზრდა იყო, კარგი თვალ-ტანადი და ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი, მაგრამ ეს ბუნებით უხვად დაჯილდოვებული ადამიანი მეტად დაღონებული და დადარდიანებული იყო შემდეგი გარემოებით: უცოლო იყო, იქვე მეორე მაზრაში—გასათხოვარი გოგო შეჰყვარებოდა და ქალს კი ცოლად არ აძლევდნენ მშობლები: „ქალი რომ საქაჯეთში არ გავათხოვოთ, ქვეყანაზე ვინა მამაკაცი აღარ მოიპოვებაო".

მაგრამ ასეთ „საქაჯეთში" მცხოვრები მშრომელი მოსახლეობა, რაღა თქმა უნდა, არა მარტო მწირი ბუნების გამო იყო გატანჯული, არამედ მასაც ახსოვს ბატონყმობის მძიმე მუხრუჭი და მება-

ტონეებში თავისებური „იოანე მრისხანეები“ და „ავ-გიორგები“.

ვინ იცის, რამდენ გლეხს დაბნელებია დღე ავზნიანი მებატონის მიერ და რამდენი ოჯახი განადგურებულა მათი მიმძლავრებისაგან. სოფ. რგანში არის დარჩენილი ამბავი, რომ მებატონე ივანე აბაშიძემ გლეხ კავთელაძეს ერთი ხაჭაპურის შეუმისათვის მოზვერი წაართვა და დაჰკლა სასადილოდ, და ვინ იცის კიდევ რამდენი ასეთი უსამართლობა სწვევიათ გლეხებს თავგასულ მებატონეთაგან სულ უბრალო მიზეზის გამო.

ჩვენ განგებ არ მოგვყავს ბატონყმობის დროს მებატონეთა სხვა სისასტიკენი. ამ უბრალო მაგალითითაც გასაგებია, თუ რაგორი თავგასულები იყვნენ მებატონეები.

მოგეხსენებათ, რომ ვერც ბატონყმობის გადავარდნამ უშველა გლეხს, რადგან მიწა სამფლობელოდ მაინც ბატონს დარჩა, და გლეხი იძულებული იყო კვლავ მებატონეზე ყოფილიყო დამოკიდებული. გლეხს არ ჰქონდა არავითარი საკუთრება, უკეთუ თავს არ გამოისყიდდა, და ეს ეგრეთწოდებული თავის დახსნაც მამასისხლად უჯღებოდა. ზოგი სულ ვერ ახერხებდა ამას და მთელი თავისი სიცოცხლე „დროებით ვალდებულად“ რჩებოდა და ბატონს „ნადელს“ აძლევდა. გლეხს უფლება არ ჰქონდა ტყით ესარგებლნა, უბრალო ფიჩხსაც ვერ გამოიტანდა ნებადაურთველად, უფლება არა ჰქონდა მდინარეში თევზის ჭერისა, ნადირობისა და სხვ. კანონი მას აუცილებლად ღასჯიდა, რადგანაც ტყეც, მდინარეც, სანადირო აღგილებიც მებატონის ხელში იყო. ჭიათურის რაიონში სომ შავი ქვაც თვით თავდახსნილ გლეხს არ ეკუთვნოდა. მიწის ზედაპირი შეიძლება გლეხის ყოფილიყო, ზედ ყანაც ჰქონოდა დათესილი და სხვ. მაგრამ ბუნების წიაღში მდებარე მადანი კი მებატონის კუთვნილებას შეადგენდა, რადგან კანონი იყო ასეთი. კანონი ძლერის მხარეზე იყო, გლეხს უფლებები ყველგან შეკვეცილი ჰქონდა, ამიტომაც იგი დაბეჩავებული, ქედდადრეკილი და ბედს შერიგებული იყო...

იყვნენ კიდევ სხვა ჯურის მებატონეები. ისინი ვითომ თავს დაახსნევინებდნენ თავიანთ ყმებს, მაგრამ ხშირად ამას არ გაფორმებდნენ ოფიციალურად: შინაურ თამასუქს ჩამოართმევდნენ და ფულის შეტანის ვადებს დაუნიშნავდნენ. გლეხს თუნდა ვადაზე მოეტანა, მებატონე დაემალებოდა და შემდეგ „უშარებდა“— ფული ვადაზე არ მოგიტანიაო, და ორმაგ ფასს სთხოვდა თავის დასახსნელად. გლეხსაც რა უნდა ექნა? რის ვაი-ვაგლახით, შემშილით და აუტანელი შრომით შეაგროვებდა საჭირო თანხას.



ქალ. ჭიათურა შავი ქვის წარმოების დაწყების პირველ ხანებში

შაგრამ მიწას ჩაიბარებდა და შეუდგებოდა თუ არა შავი ქვის დამუშავებას, ახლა უკვე „კანონიერი“ გზით დააცხრებოდა გლეხს მებატონე და ახლა მადანს წაართმევდა.

ამგვარად ყოველი მხრით შეზღუდული იყო გლეხი და ისიც იძულებული იყო ქირით ემუშავნა სადმე მაღაროში ან მტვირთავად, მაგრამ თუ როგორი იყო ეს მუშაობა, ამას ქვევით დავინახავთ.

ვინ აღმოაჩინა შავი ქვა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საქმე მალე მეექვსე ათწლეულს მიაღწევს მას შემდეგ, რაც პირველი წერაქვი მოხვდა შავი ქვის ფენას და პირველად შეშფოთდა აქამდე უძრავი ბუნების სიმდიდრე. მანამდე კი ცნობილია, რომ 1858 წელს მკვლევარმა აბიხმა ასწერა ჭიათურის რაიონის ორი შავქვიანი ბეგი: „ბასილის კლდის პირი“ და „შაგაურის ბოლო“ და დაამტკიცა შავი ქვის არსებობა საქართველოში, ხოლო პრაქტიკულად მისი აღმოჩენა მიეწერება ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ს.

შავი ქვა მან აღმოაჩინა.

რა არის ეს შავი ქვა?

მას საქართველოში ხალხი წინათ ქვა-გუნდას ეძახდა, მაგრამ ეს სახელი როგორღაც მივიწყდა. უბრალო, სასაუბრო ენით, ამჟამად ყველა შავ ქვას ეძახის, მეცნიერულად კი სპეციალისტები მას მ ა ნ გ ა ნ უ მ ს უწოდებენ.

მანგანუმი კი, როგორც ვიცით, არის ლითონი, რომელიც თავისი სახით, შემადგენლობით, აგებულობით და სპეციფიკური წონით წაგავს რკინას, თავისი ბრწყინვალე ფერით კი — ანთიმონიუმს.

მანგანუმი იხმარება, როგორც შემადგენელი ნაწილი ზოგიერთი შენადნობისა, რომელიც უაღრესად საჭიროა რკინის, ფოლადის, შუშისა და სხვა ქიმიურ მრეწველობაში; ამიტომ იგი მეტად პრაქტიკული ლითონია. მაგ., ფოლადის მრეწველობა შავი ქვის ერთერთი ძირითადი მომხმარებელია, რაც სჩანს იქიდან, რომ მთელს მსოფლიოში ნაწარმოებ შავი ქვის თითქმის 90% ხმარდება ფოლადის წარმოებას.

ვიკმაროთ ეს ზოგადი ცნობები და ნელა გამოვუდგებით ამ მადნის დაწვრილებით, სპეციალურ განხილვას, ოღონდ ეს კი მოვიხსენიოთ, რომ ჭიათურის შავი ქვის ხარისხი მეტად მაღალია,

უმეტეს შემთხვევაში არ მოითხოვს გაუხვებას, შეიცავს ლითონის 48—50%-ს და სანგრევებში გადარჩევისას უკვე წარმოადგენს ხაბაზრო მადანს.

ახლა დავუბრუნდეთ აკაკი წერეთელს. აღმოაჩინა მან შავი ქვა, გაიგო ამ ლითონის პრაქტიკული გამოსადეგობა და შეუდგა კიდეც საქმის მოგვარებას. თავის ნათესავ ქალს გამოართვა იჯარით შავქვიანი ადგილი, რამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია ირგვლივ, იშოვა ფულიანი კაცი და მუშაობას შეუდგა, მაგრამ...

პოეტს ვერ წაუვიდა საქმე წაღმართად, რადგანაც შავი ქვის პატრონმა, ვისგანაც იჯარა ჰქონდა აღებული, პირი შეუშალა და თავისი დოვლათი იჯარითვე სხვას გადასცა. თვითონ პოეტი კი — ეს პირველი პიონერი შავი ქვის დამუშავებისა საქართველოში— დიდი ნაზარალევი დარჩა და, ასე გასინჯეთ, დაცინვის საგანიც კი გახდა. პოეტი მოგვითხრობს: ჩემს შესახებ ერთმა ინტელიგენტმა გასაკიცხავი სტატიაც დაბეჭდა და სხვათა შორის ამბობდა: „პოეტი ვარსკვლავს უნდა შეჰიკჰიკებდეს, რა მისი საქმე იყო, რომ აკაკი წერეთელი მადნეულის საქმეს გამოეკიდაო“.

ოქრი სიტყვა შავი ქვის მრეწველობაზე

აკაკის შემდეგ ჰიათურის ჰორიზონტზე გაჩნდა უცხოეთის ფირმის წარმომადგენელი, ვინმე ბარონ შერცენფელდი. მან დაიწყო სოფელ რგანში მუშაობა. ეს იყო 70-იან წლებში. მაშინ, რასაკვირველია, ჰიათურის რკინიგზა გაყვანილი არ იყო, და მაღაროებში ამოღებული მადანი ეგრეთწოდებული დიდწიფელის გზით ზესტაფონში უნდა წაეღოთ. მადანი უნდა წაეღოთ ან ურმებით ან ჩალვადრებით. ზესტაფონში ჩასვლას თითქმის ორი დღე უნდებოდა. იმავე დროს ივანე მუხრანბატონმა სწორედ იმ ადგილებში, რომელიც აკაკის ჰქონდა იჯარით აღებული, დაიწყო მადნის გადატანა კორბოულის გზით სადგურ გომში, ქართლში. ამისათვის ორთავე მრეწველს დაქირავებული ჰყავდათ მეურმეთა და ჩალვადართა ზემდეგები ანუ თავმდგურები, და როდესაც შავმა ქვამ უცხოელთა სხვა ფირმების წარმომადგენლებიც მიიზიდა: იტალიელები, ბერძნები, გერმანელები და სხვები, მაშინ ყველა ამ ფირმების ზემდეგებს ძალიან ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი ერთიმეორესთან. საქმე ის იყო, რომ როცა მეორე ფირმა ვერ იშოვნიდა ურემს თუ ჩალვადარს, ზემდეგები დაუხვდებოდნენ ერთიმეორეს, წაართმევდნენ ურემს ან ჩალვადარს, ხშირად ახანჯლავდნენ კი-

ლეც ერთმანეთს და გაურეკავდნენ თავისაში სხვის მადანს. ეს ზემ-
დეგები იყვნენ ნაკაჩაღარი ხალხი, კუდაბზიკა აზნაურები.

უცხოელებს თანდათანობით შემოემატნენ ქართველი წვრილი
მრეწველებიც. და მათ შორის ყველაზე უფრო მარჯვე მეწარმენი:
პავლე მოსეშვილი და გედეონ ჩუბინიძე. რომელთა გამოჩენასაც
მაშინდელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის პრესა სისარულით შეხვ-
და. თვით გიორგი წერეთელიც აღტაცებული იყო მათი გამოჩე-
ნით.

„მოსეშვილისა და ჩუბინიძის მაგალითმა იმოქმედა არამც თუ
მთელი მადნებ-ს მეპატრონეებზე. იმათმა მაგალითმა ინტელიგენ-
ციის წარმომადგენლებიც კი გამოიწვია მრეწველობის ასპარეზ-
ზეო“.— შენიშნავს ამ ამბით აღტაცებული გიორგი წერეთელი, და
მართლაც. ზემოხსენებულ ქართველ მრეწველთა ალეკვეს შეემატა
ერთ დროს ლიტერატურაშიაც საკმაოდ ცნობილი და საზოგადო
მოღვაწე ნიკოლოზ ღოღობერიძე. მან თავისი კანტორის საქმე ნამ-
დვილ ევროპულ ყაიდაზე დააყენა და მოიმადლიერა როგორც
ნოქრები, მოიჯარადრეები. ისე მუშებიც, რადგან ფულს სხვებზე
მეტს აძლევდა, ყოველკვირეულად და ზუსტად უსწორებდა ანგა-
რიშს და სხვა. მას უშუალო კავშირი ჰქონდა ევროპის ბაზართან.
აგრეთვე ცნობილია, რომ მან შემოიკრიბა თავის კანტორაში ცნო-
ბილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ე. ნინოშვილი. პ. უმი-
კაშვილი. თ. სახოკია და სხვ. ცხადია. რომ ასეთი ხალხი სულ
სხვანაირად ეპყრობოდა მუშებსა და მტვირთველებს. ვიდრე უც-
ხოეთისა ან სხვა ქართველთა ფირმები. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ
მუშის ექსპლოატაცია არც ამგვარი მოპყრობით შემცირებულა,
რადგან ყოველ კაპიტალს, უცხოსა თუ შინაურს, ერთგვარი ბუ-
ნება აქვს. და მშრომელთა ექსპლოატაციას იგი არ მოიშლის. ჭია-
თურაში კი უწინარეს ყოვლისა წონაში ეგრეთწოდებული „სკოდ-
კის“ გამოკლება, წუნდება, დაკანონებული იყო მრეწველის სა-
სარგებლოდ. და ამის გამო მუშებსა და მტვირთველებს თავიანთი
გამომუშავების საფასური მუდამ აკლდებოდათ.

თვით მაღაროებში მტაცებლური მუშაობა სწარმოებდა. ჩამო-
სჭრიდნენ რომელიმე მადნიანი ნაკვეთის წინაპირს, შევიდოდნენ
რამდენიმე საჟენზე. არც გამაგრება ბიგებით. არც ქვის თაღის
ამოშენება არ იყო მაშინ მიღებული. როდესაც გამოიტანდნენ,
ვთქვათ, ორი კვირის საყოფ მადანს, მიატოვებდნენ და სჭრიდ-
ნენ ახალ ნაკვეთს. ამგვარად იღუპებოდა მთელი ნაკვეთები. ჩა-
მონგრეულის იქით რჩებოდა უზარმაზარი განძი მადნისა. იყვნენ

ისეთი მრეწველებიც, რომელნიც ამაგრებდნენ ბიგებით, მიდიოდნენ სიღრმეში ან განზე აკეთებდნენ „შტრეკებს“, აქა-იქ ამაგრებდნენ კიდეც, მაგრამ ამგვარ მაღაროებში ხშირი იყო უბედური შემთხვევა, და მუშები ზიანდებოდნენ. მუშები დაზღვეული არ იყვნენ, უმეტეს შემთხვევაში არც ხელშეკრულება ჰქონდათ მრეწველებთან, და ამიტომ, რა თქმა უნდა, მათი ზარალი არ იყო ანაზღაურებული.

მაღაროებში მუშაობას არ ჰქონდა არავითარი გეგმა, არავითარი მეთვალყურეობა მაშინღელი სამთამადნო სამმართველოს მხრივ. იშვიათად თუ ჩამოვიდოდა რომელიმე სამთამადნო ინჟინერი, დაათვალიერებდა აქა-იქ, დააჯარიმებდა კიდეც მრეწველს, მისცემდა მითითებას და წავიდოდა. მუშაობა კი კვლავინდებურად გრძელდებოდა.

შავი ქვა იმთავითვე იზიდავდა დიდძალ ხალხს, რომელთაც უფრო იოლი შეძენის სურვილი ჰქონდათ. მოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან, მაგრამ ისეთი საეკვო ელემენტები, რომელთაც მხოლოდ დროებითი შოვნის სურვილი ჰქონდათ. ისინი არ დაიძებდნენ არც მრეწველობისა, არც მუშების ბედს. მოჰყავდათ მუშები სპარსეთიდანაც, ოსეთიდანაც, მოჰყავდათ სამეგრელოდან კამეჩებიც. მაგრამ კამეჩებმა არ ივარგეს სრიოკ ადგილებში. ასეთ მწარმოებელთა იდეალი ის იყო, რომ ბოლოსდაბოლოს როგორმე მწონელებად მოწყობილიყვნენ სხვა, უფრო ძლიერ მრეწველებთან.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ. თეატრი

ჭიათურაში რკინიგზის გამოყვანამ, რა თქმა უნდა, სრულიად მოადუნა ზესტაფონსა და გომში მადნის ზიდვის საქმე. მაგრამ მაინც საერთოდ „აკიოტაკი“ არ დამცხრალა, და ჭიათურის მთელი ცხოვრება მიმდინარეობდა ერთიმეორის წაგლეჯის გზით, მოტყუებით, მექრთამეობით და დაგვირგვინებული ღრეობა-ლოთობით. საღამოობით ჭიათურის ბაზარში არ გაივლებოდა. ყურთასმენა წაღებული იყო არღნის ჭიკყინოთა და ღრიალით. ლოთობდა ყველა. მრეწველიც, მოჯარადრეც, მუშაც.

იმ ხანებში ჭიათურაში არ გაევლებოდა მარტოხელა ქალსაც. მაშინ არც ადგილობრივი მრეწველები და არც სხვა მოსამსახურე პირები ჭიათურაში ოჯახობით არ ცხოვრობდნენ, და ქალის დანახვა ჭიათურაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომაც

ეთელი ეს ღვინით გაჟღენთილი, ყაჩაღური განწყობილების ხალხი საშიში იყო მგზავრი ქალისათვის. ადვილად შეიძლებოდა უკადრისი ეკადრებინათ.

არავითარი კულტურული მუშაობის სახე არ მოსჩანდა. გაიხსნა მრავალი სამიკიტნო, სასტუმრო, ღვინის სარდაფები და სხვ. მართალია, იმავე დროს გაჩნდა აქა-იქ სხვადასხვა დაწესებულებებში ქართველი ინტელიგენტი, მაგრამ ამათი უმრავლესობა თავისი-თავის ფუფუნებაზე, შეძენასა და შოვნაზე უფრო იყო გადაგებული. თუმცა ამ ინტელიგენტებშიც ერია უკვე საქართველოში ახლად აღმოცენებული მესამე დასის თანამგრძნობელები. ესენი კი შეეცადნენ მუშებში, აქა-იქ, დიდის სიფრთხილით მოეწყოთ განმანათლებელი წრეები. ამათვე დაიწყეს კანტი-კუნტად ქართული წარმოდგენების მართვა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში. თუმცა ჟურნალ-გაზეთებიც და წარმოდგენებიც უფრო ზედაფენებისთვის ვრცელდებოდა და იმართებოდა, რადგანაც თვით მუშები აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ. მუშაობდნენ თუ არ მეტი, უკანასკნელი 16 საათს მაინც, ეძინათ იქვე მაღაროებში. მათი კულტურული დონე ძალიან დაბალი იყო, განსაკუთრებით არა-ქართველი მუშებისა. მათ არ იცოდნენ ჟურნალ-გაზეთების არსებობაც კი. არც ჰქონდათ საკმაო თავისუფალი დრო თვითგანვითარებისათვის. მუშებს არ ჰქონდათ შეკავშირების უფლება. ისინი ძალზე შევიწროვებულნი იყვნენ უფლებრივად და ეკონომიურად. ხოლო, რაც შეეხება თეატრს, თუ ერთის მხრივ აუდიტორიაში მუშების რიცხვი ნაკლები იყო, მეორე მხრივ თვით ეს წარმოდგენებიც შევიწროვებული იყო, და თეატრს დუხჭირ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

თვითმპყრობელობის დროს საზოგადოდ საქართველოში თეატრი განიცდიდა უფულობას, უუფლებობას და დევნასაც კი. ძნელი იყო ამ შსამიან ატმოსფეროში მუშაობა. მაგრამ ხალხის სიყვარულმა და ნათელ პიროვნებათა აქტიურმა მონაწილეობამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და თეატრის საქმე საერთოდ მტკიცე ნიადაგზე დააყენა. ასე მოხდა ჭიათურაშიც, სადაც ქართული წარმოდგენების განმტკიცების საქმეშიაც დიდი როლი ითამაშა ცნობილმა რევოლუციონერმა, დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოწაფემ, ახალგაზრდა ენტუზიასტმა ა ლ ი ო შ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ, რომელიც შემდეგში ბაქოს 26 კომუნართან ერთად დაიღუპა. ამხ. ალიოშა, გარდა იმისა, რომ ჭიათურაში ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას, წარმოდგენების მართვაშიც ეხმარებოდა ადგილობრივ თეატრს, ზოგჯერ თვითონაც იღებდა წარმოდგენაში მონაწილეობას, და თან მუშე-

ბის აუდიტორიით ავსებდა სათეატრო დარბაზს. ამავე დროს ჭიათურის თეატრსაც გაუჩნდა ადგილობრივი ძლიერი ძალები სცენის მოყვარეებისა. როგორც. მაგ.. ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ნუცუბიძე, ნატალია სისარულიძე-კირთაძე და სხვ., და შეეძატნენ პროფესიული მსახიობები. მათ შორის დიდი ამაგი მიუძღვის განსვენებულ ვალერიან შალიკაშვილს, სახალხო არტისტ ალ. წუწუნავას და შალვა დადიანს. ყველა ესენი ახერხებდნენ თვითმპყრობელობის დროს შეერჩიათ ისეთი რეპერტუარი, რომელიც მუშათა საქმეს ასე თუ ისე ემსახურებოდა და აღვიძებდა მათში ბრძოლის სურვილს.

ასე იყო თვითმპყრობელობის დროს.

ძენშევიკებმა კი სიმწრით შექმნილი საქმე პირდაპირ დაღუპვის პირამდე მიიყვანეს. ისინი არა თუ არავითარ დახმარებას არ უწევდნენ თეატრს, არც კი აინტერესებდათ მისი ბედი. თეატრი „დემოკრატიულ სამოთხეში" გვრის მდგომარეობაში იყო და ძლივსღა ბოგინობდა.

მხოლოდ დიდმა პროლეტარულმა რევოლუციამ მოუტანა სიცოცხლე და განახლება თეატრს. თეატრი კერძო ქველმოქმედების საგნიდან სახელწიფო მზრუნველობის საქმედ იქცა და მასებს აღზრდის მძლავრი ფაქტორი შეექმნა. ჭიათურის თეატრი აღსდგა მკვლრეთით. 1921 წლიდან იწყება მისი თანდათანობითი ზრდა და ბურჟუაზიული ძემკვიდრეობისაგან განთავისუფლება. თეატრი ამჟამად ახალი ცხოვრების სულისკვეთებით მიემართება თავის შემოქმედებაში. ადვილი როდი იყო ამ ახალი ცხოვრებისაკენ მობრუნება... მაგრამ უმთავრესი, რაც გააკეთა ამ თეატრმა, ის არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შემოიზარდა ახალგაზრდა მუშები. ჩაატარა დიდი მუშაობა მუშებისაგან მსახიობების აღსაზრდელად და დღეს უკვე ჰყავს მაღალნიჭიერი და დაოსტატებული არტისტები.

მუშა-ხელი

თეატრს ერთგვარი სხივი და ხალისი შეჰქონდა მუშებში. საერთოდ კი მუშათა მასების მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. თვითონ მუშები ახლო-მახლო სოფლებისა და მაზრის მცხოვრებნი იყვნენ. მათ შორის მოსული ხალხიც ერია. მაგალითად, 1879 წელს, როცა შავი ქვის მუშაობა ახლად დაწყებული იყო, ჭიათურაში იტალიის ფირმებმა იტალიელი მუშები მოიყვანეს. მაგრამ ადგი-



მუშების დასვენება ძველ დროს

ლობრივმა მუშებმა ძალიან მალე შეითვისეს იტალიელი მუშებ-ს სამუშაო ხერხები და, ასე წარმოიდგინეთ, იტალიური ენაც კი. სოფ. რგანში ახლაც ნახავთ რამდენიმე ქართველ მუშას, რომელსაც იტალიური ენა დღესაც არ დავიწყებია. იტალიელების გარდა მსოფლიო ომამდე ჭიათურას მოაწყდნენ ოსმალოები და ირანელები. პირველ ხანებში მათი რიცხვი საგრძნობი იყო, რადგან ისინი ქართველ მუშებზე ჩამორჩენილნი იყვნენ და უფრო იაფად მუშაობდნენ.

ჭიათურის მუშები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: მნგრეველები, ჩალვადრები და მტვირთავები. თავისი მნიშვნელობითა და რიცხვობრივად მნგრეველები სჭარბობდნენ. ესენი ნარდად მუშაობდნენ. თითო გაჭრა არშინზე (შავ ქვას მაშინ არშინობით ანგარიშობდნენ) ქანის სიმაგრის მიხედვით ისინი 2—5 მანეთამდე იღებდნენ. ერთი მუშა ორი არშინის გაჭრას 3 დღეს უნდებოდა. ზოგჯერ კი ორი კაცი ორ დღეში ერთი არშინის გაჭრასაც ვერ ახერხებდა. ასე რომ მნგრეველის საშუალო ხელფასი მანეთნახევარს არ აღემატებოდა. იყვნენ კიდევ ეგრეთწოდებული „უკუმგორებლებიც", რომელთაც შავი ქვა „ტაჭკებით" გამოჰქონდათ გვირაბებიდან, გამოჰქონდათ მაღაროს წინ. დღეში მათ 70 კაპიკიდან 1 მანეთამდე ეძლეოდათ. იყვნენ აგრეთვე გადამრჩევლებიც. ამ სამუშაოს უფრო ხშირად ქალებსა და ბავშვებს ანდობდნენ. მათი ხელფასი 10 კაპ. —40 კაპიკს არ აღემატებოდა. იყვნენ კიდევ ე. წ. „მეფუთე" მუშები. შავი ქვის მრეწველი, მუშათა ჯგუფს ხელშეკრულებით შეეკვროდა და მათ ამოღებულ, გაწმენდილ და ბაქანზე მიტანილ შავ მადანში ფუთზე 2 ან 3½ კაპიკს აძლევდა. ასეთი წესი მუშებისათვის ხელსაყრელი არ იყო, რადგან უცაბედ ზიანში, რომელიც ხშირად მოსდევდა მუშას მაღაროში, მრეწველი არავითარ პასუხს არ აგებდა. საშუალოდ ფუთობით მომუშავე დღიურად აკეთებდა 80 კაპ. — 1 მანეთს.

ჩალვადრები შავ ქვას ეზიდებოდნენ ადგილებიდან რკინიგზის ლიანდაგამდე. ეზიდებოდნენ ცხენებით, ვირებით, ურმებით, ერთ დროს აქლემებითაც კი. ეს იყო მეტისმეტი ძნელი და სახიფათო მუშაობა. დაღმართებზე ჩამოსვლის დროს ციცაბო კლდოვან ბილიკებზე, ხრამებისა და უფსკრულის პირად მოელოდა დაღუპვა გამწევ ძალასაც და ადამიანსაც. ასეთი ჩალვადარი მიტანილ ფუთში 2 ან 3 კაპიკს იღებდა. ასე რომ ერთი კაცი ერთი ცხენით ან ულელი ხარით დღეში 2 ან 3 მანეთს აკეთებდა.

თითო ვაგონის—765 ფუთის—დატვირთვა საზოგადოდ ღირდა 60 კაპ.—90 კაპ.

საერთოდ ყველა ამ ჯგუფის მუშების რიცხვი პირველ ხანებში 5.000 კაცს შეადგენდა. გარდა იმისა, რომ ისინი მრეწველების მხრივ საშინელი ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდნენ, მათი საყოფაცხოვრებო პირობებიც მეტად საზარი იყო. მუშებს საერთო საცხოვრებლები არა ჰქონდათ. მათთვის ბინების აგებაზე არავის სტკიოდა თავი. მუშებს ეძინათ იქვე, სადაც მუშაობდნენ, ე. ი. მაღაროში. მაღაროში მუდმივ ყონავდა წყალი. ნიადაგი იყო სველი. ამ სველ მიწაზე მუშები დააგებდნენ გვიმრას ან ჩალაბულას და დაიძინებდნენ. იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა საბან-სახურავი და ისიც დაძონძილ-დაკონკილი. ხშირად თავლებშიაც კი ეძინათ ცხენებთან და ხარ-კამეჩთან. გვირაბებში ხომ სინათლეც არ იყო. აყროლებული ჭრაქებით მუშაობდნენ, რომლის მხრჩოლავი ბოლი სუნთქვას უწამლავდა მუშას. ერთი სიტყვით. მუშათა ცხოვრება მაღაროებში ნამდვილ კატორღას წარმოადგენდა. რამდენიმე ათასი მუშა ნებაყოფლობითს კატორღაში მუშაობდა, ხშირად 16—18 საათს. 12—14 საათის მუშაობა კი ჩვეულებრივი იყო. მრეწველები არამც თუ არ ფიქრობდნენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ ამ კატორღულ პირობებში მყოფ მუშას ფულსაც კი ჰპარავდნენ. მაგალითად, ატყუებდნენ წონაში, ანგარიშში, აზომვაში: შემოიღეს ე. წ. „არსენას საჟენი", რომელსაც ჰქონდა 4 არშინი სიგრძე. ამ საჟენით მიიზომავდნენ ქვას.

იმის დასახასიათებლად, თუ როგორი იყო ზოგიერთი მრეწველი, გავიხსენოთ ვინმე გიგია ბრეგვაძე. მან თავის მუშებს გამოუცხადა. მე საათებისა არაფერი ვიცი. დილა-ადრიან ცისკარზე შეუდექით მუშაობას, და საღამოთი—მე ერთი ვარსკვლავი მყავს მიჩემებული—იმის ამოსვლისას შესწყვიტეთ მუშაობაო. რა თქმა უნდა, თავის დროზე გიგიამ ეს ვარსკვლავიც უჩვენა მუშებს. მუშები თავჩაღუნული მუშაობდნენ, ალიონიდან ამ ვარსკვლავის ამოსვლამდე. ვარსკვლავი კი გვიან ამოდიოდა. მუშებმა ამ ვარსკვლავს „გიგიას ვარსკვლავი" შეარქვეს. ეს „გიგიას ვარსკვლავი" მოედო ჭიათურას და გახდა მაღაროებში კატორღული ხანგრძლივი მუშაობის სინონიმი.

როგორც ზემოთ არაერთხელ ვთქვით, მუშებს წონაშიაც ატყუებდნენ. საქმე ის არის, რომ მუშების მიერ გამოღებული მადანი „ხაზეინის" სასწორებზე იწონებოდა. მწონელებად მრეწველებს დიდად გაქნილი ხალხი ჰყავდათ. მწონელებს პრაქტიკად



შავი ქვის გადაზიდვა ჩალვადრებით

ჰქონდათ შემოღებული გირვანქების ჩამოგდება. მაგალითად, თუ მუშა მოიტანდა 10 ფუთსა ღა 39 გირვანქას, მწონელი ჩაუწერდა 10 ფუთს, ხოლო 39 გირვანქას არ ჩაუთვლიდა. ამას მწონელები „ფუთის გატეხვას“ ეძახდნენ. უაღრესად დახელოვნებული იყვნენ მწონელები მარგანეცის პარვაში. დიდ სასწორზე საკმარისი იყო სულ პატარა მაქინაცია, რომ რამდენიმე ფუთი მოეპარათ. მწონელებს ჰქონდათ სანთლის ნაჭერი, რომელსაც შიგნიდან მიაწებებდნენ სასწორის უღელს. ამ სახით ერთ-ორ ფუთს მაინც მოიპარავდნენ თითო აწონაში. მრეწველებმა ეს იცოდნენ და ასეთ მწონელებს ჯილდოსაც კი უნიშნავდნენ მუშების მოტყუებისათვის. ასე ხდებოდა პირდაპირს სასწორებზე. იყო სხვანაირი სასწორიც —ათწილადი სასწორი. ამ სასწორს მუშები არ იცნობდნენ, აქაც ტყუვდებოდნენ. აი ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ატყუებდნენ მუშებს ამ ათწილადი სასწორით. იყო ერთი ვინმე ბერძენი მწონელი ყაჭიპანა მიკროპულო. ჰყავდა გაწვრთნილი მიმინო. „მოუტევებდა“—და მიმინო ჰაერში აფრინდებოდა. დაუწრუპუნებდა—და ჩამოფრინდებოდა, ათწილადი სასწორის უღელზე დაჯდებოდა. ყაჭიპანა უწრუპუნებდა, მიმინო ფრთებს აქნევდა. მუშები უყურებდნენ მიმინოს და გამურულ სახეებზე ღიმილი ეტყობოდათ. ყაჭიპანა კი სწონიდა შავ ქვას. თურმე ნუ იტყვით, ეს მიმინო ამ დროს მადანს იპარავდა ათჯერ მეტს, ვიდრე თვითონ იწონიდა. საქმე ის არის, რომ მიმინო იჯდა სასწორის სანიშნოზე, სასწორი იყო ათწილადი, და მიმინოს პატრონი იმდენჯერ ათ გირვანქას მიიწონიდა, რამდენჯერაც მადანს ასწონიდა. მიმინო ხომ გირვანქას მაინც აიწონიდა. გვიან გაიგეს მუშებმა ეს ოინი.

საკმარისად ჩავთვალოთ ეს რამდენიმე მაგალითი, რომ გავიგოთ მუშების მაშინდელ აუტანელი მდგომარეობა. ხოლო მათში რომ იზრდებოდა და თანდათან ღრმავდებოდა პროტესტი, ამის დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთი ლექსის ნაწყვეტს, რომელსაც იმ დროს თითქმის მთელი ჭიათურა მღეროდა:

ადამიანად ვშობილვარ,
მაქვს აზრი, ჭკუა, გონება,
ვშრომობ და მაინც არა მაქვს
არც ფული, არცა ქონება.
ჩემი ნაშრომი-ნაღვაწით
მრეწველი ივსებს ჯიბესა,
და ჩვენ კი ისე დაგვყურებს,
ვით მსახურ-მეჯინიბესა...

პირველი გაფიცვა

დიდხანს გასტანა ჭიათურაში მუშების ამგვარმა მდგომარეობამ. მაგრამ აი დადგა 1901 — 2 წლები. ჭიათურაში ამოვიდა ხმები, რომ ბათუმის მუშები შეებრძოლნენ მეფესა და კაპიტალისტებს, გამოვიდნენ ქუჩაში, დაიღვარა სისხლიც. ჩქარა ჭიათურაშიც ჩამოვიდნენ ბათომიდან მუშები და ჩამოიტანეს ეს ბრძოლის ცეცხლი. ესენი იყვნენ დიდი **სტალინის** გაწვრთნილი მუშები. ესენი ჩუმჩუმად ელაპარაკებოდნენ მუშებს, უხსნიდნენ მათ დუხჭირი ცხოვრების პირობებს. ურჩევდნენ შეკავშირებას და მჩაგვრელების წინააღმდეგ გალაშქრებას. მუშებიც, მრეწველ-მწონელების უაჩაღური მოქმედებით განაწყენებულნი, თავგადადებით ებმებოდნენ საიდუმლო მუშაობაში. ასე, თანდათან, იწყებოდა მუშათა შორის არალეგალური რევოლუციური მუშაობა.

ამ საუბრებიდან და ბათუმის ამბების გავლენით შეიქმნა ისეთი განწყობილება, რომ მცირე რამ საბაბიც საკმარისი იყო მუშების სტიქიური აფეთქებისათვის. ასეც მოხდა.

ერთხელ ვაგონის მტვირთავ მუშებსა და მოიჯარადრე ნოშრევან ჩხეიძეს შორის ლაპარაკი გაიმართა ხელფასზე. რადგან ჩხეიძე ნაკლებ ხელფასს აძლევდა, მუშებმა სამუშაო დასტოვეს. ჩხეიძემ ეს ამბავი აცნობა ბოქაულს. ბოქაული იმ წამსვე დაეხსნა თავს მუშებს თავისი ჩაფრებით და დააპატიმრა ოცამდე მუშა. იმ დღესვე მტვირთავ მუშებს ბევრი სხვა პროფესიის მუშებიც მიემატნენ. მივიდნენ პოლიციაში და მოითხოვეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. ბოქაული დაფრთხა, პატიმრები გაანთავისუფლა. მუშები წამოვიდნენ ბაზრისაკენ, ააფრიალეს წითელი დროშა, გაიარეს ბაზარი და გამოვიდნენ რკინიგზის ბაქნებზე, სადაც მრეწველთა სასწორები იყო მოთავსებული. მუშებს ხელში ეკავათ წერაქვები და ნიჩბები. მივარდნენ სასწორებს, დაამტვრიეს ისინი და დასწვეს რამდენიმე ფარდული. ამ ამბავმა დიდად ააღელვა მრეწველი ნიკარაძე; მან იძრო ხანჯალი და შეჰყვირა ბოქაულს: რატომ ხმას არ იღებ ამ ამბის შემხედვარეო.

— მაგათ რა გაუძლებს, მთელი ქვეყანა ამდგარაო,—მიუგო ბოქაულმა და თავისი ჩაფრებით მახლობელ სერზე გაჩერდა და იქიდან უყურებდა სვირს.

იმავე დროს ნოშრევან ჩხეიძეს თავის სასწორთან შეიარაღებული დამცველი დაეყენებინა. მუშებმა მცველი გააგდეს და დაუწყეს სასწორს მტვრევა. ჩხეიძე მივარდა მუშებს იარაღამოწვდილი. მუშებმა იგი იქვე მოჰკლეს. ამის შემდეგ მუშებმა მოთხოვნი-



დამახასიათებელი ფენები და ძველი მაღაროები თაბაგრებში

ლება წარუდგინეს მრეწველებს ხელფასის მომატებაზე და სასწორებზე კონტროლის დანიშვნაზე. არსებობს გადმოცემა, რომ ეს პირველი გაფიცვა და მოთხოვნილების წარდგენა მოწყობილი იყო **სტალინის** მოწაფის, აწ გარდაცვალებულ, ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა რევოლუციონერის სტეპკო ინწკირველის მიერ.

ეს მოხდა 1903 წელს. ეს პირველი გაფიცვა იყო ჭიათურაში, რომელმაც ორი კვირა გასტანა. მრეწველებმა დააკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნილებები, ხოლო რამდენიმე მუშა მაინც დააპატიმრეს და ქუთაისს გადაგზავნეს. მაინცადამაინც მუშები კიდევ ვერ იყვნენ ორგანიზებული და დარაზმული, თუმცა მათი რაოდენობა უკვე რამდენიმე ათეულ ათასს აღწევდა. მათ კიდევ არ იცოდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან სისხლისმწოველთა ხროვა, რომელთაც დიდ დახმარებას უწევდნენ ამ დროისათვის უკვე პარტიებად ჩამოყალიბებული მენშევიკები, ფედერალისტები და სხვა ჯურის ბურჟუაზიული პარტიები. როგორც ახლა იგონებენ ჭიათურელი მუშები, ბურჟუაზიული პარტიები თვალთმაქცობდნენ და ყველა ზომას ხმარობდნენ, რომ მუშები ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის გზას არ დასდგომოდნენ. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1904 წლამდე, სანამ ჭიათურაში პირველად არ ჩამოვიდა ახალგაზრდა „**გორელი კობა**“.

ასე ეძახდნენ თურმე მაშინ ჭიათურელი მუშები მსოფლიო დიდ ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს, საყვარელ **სტალინს**.



ნაწილი მეოთხე

ჩამოსვლა

ᲞᲠᲘᲚᲘᲡ თბილი საღამო იყო. ჭიათურის შავსა და გარუჯულ მთის კალთებზე ბინდი წვებოდა. ბინდი იყო სქელი, მღვრიე, მძიმე. იგი იდგა მთის ტერასებზე, სახურავებზე, მდინარის ნაპირებზე, მოედანზე, ხეებზე და აქაც ვაგზალზე. სადაც ხალხი სასეირნოდ და მატარებლის შესახვედრად გამოსულა.

ჭიათურის ვაგზალი ქალაქის ფანჯარაა. ქალაქი ჩაკეტილია ბნელ ორწოხებში, მდინარე ყვირილის ნაპირებზე. გარშემო შავი, უხალისო. მარგანეცის მთებია. შიგ ქალაქში მუდამ მტვერი დგას და გამურულია ხალხი. ვაგზალი ერთადერთი ადგილია, სადაც ჩაკეტილი ორწოხები გაიღება და ჭიათურელი ახალ სახეს დაინახავს, სუფთას, უმტვეროს. თეთრს. ყველა, ვისაც დრო აქვს, ამ ფანჯრისაკენ ეშურება. მაგრამ სანამ მიაღწევდეს. ცხვირის ნესტოები შავი მტვერით აევსება, ულვაშებზე შავი ფიფქი ჩამოთოვს და უმარილით გათეთრებულ სასეებზე შავი ფერი შეეპარება.

აქა-იქ მთის კალთებზე, ან იშვიათ ბაღებში ამწვანებული ხეები დგას. ხეებიც დათრთვილულია შავი მტვრისაგან. თეთრი ტყემალი პატარძალივით ჩამდგარა ხეებში თითქოს მორცხვად, თითქოს კდემამოსილებით, მაგრამ სქელი, მძიმე, მღვრიე ბინდი იმასაც არ ინდობს. ბინდი ლეჩაქივით შემობურვია თეთრ ყვავილებიანს.

მატარებელმა რომ მიაკივლა, ყველამ პირი ორწოხების კარისაკენ იბრუნა, საიდანაც მატარებლის კვილი მოისმა. თითქოს დაღლილა აღმართზე ამოსვლითო, მატარებელმა ხმაურს უკლო, ხარბად ამოიქშინა და გაჩერდა.

ჩამოვიდა უმტვერო, სეფთა სახის ხალხი. ღამხვდურები ეცნენ მათ და ატყდა ხმაურობა, შეძახილები, ჩოჩქოლი. მაგრამ ცოტა იყო სიცილი, მხიარული ხმა. ჩამოქურეშებული იყო სახეები და გაორებული თვალები. მუდამ უდარდელი, მოქეიფე და დარდიმანდი თავადებიც კი პირქუშად იყვნენ. ისე ჩამოვიდნენ ვაგონებიდან, თითქოს მდევარი მოსდევთო.

„მადლობა ღმერთს, ცოცხალს რომ გხედავთ, — ეუბნებოდნენ დამხვდური კნეინები. — რა ამბავია?

— მთელი ქვეყანა ამხედრებულია! გლეხობა მიწებს მოითხოვს... ეჰ! ეჰ!.. რა ამბავია ჩვენს სოფელში?.. ჯერ არ წაუკიდებიათ ცეცხლი?

— უი, რას ამბობ? წავიდეთ... დამდგარა განკითხვის დღე...

მუდამ დაჯერებული, კმაყოფილი და მოფუსფუსე მრეწველებიც თვალის ცეცებით ხვდებოდნენ ერთმანეთს: ჩამოსულნიც და დამხვედრნიც, ქართველებიც და უცხოელებიც.

— რა ამბავი? რა არის ახალი?

—ვერ არის კარგი ამბები. გაფიცვები ყველგან, ყველგან—პეტერბურგიდან ბაქომდე. ბაქოდან ბათომამდე. დღითი-დღე უფრო და უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებენ.

— ოხ! ოხ! წავიდეთ ჩქარა!

აქა-იქ, იშვიათად კი, გაისმის დამამშვიდებელი:

— რა ვუყოთ! რაც სხვას მოუვა, ის მოგვივა ჩვენც...

ბაქანზე იდგნენ დაბნეული, წელგატეხილი, მაგრამ წელში ჯერ გაუწყვეტელი ჟანდარმები და პოლიციელები. თვალებს ისე აცეცებდნენ, თითქოს ზარნაშოები ამოჰყარეს ბუდიდან და მზის სინათლეზე გამოიყვანესო..

აპრილის იმ საღამოს იმ ხალხში რამოდენიმე მუშა დადიოდა ბაქანზე. ამათ მეტი გაბედულება, მეტი სითამამე ეტყობოდათ ვიდრე წინათ. ხუმრობა ხომ არ იყო. აქაც, შავი ქვის ქალაქშიაც, ჩუმსა და სევდიან მაღაროებშიაც მიაღწია რევოლუციის ქუხილმა, გაიელვა პირველმა ელვამ ხალხის რისხვისა, აქაც ელოდნენ: საცაა აჯანყების სეტყვა დაუშენსო.

იყო ბობოქარი, მრისხანე, 1905 წელი.

ბევრი დაბეჩავებული ასწია 1905 წელმა თავის სიმაღლემდე. ასწია ჭიათურელი მაღაროელი პეტრეც. წინათ მუდამ ჩაფიქრებული და თვალსევდიანი პეტრე ახლა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრია, საიმედო და თავად იმედიანი მებრძოლი ამხანაგი. მას მიანდვეს დღეს თბილისიდან ჩამოსული ამხანაგის

შეხვედრა და არალეგალურ ბინაზე გაცილება. თბილისიდან კი ამხანაგი კობა ჩამოდის თურმე.

როგორია ამხანაგი კობა? ეს ისაა, ბათომი რომ ააჯანყა? ეს ისაა, რომელიც ამბობს, 9 იანვრის დახვრეტას იარაღით ვუპასუხოთო?

იქ, შორს, სადღაც პეტერბურგში დაიწყო ეს ამბები 9 იანვარს. იქ მეფემ დახვრიტა მუშათა მანიფესტაცია. მუშებს თურმე თხოვნა მიჰქონდათ მეფისადმი — პეტიცია. (პეტრემ ეს სიტყვა კარგად დაიმახსოვრა, მისი სახელივით იწყებოდა.) 9 იანვრის ამბებმა თვალი აუხილა ხალხს. პეტერბურგის ქუჩებში დაღვრილ სისხლს მთელი რუსეთი გამოეხმაურა. ხალხი აღსდგა. აზვირთებულ ზღვასავით ბობოქრობდა. ბობოქრობს შავი ქვის ქალაქიც. მაგრამ კარგად არ იციან მუშებმა რა აკეთონ, რა გზას დაადგნენ. და, აი, გზის მაჩვენებლად, ძალთა დასარაზმავად, საბრძოლოდ გასაწრთვნელად დღეს თბილისიდან ჩამოდის თვითონ ამხანაგი კობა.

თურმე კობა წინათაც ყოფილა ჭიათურაში. როგორ გააკვირვა გუშინ სტეპკო ინწკირველმა, კობას მოწაფემ, პეტრე? თურმე პეტრეს გაუცილებია მაშინ კობა ვაგზალზე.

— როგორ, შე კაცო? როდის? — გაკვირვებით წამოიძახა პეტრემ.

— გახსოვს, შარშან, დეკემბერს დიდი დემონსტრაცია რომ გავმართეთ და მწარმოებლებს ზარი ჩამოვაკიდებინეთ მაღაროებში?

— როგორ არა! იმ ზარის შემდეგაა ცოტა სული მოვითქვით. ვიცით როდის იწყება და როდის თავდება მუშაობა.

— აი, ის დემონსტრაცია და ის გაფიცვა ამხ. კობას მოწყობილი იყო. ჩამოვიდა ბათომიდან, თბილისზე გავლით, მისცა დარიგება ორგანიზაციას და მოვაწყვეთ ის ამბები.

— რას მეუბნები?

და პეტრეს გაახსენდა:

შვიდივე მაღარო: პერევისა, შუქრუთი, მღვიმევი, ორივე რგანი, დარკვეთი, ითხვისი, ჭიათურაში შეიკრიბნენ ერთად, ასწიეს წითელი დროშა და სიმღერით გასწიეს ქალაქისაკენ. გზადაგზა გლეხობაც ემატებოდა. მიტინგი ვაგზალთან გაიმართა. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტეპკო. პოლიციას რომ არ გამოეცნო, სტეპკოს ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა, პირზე ყაბალახი აეფარებია, ისე ლაპარაკობდა. პოლიცია დაფრთხა, წინააღმდეგობა ვერ გასწია. ვაგზლიდან მიტინგი მრეწველთა კანტორისაკენ გაემართა. იქაც წარმოს-

თქვეს სიტყვები. მიტინგის დასასრულს სტეპკომ წერილობითი მოთხოვნილება წარუდგინა მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელს.

პეტრეს კარგად ახსოვს ის მოთხოვნილებები: 8 საათის სამუშაო დღე, ზარის ჩამოკიდება მაღაროებში სამუშაო დღის გათავების გასაგებად, უფასო ექიმობა, ბარაკების აშენება მუშებისათვის, ხელფასის მომატება...

ახ, რა მიტინგი იყო... იმ მიტინგს გაფიცვა მოჰყვა. ორ თვეს გაგრძელდა გაფიცვა, და გაფიცვა მოიგეს მუშებმა. გაფიცვის მოგებამ მუშები შეაკავშირა და წელში გამართა.

მაშ, ამ გაფიცვის მომწყობი ჩამოდის დღეს?

პეტრეს კი ეგონა, რომ დემონსტრაცია სტეპკოსი და მისი მოწყობილი იყო და თავი მოჰქონდა. პეტრეს ძალიან უყვარდა სტეპკო. მან იცოდა, რომ ნასწავლსა და ინტელიგენტ სტეპკოს შეეძლო ასე თუ ისე უშიშარი და მაძღარი ცხოვრება. მაგრამ სტეპკომ რევოლუციის ხიფათიანი გზა აირჩია, რომ პეტრე და მრავალათასი სხვა პეტრე ბედნიერი, თავისუფალი გახადოს. ამიტომ დიდის სასოებით ეპყრობოდა პეტრე სტეპკოს.

და განა მარტო პეტრე... ჭიათურის ყველა მეუმრავლესეთ ძალიან უყვარდათ სტეპკო. სტეპკო იყო გურული, მკვირცხლი და ცეცხლიანი. მისი ლამაზი თეთრი შუბლი, პატარა კოხტა ულვაშები, ღია წაბლისფერი თვალები ყველას იზიდავდა, ყველას ხიბლავდა.

პეტრემ იცოდა, რომ სტეპკო თავმოყვარე იყო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ სტეპკო ამ თავმოყვარეობას არასოდეს სხვას არ შეაჩეხებდა გზაზე, არასოდეს სხვას არ დაჩრდილავდა, არ დაჩაგრავდა. პირიქით, ცდილობდა მოწინავეებისაგან ესწავლა. მაგალითად, იმ დროს მუშაობდა ჭიათურაში განათლებული პროპაგანდისტი— მეუმრავლესე, ლაიპციგში ნასწავლი, დათიკო სულიაშვილი. სტეპკომ გადასწყვიტა უცხო ენები შეესწავლა. გამოუცხადა დათიკოს— ჯერმანული უნდა ვისწავლოო.

— რა დროს გერმანულია, ბიჭო! რევოლუცია უნდა მოვახდინოთ, — გაიცინა დათიკომ.

მაგრამ სტეპკო ისეთი კაცი როდი იყო, ნათქვამს გადაუხვევდა. ჩაუჯდა წიგნს და დათიკოც დაეხმარა.

სტეპკოს უყვარდა წიგნი და ცდილობდა მუშებისთვისაც შეეყვარებინა წიგნი. ლენინის „რა ვაკეთოთ?“, გაზეთი „ისკრა“, ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი“ და რამდენი სხვა წიგნი თუ ბროშურა შეიტანა ჭიათურელ მუშების ოჯახებში. ეს იცოდა პეტრემ და სჯეროდა სტეპკოსი. სიამოვნებით ასრულებდა

მის დავალებებს. აი ახლაც, დიდი ხელმძღვანელის მისაღებად სტეპკომ პეტრე გამოჰყო. პეტრეს მეტად გაეხარდა სტეპკოს დავალება.

— აბა, პეტრე, თუ გამოიცანი? — წააქეზა პეტრემ თავისი თავი.—დაკეცილი გაზეთი ექნებაო ხელში. მოკლე წვერულვაში, რუხი საზაფხულო პალტო... ჰო, ის უნდა იყოს, თუ პეტრე ვარ, პირველი ვაგონიდან რომ გადმოვიდა. ჰო, მიშა დავითაშვილმაც ეგრე იცის, პირველ ვაგონში მოგზაურობა. მიშა ხომ კობასი მეგობარი ყოფილა და ისწავლიდა მისგან. თურმე პირველი ვაგონი იმიტომაა კარგი, რომ პირველად შედის ბაქანზე და შეიძლება დაინახო: სად დგას ჟანდარმი, სად დგანან ჯაშუშები. ჯაშუშების გამოცნობა კი, მოგეცა ლხენა, სცოდნია კობას. ერთი შეხედვით გამოიცნობს თურმე ხალხის მტერსა და ორგულს...

პეტრემ ჩაუარა გაზეთიან კაცს, ჩაულაპარაკა:

— სტეპკომ გამომგზავნა.

გაზეთიანმა კაცმა მთელი ბაქანი გაიარა, პაპიროსს მოუკიდა და მობრუნებულ პეტრეს ჰკითხა, ისე, სხვათა შორის, თითქოს სრულიად არ აინტერესებდა პეტრე:

— მრეწველთა საბჭო სადაა თუ იცით?

— მეც იქითკენ მაქვს გზა. წამობრძანდით, — მიუგო გახარებულმა პეტრემ და გულში შეაქო თავისი თავი: — ყოჩაღ, პეტრე! ტყუილად როდი შეგარჩია სტეპკო ინწკირველმა, ჭკვიანი ხარ, მიხვედრილი...

პეტრე და სტუმარი აღმართს შეუდგნენ. კანტორაც აქეთ იყო და გუჯეჯიანის სახლიც, სადაც პეტრეს სტუმარი უნდა მიეყვანა.

ბრძოლა სწყურიათ

პეტრემ იფიქრა, სტუმარი მოისვენებსო და წასვლა დააპირა. სტუმარს კი უთხრა: ამხანაგები სამუშაოზე არიან და სანამ მოვლენ, მოისვენეთო.

— მოსვენება მერე იყოს, ამხანაგო პეტრე! თუ დრო გაქვთ, ვისაუბროთ, — უპასუხა კობამ.

პეტრეს გაეხარდა.

—რა ამბავია თქვენს ჭიათურაში? როგორაა მოძრაობის საქმე?

პეტრე ჭიათურის მუშათა მოძრაობის ცენტრში იყო. ყაბალახი გადაიწია, შორიდან დაიწყო.

— მაღაროებში მუშაობა მეტად მძიმეა.

— ეს ვიცი. გიგიას ვარსკვლავის ამბავიც ვიცი. თქვენ ის მითხარით, როგორ გრძნობენ თავს მუშები? არიან თუ არა საბრძოლო განწყობილებაზე?

— მოგახსენებთ, ეხლავე მოგახსენებთ... 9 იანვრის გამოძახილი ჩვენშიაც იყო. სული ყელში გვაქვს მობჯენილი. სუნთქვა გაძნელებული გვაქვს მომაკვდავივით, მაჯაში კი იმდენი ძალღონეა — მდევებს შევებმით. აქაურ მთავრობას სულ თავს გაუდიოდა. განსაკუთრებით გაგვაწვალა პოლიციის სამმართველოს მწერალმა უშანგი მხეიძემ. იმ წყეულმა ჯაშუშმა მრავალი ოჯახი აიწიოკა და ცივ ციმბირში გადაჰკარგა. ამიტომ ორგანიზაციამ გადასწყვიტა მისი მოკვლა. აქტის სისრულეში მოყვანა იოსებ კირკიტაძეს და შაქრო გიუნაშვილს დაეკალა.

იოსებ კირკიტაძე ღამის ყარაული იყო ბაზარში. მას უკეთ შეეძლო, როგორც ყარაულს, პოლიციაში შესვლა. დამხმარედ შაქრო გიუნაშვილი ჰყავდა, მუშა.

იოსებ კირკიტაძე ვითომდა თხოვნის მისაცემად მივიდა პოლიციაში. ხელში ქაღალდი ეჭირა, ჯიბაში კი სმიტ-ვესონის გაშანშალებული რევოლვერი ედო. მივიდა, ჩემო ბატონო, იოსება იმ ქაღლთან და მარცხენა ხელით რომ ქაღალდი გაუწოდა, მარჯვენათი რევოლვერი დაახალა. რევოლვერიც გავარდა და მხეიძეც უცბად სკამიდან გადმოვარდა. „ჩაძაღლდა ეგ მამაძაღლიო", იფიქრა იოსებამ და გამოვარდა გარეთ. ორი ჩაფარი გამოეკიდა სროლით. იოსებ გადახტა კლდეზე, მაგრამ ხელში ტყვია მოხვდა და დაეცა. ჩასაფრებული შაქრო გამოეკიდა ჩაფრებს, დაეწია, ვადმოიღო თოფი, მისცა პირში ტყვია და დაუკრა ჩახმახი. დახეთ უბედურებას, არ გავარდა თოფი... ეხ, ეხ!.. შემოტრიალდნენ ჩაფრები, ესროლეს და მოჰკლეს შაქრო, ამასობაში იოსებამ თავს უშველა, გაიქცა. სროლაზე ჩვენი სახალხო რაზმელები გაჩნდნენ...

— გყავთ სახალხო რაზმელები? — შეეკითხა კობა.

— როგორ არა! სულ რჩეული ბიჭები. ჰო, მოვარდნენ სახალხო რაზმელები და აუტეხეს სროლა ჩაფრებს. ჩაფრები მაღლობზე იდგნენ, რაზმელები კი დაბლა. კარგა ხანს ესროლეს ერთმანეთს და შემდეგ რაზმელები მიიმალნენ. ჩვენმა ორგანიზაციამ ისირცხვილა შაქროს სიკვდილი და მხეიძეს გადარჩენა. გადავწყვიტეთ სამაგიეროს გადახდა. არ გავუშვათ ეს ჩაფრები ჭიათურიდანო, სთქვეს რაზმელებმა და შეჰკრეს ჭიათურიდან გასასვლელი გზები: ყველგან ორწოხებზე, ბილიკებზე, გადასასვლელებზე. ეს იყო ყველიე-

რის ხუთშაბათს, კარგად მახსოვს. მეორე დილას შაქროს მკვლელმა ჩაფარმა ცხენი ჩამოიყვანა მდინარეზე წყლის დასალევინებლად. ამ დროს ერთმა რაზმელმა, იაკობა თუშმა, ესროლა და ცხენი დაუჭრა ჩაფარს კისერში. გამწარებული ცხენი გაიქცა და გადაარჩინა ჩაფარი მეორე ტყვიას. იაკობა თუში გაბრაზდა და დაედევნა ჩაფარს. ქვეითა კაცი მხედარს რას დაეწეოდა. მაგრამ იაკობა თუში მარტო როდი იყო. მას გაყვნენ სხვა რაზმელებიც. ბაზარზე დიდძალი გლეხობა შემოუერთდა სახალხო რაზმელებს და გადასწყვიტეს: წავიდეთ, დავეცეთ თავს პოლიციასო. წავიდნენ. ყიჟინითა და გრიალ-გრიალით შემოერტყა ხალხი პოლიციის სამმართველოს. პოლიცია გაიქცა. გაიქცა მხეიძეც. ხალხი გამოეკიდა მხეიძეს და შეუვარდა სახლში. მოჰკლეს მხეიძე და ერთი ჩაფარი. ხალხი ეძებდა გიუნაშვილის მკვლელს. ვერ ვიპოვეთ. გაბრაზებულმა ხალხმა გადასწყვიტა ცეცხლი წაეკიდებინა სამმართველოსათვის. თურმე შაქროს მკვლელი ბუსარში შემალულიყო, საკვამლეში. ცეცხლმა რომ მიუცხუნა, გამოვარდა გარეთ. დაიჩოქა ხალხის წინ და დაიწყო პირჯვრის წერა. ხალხმა არ აპატია. მოჰკლა.

— ხალხმა მოჰკლა?

— არა, რაზმელებმა. ამ ამბავს ვაგზლიდან უყურებდა რკინიგზის მცველი ბათალიონი. პოლკოვნიკმა დეპეშა მისცა თურმე ქუთაისის გუბერნატორს, ვესროლო თუ არა ხალხსო. გუბერნატორისაგან პასუხი მოვიდა „ესროლეთ". ტელეგრაფისტმა (ჩვენი კაცი იყო) მიუმატა წინ „არ" და გადასცა სულ სხვა დეპეშა. ასე გადარჩა ხალხი.

მეორე დღეს, იცოცხლეთ, რომ ამბები დატრიალდა. ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი, ჯარის ნაწილი, ჟანდარმები. დააპატიმრეს შენიშნული პირები, გამოუძახეს დახოცილ ჩაფრების ცოლებს და უთხრეს: გამოიცანით ვინ არის თქვენი ქმრების მკვლელებიო.

ჩაფრების ცოლები გაბრაზებულნი იყვნენ და იმათ დაადვეს ხელი, ვისი ჟინიც სჭირდათ. ბევრი დააპატიმრეს და ჩასვეს ციხეში. ამათგან სამი გაასამართლეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ესენი იყვნენ მიხაკო ვაშაძე, სევასტი სანაძე და ილია კაპანაძე.

— ისინი არ ჩამოუხრჩვიათ, — გაუსწორა სტუმარმა. — ჩამოხრჩობა უვადო კატორღით შეუცვალეს.

— მართლა? — გაეხარდა პეტრეს. — კატორღა კატორღაა, მაგრამ მზეს მაინც შეხედავენ.

— გიუნაშვილი როგორ დაასაფლავეთ? — იკითხა კობამ.

— დიდებულად. შუქრუთში გავასვენეთ აქედან. ისეთი დემონ-

სტრაცია გაიმართა, იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ კუბო როცა შუქრუთში ავასვენეთ, ბოლო ჭიათურაში იყო. წითელი დროშები ავაფრიალეთ და მარსელიოზა ვიმღერეთ. „ვარშავიანკაც“ ვიმღერეთ. მარსელიოზა და ვარშავიანკა ჩვენ ბათომელმა მუშებმა გვასწავლეს.

ბათომის გახსენებაზე კობამ ჩაიღიმილა.

— ჰო, გასვენების წინ პოლიცია გავაფრთხილეთ: ერთიან გავსწყდებით ან გაგწყვეტთ, თუ გვესროლეთო. უნდა გენახათ, როგორ გვიყურებდნენ ჯარი და პოლიცია. იარაღში ჩამჯდარნი იყვნენ, მაგრამ სროლა ვერ გაგვიბედეს. ჩვენი რაზმელებიც სულ თოფიარაღში იყვნენ ჩამჯდარნი. ჰო, პოლიციამ ვერ გაბედა სროლა. ერთი სასაცილო ამბავი მოხდა იმ გასვენებაზე. მღვდლები არ მოგვიწვევია, მაგრამ თავისი ნებით გამოცხადდა ორი მღვდელი, ვითომდა მიცვალებულის პატივსაცემად. მივასვენებთ მიცვალებულს მარსელიოზით და ვარშავიანკათი, ხოლო ეს ანაფორიანი ყვავები თავისას გალობენ და საცეცხლურს აქნევენ. ხალხმა სასაცილოდ აიგდო. მაშინ ერთმა უთხრა მეორეს:

— კაცო, დაანებე თავი მაგ საცეცხლურის ქნევას. ვერა ხედავ, არ უნდათ ეგ შენი საცეცხლური!

გაიპარა ორივე კუდამოძუებული. ხა... ხა....

— სიტყვა არავის უთქვამს? — შეეკითხა კობა.

— როგორ არა. ორატორები ხეზე ადიოდნენ და იქიდან ლაპარაკობდნენ, რომ ხალხს უკეთ გაეგონა. ყველაზე კარგი სიტყვა სტეპკო ინწკირველმა სთქვა. ახ, როგორი სიტყვა იყო. მიშა დავითაშვილმა იცის კიდევ ჩინებული ლაპარაკი, მაგრამ მიშა არ იყო მაშინ. სტეპკომ თან აატირა ხალხი, თან ისე გაახელა, რომ პოლიცია და ჯარი იქ ამოსულიყო, ეცემოდა ხალხი და დაბრდღვნიდა.

სიტყვების შემდეგ იქვე, მთელმა ხალხმა, ქალიან-კაციანა, სიტყვა მივეცით და ფიცი დავსდეთ სასაფლაოზე, რომ ბოლომდე მივიყვანთ იმ საქმეს, რომელსაც შაქრო შეეწირა.

— მაშასადამე, საომარ გუნებაზე ყოფილან ჭიათურელი მუშები!—ჩაიღიმილა კობამ. — ბრძოლა სწყურიათ.

— მერე როგორ! — წამოიძახა პეტრემ. — აი, მხოლოდ ერთი საქმეა მოსაგვარებელი: მეუმცირესეებთან ურთიერთობა. ბევრი მუშა დაბნეულია. ხალხიც რყევაშია. არ იციან, ვის გაყვნენ. მეუძრავლესეებს თუ მეუმცირესეებს? აქ დიდი მუშაობა გააჩაღეს მეუმცირესეებმა. ხალხი მაინც ყოყმანობს, განსაკუთრებით მაღა-

როელები. რაღაც ვერ გვიჯდება ჭკუაში მეუმცირესეთა სიტყვები. თითქოს ბინდ-ბუნდში დავდივართ. ჭიათურაში ისედაც შავია ჰაერი. საჭიროა ძლიერი შუქი, ფართო ნათელი, რომ ყველაფერი მზეზე გამოვიტანოთ.

— სწორეთ ამისათვის ჩამოველი, ამხანაგო პეტრე! ფიქრი ნუ გაქვს, ყველაფერი ნათელი გახდება.

მოისმა ფრთხილი ჩახველება. მოდიოდნენ კომიტეტის წევრები.

მატიანე

კობამ სტეპკო ინწკირველის რვეული გადაშალა: „რევოლუციის მატიანე". საგიტაციოდ გამომადგებაო და ღირსშესანიშნავი ამბები ჩაუწერია სტეპკოს. ოღონდ, კონსპირაციის მიზნით ისეთი შეცვლილი ხელით დაუწერია, რომ ვერავითარი ექსპერტი ვერ მიაწერდა ავტორს. კობამ ბევრი იცინა.

„... ეს ის დრო იყო, როცა 9 იანვრის ამბებმა ხალხი გამოაფხიზლა და რომანოვების იმპერიამ ქანაობა დაიწყო. 9 იანვრამდე მუშათა კლასის გულუბრყვილო ნაწილს კიდევ სჯეროდა „კეთილი მეფე". 9 იანვარს დაღვრილი სისხლის შემდეგ ეს რწმენა მოკვდა, და მუშათა კლასში გაჩნდა აზრი, რომ თხოვნითა და მოთმინებით არაფერი გამოვა.

„მოთმინების ფიალა მანამდეც ავსებული იყო. 9 იანვრის დახვრეტამ გასტეხა ეს ფიალა და გადმოიღვარა ის, რაც ნიაღვარივით მოედო მთელს იმპერიას გაფიცვებისა, დემონსტრაციებისა და აგრარული გამოსვლების სახით.

„იაპონიასთან შერცხვენილი მთავრობა უიარაღო ხალხს უსწორდებოდა ცეცხლითა და მახვილით. სასაცილო და აღმაშფოთებელი ის იყო, რომ მეფის მთავრობა იაპონიის წინააღმდეგ ხატებით დატვირთულ ეკონებს აგზავნიდა, ხოლო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ტყვიას არ ზოგავდა. ხალხი ხედავდა, რომ მეფის რეჟიმი გაკოტრდა და გაიხრწნა, რომ ძველებურად შეუძლებელი იყო ცხოვრება.

„ლენინი სწერდა: „რუსეთის ხალხი კი არა, თვითმპყრობელობა მივიდა სამარცხვინო დამარცხებამდე. რუსის ხალხი მოიგებს თვითმპყრობელობის დამარცხებით. პორტ-არტურის კაპიტულაციაცარიზმის კაპიტულაციის პროლოგია" [1].

---

[1] გაზ. „ეპერიოდი" № 1, 1905 წ.

„გამოფხიზლებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა, „ე. ი. არალეგალური მუშაობა სარდაფიდან ამოვიდა. დაიწყო რევოლუცია. ჰაერში მასობრივი აჯანყების სუნი ტრიალებდა. რევოლუციის ქარიშხალამ ყივილი დაიწყო და მებრძოლთ უხმობდა.

„ამიერ-კავკასია და, კერძოთ, საქართველო პირველი გამოეხმაურა რევოლუციის ქარიშხალს. 17 იანვარს გაიფიცა ბათომის რკინიგზა და ნავსადგური. 18 იანვარს გაიფიცა ბათომის მთელი პროლეტარიატი. (ამ ადგილს გვერდზე მინაწერი ჰქონდა: „სჩანს იმისი ხელი“... კობა მიხვდა ვისზე იყო ლაპარაკი). „ამავე დღეს გაიფიცა თბილისი. თბილისის გაფიცვა საყოველთაო გაფიცვად ჭადაიქცა: დაიკეტა ყველა ქარხანა და ფაბრიკა, სტამბები, შეწერდნენ გაზეთები (გამოდიოდა მხოლოდ „კავკაზი“), შესწყდა მოძრაობა. 21 იანვარს გაიფიცნენ სამტრედიის რკინიგზელები. 22 იანვარს გაიფიცა ფოთი. 25-ს გაიფიცა ჭიათურა, ტყიბული, შორაპანი, ყვირილა.

„23 იანვარს თბილისმა წითელი დროშა ასწია. ხალხსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

„ბაქოში გამოსვლები ჯერ კიდევ 1904 წლის დეკემბრის დამლევს დაიწყო. გაფიცული იყო 60.000 მუშა. ამ გაფიცვამ გაიმარჯვა. მაგრამ 9 იანვრის შემდეგ ბაქოს პროლეტარიატმა უკვე პოლიტიკური მოთხოვნილებები წამოაყენა და გვერდით ამოუდგა იმპერიის დანარჩენ პროლეტარიატს. (აქაც მინაწერი: „ბაქოს გამოსვლაც იმისი საქმეა“...).

„მთავრობამ დაინახა, რომ საქმე სახუმარო არ იყო და მეფემ რესკრიპტი გამოსცა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე. რესკრიპტში სწერია:

„... რუსეთის ხელმწიფენი ყოველთვის იღებდნენ მხედველობაში ჩვენის უდიდესის სახელმწიფოს განსაკუთრებულ პირობებს, ეროვნებათა სხვადასხვაობას, ზოგიერთ ადგილებში მოქალაქეობრივი განვითარების სისუსტეს და ამიტომ საჭირო ცვლილებებს შოახდენდნენ ხოლმე თანდათანობით და იმის მიხედვით, თუ რამდენად მომწიფდა ეს საჭიროებანი ჩემის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში, რათა წინდაუხედავის სიჩქარით არ დარღვეულიყო ისტორიული კავშირი წარსულთან და თანაც უზრუნველყოფილიყო მომავლისათვის ცვლილებათა სიმკვიდრე და სიმტკიცე...“ [1]

„მოძრაობა ქალაქებიდან სოფლებსაც გადაედო. გურია, სამეგ-

---

[1] „მოგზაური“ № 27, თებერვალი, 1905 წ.

რელო, იმერეთი — განსაკუთრებით გურია — ერთიან აღსდგა. (ისევ მინაწერი: „აქ ბევრია ბათომელი მუშები, „იმისი“ გამოზრდილი.“) ხალხმა გააუქმა მთავრობის დაწესებულებები და თავისი დააარსა. შექმნა ათისთავებისა, ასისთავებისა და ათასისთავების ინსტიტუტი. საინტერესო ისაა, რომ ეს ინსტიტუტი აღმასრულებელი ხელისუფლების როლს ასრულებს, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლების როლს სახალხო კრებები ასრულებენ. მთავრობას კურიოზი მოუვიდა ოზურგეთში. ქუთაისიდან საქმეების განსახილველად საოლქო სასამართლოს სესია ჩამოვიდა. გამოცხადდა სასამართლოს სესიის დღე. არც ერთი გურული არ მოვიდა სესიის სხდომაზე. არამც თუ მოწმეები და უბრალო დამსწრე ხალხი, არამედ არც ბრალდებული და არც მოპასუხე. რა სასტიკად დასცინა გურულმა ხალხმა მთავრობას?... ამ ბოიკოტმა გურული ხალხის დიდი პოლიტიკური თვითშეგნება და მომზადება გამოავლინა...

„ამ დროს მოგზაურობდა გურიაში მდივნისა, თარჯიმანისა და კორესპონდენტების თანხლებით კავკასიის მეფის მოადგილის („ნამესტნიკის“) საბჭოს წევრი, ცნობილი სულთან კრიმ-გირეი. მას გურიის მდგომარეობა უნდა გამოერკვია. გაზ. „მოგზაური“ ფხიზლად ადევნებდა თვალყურს კრიმ-გირეის მოგზაურობას და ვრცელ კორესპონდენციებს ათავსებდა. ყოველ სოფელში ხალხი გაბედულად, აშკარად გამოდიოდა. კრებები ხალხს დიდ პოლიტიკურ და მორალის საქმედ მიაჩნდა და კრებებზე მტრებს არ ისწრებდა. გაზ. „მოგზაური“ № 7-ის დამატებაში სწერდა: „საზოგადოებამ ერთხმად მოითხოვა მღვდლების, მამასახლისის და მწერლების დათხოვნა კრებიდან, რაც მალე სისრულეში მოყვანილ იქნა. ერთმა დეპუტატმა, რომელიც წესრიგს განაგებდა, გამოაცხადა: — დღეს მთავრობამ მცირეოდენი თავისუფლება მოგვანიჭა ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ. ამიტომ ქვეყნისა და ხალხის მოღალატეები ვინცა ხართო, გაგვშორდით, გაგვეცალეთ აქედან!“.

„ხალხი ყველგან შეგნებულად, მოფიქრებულად და კეთილშობილური ფორმით გამოსახავდა თავისს გასაჭირს. ყველა მოთხოვნილებები ფორმულებივით იყო ჩამოყალიბებული და რ. ს.-დ. მ. პ. პროგრამა-მინიმუმს ემყარებოდა.

„გლეხები ეუბნებოდნენ კრიმ-გირეის:

„... ვთხოულობთ მთელი ქვეყნის სახალხო კრების მოწვევას (დამფუძნებელი კრება). მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთ შეუძლიათ ხალხის საჭიროების გამოხატვა და ჩვენც მხოლოდ ამგვარ მთავრობას განვუცხადებთ ჩვენს ნდობას. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი

კაპიტალისტური ქვეყნები არის ბევრი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ იქაც ბევრია ღარიბი და მდიდარი, ჩაგრული და დაშჩაგვრელი. ესენი არიან მდიდრები — კაპიტალისტები და ღარიბები — მუშები. იქ ისინი ებრძვიან ერთმანეთს. ისე მოგვივა ჩვენც. მხოლოდ კაპიტალისტური მონობის მოსპობის შემდეგ დამყარდება ქვეყნად თანასწორობა და ბედნიერება. ეს კი ჩვენი შემდგომი მიზანია...“

„... ჩვენ სამართალი ხომ აღარა გვაქვს! სამართალი იმათია, ვისაც ჯიბე სქელი აქვს. გაჭირვებული კაცი ყველგან მტყუანი გამოდის. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოსამართლეები ხალხის ამორჩეული იყოს და ამასთანავე ნაფიცი. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება დანაშაულისათვის სამართალში მისცეს მოხელე“ („მოგზაური“ № 9).

„გლეხებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მათი გამოსვლა მეჩიდროდაა დაკავშირებული უზარმაზარი იმპერიის სივრცეზე დასახლებულ სხვა გლეხების ბრძოლასთან. ხიდისთავში კრიმ-გირეის უთხრეს:

„... მარტო თავისათვის ჩვენ არაფერს ვთხოულობთ. ასეთსავე ვაჭირვებას განიცდის რუსეთის ასმილიონიანი გლეხკაცობა“.

„მთავრობის წარმომადგენელმა გურულ გლეხკაცობას ერთი პროვოკაციული კითხვა დაუსვა, როცა გლეხობამ საყოველთაო სწავლების შემოღება მოითხოვა. კრიმ-გირეიმ ჰკითხა გურულებს:

„— იქნებ რუსული ენა არ არის საჭირო და მარტო ქართული გსურთ?

„— ჩვენ ყველა ენა გვინდა,—უპასუხა ხალხმა.— ქართულიც გვინდა და რუსულიც. სხვა ენაც რომ ვიცოდეთ, უკეთესია...

„სამეგრელოში ხალხი პირდაპირ მოქმედებაზე გადავიდა. დაიწყეს მემამულეთა აწიოკება, სასახლეების დაწვა, პოლიციის ხოცვა. ხალხმა ერთმანეთთან შეხვედრისას გამარჯობა-გაგიმარჯოს მიატოვა და საუკუნოებით განმტკიცებულ სალამის ნაცვლად „გაუმარჯოს ერთობას“ შემოიღო.

„გლეხები მოითხოვდნენ: პრესის თავისუფლებას, წოდებრივისა და სქესობრივი უთანასწორობის მოსპობას, დამფუძნებელი კრების მოწვევას, ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოდან; ბინის, პიროვნებისა და წერილების ხელშეუხებლობას; სრულ ადგილობრივ თვითმმართველობას; საყოველთაო და სავალდებულო სწავლას; ენის თავისუფლებას; პროგრესიული გადასახადის შემოღებას; მი-

წების წართმევას და გლეხებისათვის დარიგებას; ბატონყმობის ნაშთების მოსპობას"... („მოგზაური" № 23, 1905 წ.)

„რაჭა-ლეჩხუმშიც და სვანეთშიც ხალხი პოლიტიკურ თავისუფლებასა და ფეოდალური ნაშთების აღმოფხვრას მოითხოვდა. აქაც სწყვეტდნენ მთავრობასთან ყოველგვარ ურთიერთობას და თავისს არჩეულ პირებს ანდობდნენ საქმეების გაძღოლას. შესწყდა ქურდობა. აღმოჩნდა, რომ ხალხი პატიოსანია. ქურდობა და ბაცაცობა მხოლოდ მეფის მოხელეებისა და მათი დამქაშების საქმე ყოფილა...

„იმერეთში პოლიტიკურ გამოსვლებთან ერთად ხალხმა სამხედრო წრთვნას მიჰყო ხელი და მომავალი ბრძოლებისათვის მზადება დაიწყო. ასე, მაგალითად, იმარაგებდნენ იარაღს, ამზადებდნენ სანიტრებს, მოწყალების დებს, შესახვევ მასალას. დაიწყეს მემამულეთა და მთავრობის აგენტების განიარაღება...

„აღმოსავლეთ საქართველოში აგრარულმა გამოსვლებმა თავიდანვე სასტიკი ხასიათი მიიღო. საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მიწათმფლობელობა უფრო მსხვილია, ვიდრე დასავლეთში. გლეხების მდგომარეობა აქ უფრო მძიმეა. მემამულეები პირდაპირ ტვინს სწოვდნენ გლეხობას. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში საკომლო გადასახადი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე დასავლეთში".

კობამ წარბები შეიკრა. ამას წინათ თვითონ გაგზავნა მიშა დავითაშვილი — თავისი უახლოესი თანამშრომელი—ქართლში მოძრაობის სახელმძღვანელოდ. „ფარაჯიანი მიხო" — შეარქვეს მიშას ქართლში, მოუსმინეს და დაუჯერეს გლეხებმა.

„... მოძრაობა სწრაფად მოედო ოსეთსა და კახეთს. ყველგან ერთი და იგივე სურათი იყო საერთოდ. თვით ყველაზე ჩამორჩენილ თიანეთის მაზრაშიაც კი ამხედრდა გლეხობა, გარეკა მთავრობის აგენტები და მოითხოვა ახალი, სამართლიანი ცხოვრების პირობები...

„ყველა ამ ამბებს წინ უძღოდა საქართველოში ბათომის ამბები. 1902 წ. 9 მარტს „მასწავლებლის"[1] ხელმძღვანელობით ბათომის მუშები პირველად შეებრძოლნენ თვითმპყრობელობასა და კაპიტალიზმს. ბათომის მუშები პირველად ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. 9 მარტს გამართული დემონსტრაცია დახვრიტა მთავრობამ, მაგრამ ამ სისხლს მუშების სწრაფი გათვითცნობიერება

[1] სტალინის არალეგალური სახელი ბათუმში 1901 — 1902 წ. წ.

მოჰყვა. ბათომის ამბებმა რევოლუციის ცეცხლი და კლასობრივი შეგნება შეიტანეს საქართველოს სოფელში, განსაკუთრებით გურია-იმერეთ-სამეგრელოში. რევოლუციის მომავალმა ისტორიკოსმა ეს არ უნდა დაივიწყოს. ის, რაც 9 იანვარი იყო რუსეთის იმპერიისათვის, 9 მარტი იყო საქართველოსათვის...

„... ასეთ დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არის ერთიანი პარტია. ფაქტიურად, ეს უკვე ორი პარტიაა სხვადასხვა ტაქტიკით, მსოფლშეგრძნებითა და ბელადებით.

„... საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა მეუმცირესეთა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ტყუილად როდი დაშალა „მან“ მეუმცირესეთა გავლენის ქვეშ მოყოლილი თბილისის კომიტეტი და დააარსა ახალი...

„... თბილისის ახალი კომიტეტი იქნება პარტიის ნამდვილი წარმომადგენელი თბილისში და კავკასიის სხვა ამხანაგებთან ერთად გაგვიძღვება მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად“...

„... დღის წესრიგში დიდი და სერიოზული საკითხი დგას. მეუმცირესეთა ნიღაბის ჩამოხდა და მუშათა მასების მომხრობა...“

„... ამას ჩვენ მივაღწევთ მხოლოდ ამხ. კობას ხელმძღვანელობით“...

კობამ კვლავ შესჭმუხნა წარბი. ქება არ უყვარდა.

მახე

შაბათი იყო. შაბათობით მუშებს ხელფასს ურიგებდნენ. ამ საწყალ ხელფასს უამრავი თვალი უდარაჯებდა. შინ ნახევრად მშიერი ოჯახი, შემტვრეული ღობე, გარეთ მამასახლისი, ხუცესი, გზირი. მამასახლისს გადასახადი, ხუცესს დრამა, გზირს ფოსტის ფული. ყველასათვის უნდა გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი, ყველას უნდა გასწვდომოდა ეს საწყალი ხელფასი. ბევრი მტერი ჰყავდა მუშის ხელფასს.

აი მიდის შინისაკენ პერევისელი მუშა ტარიელი. ერთ-ორ ოყა პურს იყიდის შინ წასაღებად. ეგერ ფურნეც. მაგრამ ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ფურნე ერთი-ორია, ხოლო სამიკიტნოები უამრავი. ყველა სამიკიტნოს წინ მიკიტანი დგას. მუშებს უდარაჯებს. იციან მსუნაგებმა: დღეს მუშებმა ხელფასი მიიღეს. დიდი ვაჟკაცობაა საჭირო, ისე ჩაიარო სამიკიტნოების რიგი, რომ დუქანში არ შეუხვიო. ყოველი დუქნის წინ მახეა დაგებული. უცნაური და

მიმზიდველია ეს მახე. ვიტრინაში ღვინით სავსე ბოთლები დგას. აი, ყელმოღერებული, ტანწვრილი ვერმუტის ბოთლი. აი, მუცელგაბერილი თეთრი ბოთლები. შიგ სანთლის არაყი დგას, ცეცხლი რომ ლურჯად ეკიდება. აი თეფში. თეფშზე სამწვადე. ცხოვრების მადლი ამ სუკში ჩასისხლებულა და ეგაა. მშრალად მოხარშული ქონიანი ხაშლამა თითქოს ეუბნება ტარიელს: რას ცხოვრობ ქვეყანაზე თუ გვერდს ჩამივლიო... ან კავზე ჩამოკიდებული იმერული კუპატები, ბროწეულითა და სურნელოვანი ბალახით გაკეთილმობილებული. მხოლოდ შეხედე და წამსვე წარმოგიდგება, თუ როგორ აშიშინდება ცეცხლზე ეს თვალფართო ძეხვი, თუ როგორ დაუვლის ცეცხლი გარშემო, გახეთქს გარსს და შეიჭრება შიგ. გახეთქილი გარსიდან კუპატის შიგნეული წამოვა, მაგრამ ცეცხლს რომ დაინახავს, შეჩერდება, შეიკუმშება, და ტკრციალით დაეწვეთება ნაღვერდალზე: შე უღმერთო, რას მერჩი, რომ მომეკიდეო.

ახლა თევზს არ იკითხავთ? ახ, ასე ცოცხლად მოხარშულ თევზს, თითქოს კვლავად ცოცხალიაო, გვერდი როგორ ჩაუაროს კაცმა, თუ ჯიბეში ოდნავ მაინც უჭყავის ფული?

ან ეს მოხარშული დედლები? კანი რომ ასკდებათ სიმსუქნისაკან? რათ ღირს ახლა ნიორწყალში ეს დედალი?

ახლა ამ სულუგუნებს არ იკითხავთ, დინჯად რომ დალაგებულან ერთი მეორეზე და მადიანად ელიან ტარიელს?

მაგრამ ტარიელმა იცის, რომ ყველაფერი ეს ხაფანგია, რომ ჰიკიტანს საგანგებოდ აქვს ასე მორთული ვიტრინა.

ტარიელმა გაბედულად ჩაუარა ერთს, ორს...

ყველგან ერთი მეორეზე უკეთესი ვიტრინა. ყველგან ფესტამლიანი მიკიტანი და ქონიანი, მაცდური ღიმილი.

ახლა ეს ზარასპიც! რა შემპარავად, ზრდილობიანად, ტკბილად ესალმება ტარიელს და უღიმის! სად მიეჩქარება ნეტავი ტარიელს? ქვეყანა ასე იქნება და ასე იყო. კაცი კაცის წამალიაო, არ გაუგონია ტარიელს? შემობრძანდეს ერთი ზარასპისთან. ერთი ორი დღე იმიტომ ცხოვრობს ადამიანი, რომ ხალხში გამოჩნდეს, მტერიც ნახოს და მოყვარეც. ზარასპისთანა მოყვარეს სად იშოვის ტარიელი? ძაღლსაც კი შეუჭამია ეს სამწვადეც და ზარასპის ხორციც, თუ ძმაკაცები შემოელევა, თუ პურმარილი დაუძვირდება ძმაკაცთან...

ჰო, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ტარიელს რომ ეჩქარება? მართალია, პურღვინო ღმერთს გაუჩენია, მაგრამ რა ჰქნას ტარიელმა, თუ ეჩქარება? ესეც არის, რატომ უნდა დაიხარჯოს ტარიელის

ვულისათვის ზარასპი? არაა საჭირო ეს ხარჯი. ძმაკაცობისათვის კი დიდი შადლობა, თუ ზარჯსპი იკადრებს ტარიელის ძმაკაცობას...

ეხ, ტარიელ! შენ არ ყოფილხარ კაი კაცი. განა ხარჯზე უნდა ფიქრობდეს ადამიანი, როცა საქმე ძმაკაცობაზე მიდგება? ზარასპის ერთი-ორი შესიტყვება სწყურია ტარიელთან, ერთი ჩამოლოცვა, თორემ ფული ეშმაკსაც წაუღია... ფული... ფულს ყოველთვის იშოვის კაცი, ძმაკაცს კი ვერა... შემოვიდეს ტარიელი, ერთი ჭიქა ღვინო დაულიოს. რას ყოყმანობს? არ ყოყმანობს? თეთრი ღვინო ურჩევნია თუ წითელი? მარტო ერთი ჭიქა? არა, ტარიელ, შენ არ მოუკვდე ზარასპის! გეჩქარებაო? შე კაცო, ვინც იჩქარა, ისიც ვერ გასცილდა სასაფლაოს... აბა, სევასტია, ბიჭო, გაშალე სუფრა!..

ქართული ბოთლს უცნაური ჩვეულება აქვს: არ უყვარს მარტოობა. ვერ დადგება მარტოდ-მარტო. უეჭველად ძმა და ამხანაგი უნდა ამოიყენოს გვერდით. დამიჯერე, ტარიელ.

ჯანაბას! დაიმშვენოს მხარი ამ ბოთლმა, ოღონდ მეტი არა, ზარასპი! მეტი არ შეიძლება! ეჩქარება ტარიელს. ეს მეორე ბოთლი კი ტარიელს უნდა დაუთმოს ზარასპიმ. რაო? ეწყინება ზარასპის? თავმოყვარეობის საკითხია? ფიე, ეს რა იკადრა ზარასპიმ? თავმოყვარეობა ტარიელს არა აქვს თუ? არა, ზარასპი, ნუ გეწყინება და ამას არ იკადრებს ტარიელი. დაემდურება ზარასპის...

სევასტია ბიჭმა აშიშინებული კუპატები შემოიტანა. ორთქლი და სუნი ნესტოებს საამურად უღიტინებს.

აჰ, ამ კუპატს კი უნდა ცალკე ბოთლი. სამებითაა ღმერთი, დაილოცოს მისი სახელი!..

ჰოო, ეს უკვე მეტისმეტია! არა, ზარასპი, ამას უკვე არ დაგითმობს ტარიელი! აბა, ბიჭო სევასტია, ეს სამი ბოთლი მე ჩამითვალე! რაო? შენ ვინ გეკითხება! ხაზეინი გაგიწყრება? ხაზეინი მე ვარ აქ... აბა! სამი ბოთლიც იქ მიიტანე, კუთხეში რომ ბიჭები სხედან. ჩვენი პერევისელებია...

მიკიტნის თვალებმა გაიელვეს, გაიცინეს, ჩქარა მაგიდა მაგიდას შეუერთდა და ტარიელი თამადად აირჩიეს.

და რაც ვიტრინაში იყო შემწვარ-მოხარშული, სუფრაზე დაალაგა.

რა ხანია ტარიელს მადიანად არ უმღერია! აბა, ერთი სიმღერა, ბიჭებო!

სოფლური, ლამაზი სიმღერის ნაცვლად ვიღაცამ შორით ჩამოთრეული უშნო და უმგვანო დაიწყო:

„გულიმჯან, სულიმჯან,
ჯაან, გულიმჯან!
გული, სული დაჩაგრული,
ჯაან გულიმჯან!“..

გვიან გაიღვიძა მეორე დღეს ტარიელმა. ტკივოდა თავი და გამშრალი ჰქონდა პირი. იწყევლებოდა ცოლი და ტიროდნენ ფეხშიშველი ბავშვები...

ათიხთავი

პეტრე ჭიშკარს მოადგა და შემოიძახა:

— ტარიელ, გამოიხედე თუ ძმა ხარ! საქმე მაქვს.

— ოი, მაგას გაუჩნდა საქმე სასაფლაოზე! — მიაწყევლა თავსაფრიანმა ქალმა. — მე შენ გეტყვი და არ გამოგადგეს კარგ საქმეზე...

— რა იყო, სალომე, რამ გაგაბრაზა?

— თვითონ მოგიყვება თავის სიკეთეს, — და სალომემ კაბის ქობაზე ხელი მოიწმინდა, პეტრეს შეეგება.

პეტრემ რომ ტარიელის მარცხი გაიგო, მწარედ ჩაიცინა:

— ეხ, ჩემო სალომე! მთავრობას ჩინებულად აქვს მუშის გასაფცქვენი მანქანა ატრიალებული. თქვენ გგონიათ მარტო ტარიელს მოუვიდა ეგ მარცხი? მე რამდენჯერ გამფცქვნეს ასე... ჩვენს ოფლში გამოხარშულ ფულს ათასი მახე უგია.

— ჩიტი ხომ არა ხარ, მახეში გაება?

— ჭკვიანი ჩიტი ორივე ფეხით გაებმებაო — არ გაგიგონია?

— ეხ, საანდაზოდ კია ჩვენი საქმე გადაქცეული. აგერ ტყემალი გადათეთრებულია და ჩვენ კი სახნავი მიწა ვერ მიგვიჩენია. ვეუბნები ტარიელს, ავიღოთ და მოვხნათ შარშანდელი მიწა მეთქი. ეშინია, პოლიცია არ დაგვასიოსო თავადმა.

სალომემ ხმას დაუწია:

— როგორაა, ბატონო, ერთობის საქმე? მართალია, რომ გლეხებს მიწებს დაგვირიგებენო?

— დიდი ამბებია, ჩემო სალომე! დიდი ამბები! ირყევა მეფის ტახტი. ხომ ჰკითხულობ გაზეთებს? ყველა აუმხედრდა მეფეს.

— მაგრამ რომ არ ჩამოვარდა ეგ სამიწე?

— ერთობაა საჭირო, ჩემო ბატონო, ერთობა!

—მეტი ერთობა შეიძლება? ქალი და კაცი ყალყზეა შემდგარი.

— ეს ასეა, მაგრამ მაინც არაა ერთობა. ზოგი ალთას, ზოგი ბალთას. ჩვენი პარტიაც გაიყო შუაზე და სულ აირია მონასტერი.

— ასეთ დროს რა გაქვთ, ბატონო, გასაყოფი? შეთანხმდით.

— გასაყოფი რა გვაქვს, მაგრამ საერთოც რომ არა გვაქვს? ამას წინათ ორი ორატორი ჩამოვიდა ჭიათურაში: საშა წულუკიძე და ნოე ხომერიკი. იდავეს, იკამათეს და გაბრუნდნენ. ჩვენ რას შევთანხმდებოდით, როცა განხეთქილება სათავეში მოხდა და იქიდან მოდის?

— ნეტავი ისეთი კაცი გამოჩნდებოდეს, მტერ-მოყვარეს თავთავის ადგილს მიუჩენდეს, — ინატრა სალომემ. — ახლა ყველა ერთობაზე გაიძახის. მიხაკო წეროძეც კი, შავი ქვის მრეწველი, ერთობაზე გაიძახის. კაცი გვინდა, გზის მაშუქი...

პეტრემ მიიხედ-მოიხედა და ჩუმად უთხრა:

— ჩამოვიდა ასეთი კაცი. დიდი ხელმძღვანელი ჩამოვიდა... ბათომის ამბები ხომ იცი? ჰაი, რა ამბები დავატრიალეთ მაშინ ბათომში? ასი წელი ვიცოცხლო, არ დამავიწყდება! აი, იმ ამბების მეთაური ჩამოვიდა.

— აკი გადასახლებული იყო!

— გამოიქცა. აი, ის ჩამოვიდა. ხვალ პერევისაში დიდი კრება გვექნება. ტარიელს იმიტომ გამოვუარე, რომ არ დააკლდეს.

მოისმა ხველა. ტარიელმა თავი გადმოჰყო ფანჯრიდან. მორცხვად მიესალმა სტუმარს. მორცხვადვე უთხრა — მოვალ, რასაკვირველია, მოვალო...

— ნეტავი მეც შემეძლოს დასწრება, — ინატრა სალომემ.

— სოფლებშიაც იქნება კრებები მოწყობილი, — უთხრა პეტრემ. — ფაცია გალდავა ამოვა ქალებთან მოსალაპარაკებლად.

— აი, ის ლამაზი, ერთობის ქალიშვილი?

— დიახ. თქვენ, ჩემო ბატონო, უნდა შეამზადოთ ქალები, დაეხმარეთ საერთო საქმეს.

— მე რა ლაპარაკი მინდა. ცეცხლზე ნავთს გადავასხამ.

— აბა, წავიდეთ, ტარიელ! გამო, ნუ გრცხვენია! ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

ტარიელი დარცხვენილად გამოვიდა. პეტრე წამოდგა.

— ტარიელ, სალომესთან რა დასამალავია. შენთან ორგანიზაციამ გამომაგზავნა. მართალი ბათმანივით კაცი ხარ. შენ უნდა დაგასახელოთ ათისთავად.

— მე... ათისთავად? — ეოცა ტარიელს. — მე?

— დიახ, შენ. წავიდეთ სტეპკოსთან, მთავარ ხელმძღვანელს გაგაცნობს. აი, იმას, ვინც ჩამოვიდა და უნდა გვაბრძოლოს.

— მე ათისთავად? — ისევ გაოცებულად იკითხა ტარიელმა.

— დიახ შენ. ოღონდ გახსოვდეს, ათისთავი სუფთა ჭიქასავით უნდა იყოს. აბა, წავიდეთ, კიდევ მაქვს მოსალაპარაკებელი.

ტარიელმა თავი ასწია, ამაყად, დარწმუნებით წამოიძახა:

— ტარიელი ჩაძაღლდეს მაღაროში, თუ იმედი არ გაგიმართლეთ. ქალო, მოიტა ჩემი ქამარ-ხანჯალი... ათისთავი.. ჰა... გამოვდგები ვითომ? როგორი დიდება მომივიდა, ა?.. წავიდეთ...

მანაწესი

სტეპკოს ინფორმაციამ ცხადჰყო, რომ საჭირო იყო მეუმრავლესეთა უჯრედების დამოუკიდებელი არსებობა ყველა მაღაროში და სოფელში. საჭირო იყო მეუმცირესეებისაგან გამიჯვნა და სადავო საკითხების საჯაროდ გამოტანა.

— საჭიროა ყველგან გვყავდეს ორგანიზაცია. — აუხსნა კობამ ამხანაგებს. — ორგანიზაცია შემოიკრებს ძალებს, დარაზმავს ხალხს. რიცხვს ნუ გამოუდგებით. უნდა გავმართოთ ღია დისკუსიები. გავიტანოთ მუშებში სადავო საკითხები. თვითონ მუშებმა სთქვან, ვის მიჰყვებიან, ვისთან არიან. დაინახონ, რომ ჩვენ და მეუმცირესეებს ორი სხვადასხვა გზა გვაქვს. ერთი გზა მეორის გამომრიცხველია.

ყველა წევრს მიუჩინეს თავისი სამუშაო უბანი.

სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელს, ჟელეზნის, იარაღის შეძენა და წითელრაზმელების წრთვნა დაევალა. გამოირკვა, რომ ამ მხრივ საქმე კარგადაა. წითელრაზმელები, რომელთაც სახალხო რაზმელებსაც ეძახდნენ, ათეულებად დაუყვიათ. ყოველ ათეულს ათისთავი ჰყოლია დანიშნული ყოფილ ჯარისკაცებისაგან. სამხედრო ვარჯიშობა ხშირად იმართება და მონაწილენი ხალისით სწავლობენ სამხედრო საქმეს.

დანაწილებულ იქნა პროპაგანდისტები მაღაროებსა და სოფლებში. ერთმა პროპაგანდისტმა ყოყმანი დაიწყო: შორია, ვერ წავალო.

— როგორ თუ ვერ წახვალ? — გაუკვირდა კობას.

— აბა რა წამიყვანს იმ სიშორეზე ფეხით!

— კაცო, აბა ეტლით ხომ არ მიხვალ პროპაგანდისტი?—გაუკვირდა სტეპკოს.

— თუ ვერ წახვალთ, სულაც არ წახვალთ, — უთხრა ოჩან პროპაგანდისტს კობამ და ამოშალა სიიდან.

ერთი კვირის შემდეგ დიდი თხოვნა დასჭირდათ ამხანაგებს, რომ კობას ისევ მიეღო ამოშლილი პროპაგანდისტი სამუშაოზე.

კობამ მოახსენა კომიტეტს, რომ საჭირო იყო ერთი ამხანაგის გამოყოფა არალეგალურ სტამბაში სამუშაოდ.

— როგორ? გვაქვს არალეგალური სტამბა?

— გვექნება. ადგილიც შევარჩიეთ მე და სტეპკომ. საჭიროა ასოთამწყობი, რომელიც შეისწავლის ბეჭდვას.

— მერე ვინ ასწავლის?

— მე ვასწავლი. გარდა ამისა, თბილისიდან ჩამოვა არალეგალური ასოთამწყობი, ავლაბრის სტამბიდან, და ის შეასწავლის.

— ფაცია გალდავა! ფაცია! — დაასახელეს ერთხმად.

ფაციას სიწითლე შეეპარა ლოყებზე. თვალებმა სიხარულით გაუელვა.

ყველამ მიიღო დავალება. გადაწყვიტეს: პირველი ღია დისკუსია მეუმცირესებთან პერევისაში გამართულიყო.

კობამ გამოაცხადა, რომ მეუმცირესეთა თბილისის კომიტეტმა ჭიათურაში, დისკუსიების მოსაწყობად ისიდორე რამიშვილი და გრიგოლ ლორთქიფანიძე გამოაგზავნა.

— უკვე ჩამოვიდნენ? — იკითხა პეტრემ.

— ჩამოვიდნენ, — უპასუხა სტეპკომ. — წუხელის ბანკეტი ჰქონდათ ზაქარია გურულთან, მათ პროპაგანდისტთან.

— მაგრამ ის ხომ მრეწველია? — გაუკვირდა ფაციას.

— ისიცაა და ისიც. ორ კურდღელს იჭერს.

გაეცინათ...

პერევისა

გიორგი დაღონებული მიდიოდა პერევისისაკენ. ვიწრო გზა ხრამის პირას მიჰყვებოდა. ალაგ-ალაგ, გზის პირას, ძერძა ეკალა ხარობდა. ალაგ-ალაგ, ძუნწად, მწვანე ბალახი და ფერმკრთალი ია. გიორგის გვერდით კახა მიღიღინებდა. ხანდახან კახა დაიხრეზოდა, იას მოსწყვეტდა, ისევ განაგრძობდა ღიღინს. თბილი, მზიანი დღე იყო და კარგ გუნებაზე იყო კახა.

— რამ ჩაგაფიქრა, გიორგი?

— ეხ, კახა, ვერ არის კარგად საქმე. არ მომწონს ჩვენი პარტიის გათიშვა. ახლა მეფეს უნდა ვებრძოლოთ, ძალები გავაერთიანოთ. ერთს მაგარს, ძლიერს ჯარს უნდა წარმოვადგენდეთ. ასე არაა? ჰო და ამის ნაცვლად გათიშვა? როგორ მოგწონს?

— რასაკვირველია, არაა კარგი. მაგრამ საქმე მოწონება-არ-მოწონებაზე როდია, საქმე ისაა, ვისი გზაა მართალი? მეუმრავ-ლესობისა თუ მეუმცირესობისა? მართალია ჩვენი გზა.

— შენ მეუმცირესეთა პროპაგანდისტი ხარ, კახა, და იმიტომ ამართლებ შენიანებს. მე რა ვქნა, რომ არც იქით ვარ და არც აქეთ?

— აი, ეს კი არ ვარგა. თუ რამე გესმის, ან იქით უნდა იყო, ან აქეთ.

— მე ვფიქრობ, რომ იქით და აქეთ ყოფნით არ მტკიცდება კაცის გარკვეულობა.

— სწორედ რომ მტკიცდება, ჩემო გიორგი! შენ ჭაობში ხარ.

— ჭაობი რა მოსატანია?

— ჭაობს იმათ ეძახიან, ვინც არც იქითაა და არც აქეთ.

— უკაცრავად შენთან. მე ჭაობი არა ვარ. მე ბევრს ვფიქ-რობ, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია. როცა შენ გიგდებ ყურს, შენ ხარ მართალი. როცა მიშა დავითაშვილს ან სტეპკო ინწკირველს,— ისინი არიან მართალი. მაგრამ ესეც ვიცი, რომ ორი სიმართლე არ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხში. ვკითხულობ გაზეთსაც, წიგნებსაც, რამდენიც გამეგება, მაგრამ პარტიის გათიშვას ვერ შევრიგებივარ. გული მტკივა.

— გულის ტკივილი რა შუაშია? გარკვევაა საჭირო. რამდენ-ჯერ მითქვამს: მეუმრავლესენი ბლანკისტები არიან. მათ სურთ ისტორიას გადაახტნენ. აქ თავია საჭირო, მოფიქრება. რა შუაშია გული? ბავშვობ?

— მე არ ვიცი, რა შუაშია. მე ის ვიცი, რასაც გეუბნები. შენ კი თითქოს დამცინი კიდეც.

კახამ განაგრძო ღიღინი. გიორგი გაიბუტა.

ვერ იყო კარგ გუნებაზე გიორგი. მთელი მისი ცხოვრება გა-ნუწყვეტელი, დაუსრულებელი და უსიხარულო იყო ბავშვობი-დანვე. არავითარი იმედი არ იყო, რომ მუშას ოდესმე ადამიანური ცხოვრება დაუდგებოდა. ახსოვს გიორგის ის დიდი გაკვირვება და სიხარული, როცა 1901 წელს თბილისში პირველად ნახა აფრია-ლებული წითელი დროშა, პირველად გაიგონა:

— ძირს თვითმპყრობელობა!

იკითხა და გაიგო, რას ნიშნავდა წითელი დროშა და პირვე-ლი მაისი. მას შემდეგ ჩაება რევოლუციაში და სულ იმის ოც-ნებაში იყო, როგორმე მოახლოვებულიყო თავისუფლების დღე. ჰიათურაში გადმოსვლის შემდეგ პარტიაშიაც შევიდა. მუშაობდა

და ოცნებობდა შორეულის მოახლოვებაზე. აჰა, მოახლოვდა თითქოს ეს შორეულიც. ხალხი ამოძრავდა, აშკარად ლაპარაკობდა თავის ჭირვარამზე, იარაღსაც აჟღარუნებდა. და ამ დროს ხელმძღვანელი პარტიის გათიშვა? იმ პარტიისა, რომელიც სათაეში უდგას რევოლუციას? რომელმაც უნდა წაიყვანოს ხალხი აღთქმულ ქვეყნისაკენ, სოციალიზმისაკენ?

არა, არ მოსწონს ეს გათიშვა გიორგის. მთელი თავისი არსებით წინააღმდეგი იქნება გიორგი ამ გათიშვისა დღევანდელ კრებაზე. გავლენიანი მუშაა გიორგი. მას ხშირად ირჩევენ თავმჯდომარედ მიუდგომლობისა გამო. გამოვა დღევანდელ კრებაზე და მოუწოდებს დათმობისაკენ, გაერთიანებისაკენ. დაჰგმობს იმათ, ვინც ღრღნის პარტიის ძვალს, სჯიჯგნის პარტიის გულღვიძლს. არავის დაინდობს გიორგი, ყველას ამხელს, ვინც უნდა იყოს, თუნდაც ინტელიგენტი. რა ვუყოთ მერე, ინტელიგენტი და ნასწავლი რომაა? პარტია მუშებისაა. პარტია გიორგისაა. ხომ ეწოღებოდა პარტიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. — მაშ, კეთილინებონ და დაუჯერონ მუშას. რა მცოდნია მე თქვენი ინტელიგენტური თავმოყვარეობისა და კინკლაობისა? მიანებეთ თავი კინკლაობას, თორემ მუშამ მოსმენაც იცის და განსჯაც. მუშა სულელი კი ნუ გგონიათ! აი, ყველაფერს ამას იტყვის დღეს გიორგი. იტყვის, შენ არ მომიკვდე...

— რას იტყვი, გიორგი? — ჰკითხა კახამ.

— რას? — გაუკვირდა გიორგის და მიხვდა, რომ თავის თავსვე ელაპარაკებოდა. ცოტა არ იყოს შერცხვა და ჩაილაპარაკა:— ირაფერს. იქ ვნახავთ.

— მაინც, — გაიცინა კახამ, — ისევ გათიშვაზე ფიქრობ?

— რა გაცინებს? — აენთო გიორგი. — შენთვის, ბიძი, განხეთქილება სასაცილოა, როგორც ვატყობ. ჩემთვის კი სიკვდილია. რევოლუცია რომ დამარცხდეს, მე ისევ 16 საათი უნდა ვიმუშაო. ისევ სველ მიწაზე და გვიმრაზე უნდა დავწვე ბნელ მაღაროში, ისევ ძაღლურად უნდა ვათრიო დღეები. შენ კი წახვალ და მოეწყობი სადმე კანტორაში. ნოქრად დაუდგები ფორვუდს, პანასიეს ან იმავე ზაქარია გურულს.

— რატომ გგონია ასე? — ეწყინა კახას.

— რატომ და ხომ სწერენ მეუმცირესენი, შენივე ამხანაგები, ინტელიგენცია დროებით არისო ჩვენთან?

— მაშ, თუ ეს ასეა, შენ მეუმცირესე ყოფილხარ, — ირონიულად უპასუხა კახამ.

— მე უკვე გითხარი: არც მეუმცირესე ვარ და არც მეუმრავ-ლესე. მე მუშა ვარ, მაძიებელი. რამდენია ჩემისთანა. გარკვევა ვინდა იმ საკითხში, თქვენ რომ შემოათრიეთ ჩვენი პარტიის კარებში. გაიგეთ? ჩვენი, მუშათა პარტიის კარებში... თუ არ მოგი-გვარებიათ ეს საკითხი, გცემთ პატივს...

კახამ დაინახა, რომ გიორგის ულვაშები აუკანკალდა, რომ გიორგი მუშური გულწრფელობითა და უშუალობით ლაპარაკობ-და. კახამ იგრძნო, რომ პარტია გიორგისთვის ნამდვილი სულიერი ოჯახი იყო და გიორგი ერთგული შვილივით იცავდა ამ ოჯახის სიწმინდეს.

კახამ პატივისცემით და მორიდებით შეხედა გიორგის. ასეთი გრძნობა გიორგისადმი ჯერ არ ჰქონია კახას. უდარდელი ღიღინი წამსვე შესწყვიტა და ჩაფიქრდა. ცალი თვალით გიორგისკენ გაი-ხედა.

გიორგის ისევ ისე უკანკალებდა ულვაში.

კახა ერთი ნაბიჯით მოერიდა გიორგის. რა უპასუხოს გიორ-გის? რა ვუყოთ, რომ კახა არაა მუშა? განა სავალდებულოა? სა-ჭიროა სწამდეს კახას იმ გზის სისწორე, რომელზედაც ადგია მუ-შათა კლასი, ე. ი. მილიონი გიორგი, და კახაც წმინდა სინიდისით ემსახურება ამ გზას. განა ამისათვის არ გამოაგდეს კახა სასწავ-ლებლიდან? განა კახა გულწრფელი სოციალისტი არაა? მართა-ლია, კახა მეუმცირესეა, მაგრამ პარტიაში მომხდარი განხეთქი-ლების შემდეგ ხომ უნდა მიჰკედლებოდა კახა მეუმცირესეთ ან მეუმრავლესეთ? ბოლოსდაბოლოს, არც ისე საინტერესოა, უეჭ-ველად რომელიმე მხარეს მიემხრო. საჭიროა იყო სოციალ-დემოკ-რატი, ხოლო რომელი კარიდან შეხვალ სოციალიზმში, მარჯვნი-დან თუ მარცხნიდან, სულ ერთი არაა?

ასე უდარდელად ფიქრობდა კახა და თავისი თავი ნამდვილ პარტიულ მოღვაწედ მიაჩნდა. კარგი მოლაპარაკე იყო, ენაწყლია-ნი, და მეუმცირესეებმა ქუთაისიდან ჭიათურაში გამოგზავნეს პროპაგანდისტად. აი დღესაც, მეუმცირესეებმა პროპაგანდისტე-ბის მობილიზაცია გამოაცხადეს და კახა პერევისაში მიდის. პერე-ვისაში კი დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. თურმე თვითონ კობა ჩამოსულა...

* * *

პერევისაში სამასამდე კაცი შეკრებილიყო. იცოდნენ, რომ ლიდერები შეებმოდნენ ერთმანეთს. მუშათა უმრავლესობა გამო-ურკვეველი იყო. ვერ გადაეწყვიტათ ჯერ კიდევ, ვინ ვის მიმხრო-

ბოდა, ვინ იყო მართალი, რომელი მხარე. ათასი სხვადასხვა ხმა დადიოდა. ზოგს უკვირდა პარტიის გათიშვა. ზოგი ყურმოკრულ ამბავს აჰყოლოდა: პარტიის განხეთქილება ლიდერების პირადი კინკლაობის შედეგიაო. ზოგი სწუხდა: რა დროს ეგაო? ზოგიც უდარდელად იყო: პარტიელები თუ ცხვირპირს ამტვრევენ ერთმანეთს, მე რათ მინდა ისეთი პარტიაო.

მეუმრავლესეთა ახალი ხელმძღვანელის ჩამოსვლამ ყველა დაინტერესა. როგორია ეს ახალი? ესეც ხომ ზაქარია გურულივით არ დაიწყებს გინებას და მოწინააღმდეგის შეურაცხყოფას? რა შედარება�ა, ჩაურთავდნენ ზოგიერთნი. ეს ის კაცი ყოფილა, ბათომი რომ გაჰფიცა 1902 წელს. ციმბირიდან გამოქცეულა. სულ არალეგალურად მუშაობს თურმე. შარშან დეკემბერს რომ გაფიცვა გამოვაცხადეთ და მოვიგეთ, თურმე მისი ხელმძღვანელობით ყოფილა... ყოფილა ჭიათურაში? ყოფილა კი არა, შარშან გაფიცვა მოგვაგებინა. ახ, ნახონ ერთი მუშებმა ეს მოამაგე...

— ნეტავი ჩქარა ვნახო ახალი ხელმძღვანელი! — უთხრა ტარიელმა გიორგის. — გახსოვს, ხმები რომ დაყარეს: მეუმრავლესენი ქურდობას უწყობენო ხელს?

— როგორ თუ ქურდობას უწყობენო ხელს?—გაუკვირდა კახას.

— თქვენ ალბათ ახლად ჩამოსული ბრძანდებით, — უპასუხა ტარიელმა. — არ იცით აქაური ავანჩავანი. როგორ, ჩემო ბატონო და, გახშირდა ქურდობა, ყაჩაღობა. ვერც პოლიციამ, ვერც ორგანიზაციამ ვერ აღმოაჩინეს ავაზაკები. მეუმცირესეებმა ხმები დაყარეს, როგორც მოგახსენეთ, ქურდ-ბაცაცობას მეუმრავლესენი უწყობენო ხელს. ერთხელ დიდძალი ტყავი მოიპარეს მაღაზიიდან. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. ვერ აღმოაჩინეს. მაშინ პოლიციამაც დაიწყო ხმების გავრცელება: ტყავი მეუმრავლესეებმა მოიპარესო.

— რა საძაგლობაა! — წამოიძახა კახამ: — ვერ მოძებნეთ ნამდვილი ქურდი?

— მეუმრავლესეებმა მოსძებნეს. ვინმე მექვაბიძე აღმოჩნდა. აჰკიდეს ზურგზე მისი მოპარული ტყავი და ჩამოიყვანეს მაზრაში. უამრავი ხალხი შეიკრიბა. მოსთხოვეს სიმართლე ეთქვა ხალხის წინ, საჯაროდ.

— რა სთქვა? რა სთქვა? — და კახა დაიხარა ტარიელისაკენ.

— არავითარი კავშირი არა მაქვსო რევოლუციასთან... უფრო საინტერესო იყო ერისტო მიქაბაძის ავაზაკობა. ეს მიქაბაძე, შენ ხარ ჩემი ბატონი, დალაქი იყო.

— საინტერესო ამბავია, საინტერესო! — მოისმა გარშემო, და თუმცა მსმენელებში ბევრმა იცოდა მიქაბაძის ამბავი, მაინც შეჯგუფდნენ ტარიელთან. ტარიელს უყვარდა ლაპარაკი და განაგრძო:

— მიქაბაძეს მუდამ შეხვეული ჰქონდა თავი ყაბალახით. ყველას უკვირდა. ის კი ამბობდა, კანი დაზიანებული მაქვს და არ მინდა გამოვაჩინოო. თურმე ნუ იტყვი, იმ დალაქს ხუცესივით გრძელი თმები არ გაუზრდია? ავაზაკების ჯგუფი არ ყოლია? როცა საყაჩაღოდ წავიდოდა, თმას ჩამოიშლიდა, სახეზე მურს წაიცხებდა. მეორე დღეს ისევ ჩაიკეცავდა თმას ყაბალახში და პარსავდა და კრეჭდა ხალხს. ხალხში ხმები დადიოდა: მთავარ ავაზაკს გრძელი თმები აქვსო, სოციალისტივით. იმასაც ამბობდნენ, მეუმცირესენი, რასაკვირველია, მეუმრავლესენი უწყობენო ხელს ძარცვა-გლეჯასო.

— შენ, ჩემო ძმაო, პროვოკაციას ეწევი! — დაუყვირა კახამ ტარიელს. — სახელს გვიტეხავ მეუმცირესეებს.

— მე არც მეუმცირესე ვარ და არც მეუმრავლესე, — დინჯად უპასუხა ტარიელმა. — სახელი ვისაც გატეხილი აქვს, ეცადოს გააჯანმრთელოს.

— მართალია, მართალი! — უთხრეს მუშებმა კახას. — მეუმცირესენი მართლა ავრცელებდნენ ასეთ ხმებს. აი, დაუგდეთ ყური როგორ გამოირკვა ეს ამბავი. განაგრძე, ტარიელ!

— ერთხელ ერთმა მთვრალმა სტაცა ხელი დალაქს და მოხსნა ყაბალახი. გამოჩნდა გრძელი თმა. დალაქმა კინაღამ მოჰკლა ის კაცი. ძლივს გამოსტაცეს ხელიდან. სტეპკო ინწკირველმა უთხრა თურმე თავისიანებს: ბიჭებო, ეს არ იყოს ის ავაზაკი, რომლის სახელით სახელს გვიტეხენო მეუმცირესენი. დაუნიშნეს ზვერვა და ქე არ დაიჭირეს! გამოტყდა ყველაფერში.

— რას ამბობთ?

— ჰკითხეთ ილიკოს, აი ეგერ გაცხარებით რომ უხსნის მუშებს მეუმრავლესეთა პროგრამას. ის გეტყვით უფრო დაწვრილებით. მისი მეთაურობით გაიხსნა ეს საქმე. მანვე ჩააძაღლა ის ავაზაკი ჭიქაურაში. დავუძახო?

— არა! არა! გამომძიებელი ხომ არა ვარ, — უპასუხა კახამ— თქვენ კიდეც გაგისამართლებიათ. ხალხმა როგორ მიიღო ეს ამბავი?

— ძალიან გაბრაზდა მეუმცირესეებზე. აბა, რა საკადრისია ასეთი ცილისწამება?..

კახა გაბრუნდა და განმარტოვდა. მისთვის მოულოდნელი იყო

პოლიტიკური ბრძოლის ასეთი მეთოდი და ამან მეტად ჩაფიქრა. არ ეთანხმები იდეურ მოწინააღმდეგეს? ჰო, მაგრამ სინიდისიც კარგი საქონელია. რა საკადრისია ქურდობის დაბრალება?

კახა ქვაზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. სულ დაავიწყდა ისიდორე რამიშვილის დავალება: კრებაზე ადრე მიდი, ერთი-ორი მუშა შეამზადეო.

— მოვიდნენ! მოვიდნენ! — გაისმა შეძახილები, და კახა გამოერკვა.

გამოჩნდნენ ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე. კახა ადგა. თავი დაუკრა. გრიგოლსა და ისიდორეს უკან მთელი ამალა მოსდევდა ზაქარია გურულის მეთაურობით.

— კობა მოვიდა, კობა! მეუმრავლესეთა ლიდერი! — გაისმა ისევ ხალხში.

— რომელია? რომელი? — იკითხა კახამ.

— აი ეგერა, წიგნი და ბლოკნოტი რომ უჭირავს ხელში.

კახას უნდოდა კარგად დაეთვალიერებინა, მაგრამ ლიდერებს ხალხი შემოეხვია და კახა ძალაუნებურად გაანაპირეს. კახას საბედნიეროდ იქვე დიდი ქვა იდო და კახა ზედ მოეწყო. ახლა კი შეათვალიერა ყველა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ჯგუფში ისიდორეს გარდა ყველას აზიზად ეცვა, ევროპულ ყაიდაზე. თეთრი გახამებული საყელო, ფერადი ჰალსტუკები. ტანში გამოჭირებული კოსტუმები. ორ თანმხლებელს, რომელთაც პარიზელ № 1-ს და პარიზელ № 2-ს ეძახდნენ, ხელთათმანებიც კი ჰქონდათ.

კახამ შენიშნა, რომ მუშებს არ მოეწონათ ასე აზიზად ჩაცმულობა და სიამოვნებით გადაიტანეს თვალი სადათ ჩაცმულ კობასა და ისიდორეზე.

მართლაც, თვალს ის ეცემოდა, რომ შავი ქვის მაღაროსთან, სადაც ყველაფერი შავი იყო, ეს გახამებული საყელოები მეტისმეტად თეთრად მოსჩანდა.

თავმჯდომარის ამორჩევამ დიდი აურზაური გამოიწვია. ორივე მხარე თავის კანდიდატებს ასახელებდა. ატყდა ყვირილი, მიწევ-მოწევა. მაშინ ქვაზე ავიდა გიორგი. მისი წარმოსადეგი ვაჟკაცური ფიგურა, შავი სახე და შავი წვერულვაში შავი ქვისგან გამოქანდაკებულსა ჰგავდა.

— ამხანაგებო! — ხმაც ჰქონდა რიხიანი, მტკიცე, შეუვალი.— ჩვენ აქ იმიტომ კი არ მოვსულვართ, თავმჯდომარის არჩევაზე ვიდავოთ. სადავო სხვა გვაქვს. პრეზიდენტს კი არ ვირჩევთ. ჩვენ მოვედით ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხის გადასაწ-

ყვეტად. მე არც მეუმცირესე ვარ და არც მეუმრავლესე. მე მუშა რომ ვარ, გული შემტკივა ჩემს პარტიაზე, მინდა გავერკვე კარგად მტყუან-მართალში. ასეთი აქ უმრავლესობაა.

— მართალია! გარკვევა გვინდა და არა ჩხუბი თავმჯდომარისათვის!

— ავირჩიოთ ისეთი კაცი, რომელიც მიუდგომლად გაუძღვება კრებას და მიტინგს.

— ამხანაგი გიორგი თავმჯდომარედ! ამხანაგი გიორგი!—გაისმა ხალხში.

— ძალიან კარგი! — უპასუხა გიორგიმ ხალხს. — თამადად როდი მირჩევთ, შეპატიჟება რომ დავიწყო... მაშ ასე. ჩვენი მაღაროს მუშების მიტინგს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჭიათურის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგი ყველამ ვიცით. სხვა საკითხს მე არც კი დავუშვებ. ეს საკითხია ჩვენთვის მთავარი. ჩვენ, პარტიულსა და უპარტიო მუშებს, ეს გვაინტერესებს. ვინაა მართალი: მეუმცირესენი თუ მეუმრავლესენი? დღეს აქ მოვიდნენ ორივე მიმართულების ლიდერები. მოვუსმინოთ, გავერკვეთ... მორჩა, ამაზე მსჯელობას არავის ვაძლევ. უდავოა ეს. სიტყვა ეკუთვნის პატივცემულ ამხანაგს ისიდორე რამიშვილს.

ოდხავ მჟღერავი ხმით, თითქოს ყოველი სიტყვა ვერცხლის მანეთიანივით ამოაქვსო ჯიბიდან, დაიწყო ისიდორემ.

— ამხანაგებო! არსებობს ერთი ლეგენდა, ჭაღარა ჩვენი კავკასიონივით და უკვდავი, როგორც კაცობრიობის ტოლოვა თავისუფლებისაკენ. ეს არის ამირანის ლეგენდა. მან, დიდებულმა გმირმა, ცეცხლი ჩამოუტანა ადამიანებს ბედნიერი ცხოვრების მოსაწყობად. ამისათვის ამირანი მიჯაჭვულ იქნა კავკასიონის მწვერვალზე. ყვავ-ყორნები ესეოდნენ მის სხეულს და კორტნიდნენ, და, აჰა, დადგა კიდეც დრო განთავისუფლებისა. მოვიდა მეორე გმირი ჰერაკლე, ამბობს ლეგენდა, და დასწყვიტა ტანჯულის ჯაჭვები... ასევე ითქმის მუშა ხალხზე. საუკუნოების განმავლობაში ის გმინავდა მონობის უღელ ქვეშ. ის მიჯაჭვული იყო ბატონის მიწაზე, რომ ბატონისათვის ემუშავნა. ის მიკრული იყო მწარმოებლის დაზგაზე, რომ მწარმოებელი — ხაზეინი გაემდიდრებია. ყვავ-ყორნები ესეოდნენ მას. თქვენ იცით, ვინ არიან ეს ყვავ-ყორნები: პოლიცია, მებატონეები, ბერ-ხუცესი, მონაზვნები, ჩინოვნიკები. ისინი სწოვენ ხალხის ტვინს. ისინი სჯიჯგნიან ხალხის გულღვიძლს.

— თუ აგრეა, რატომ უღებთ პარტიის კარებს მაგ ხალხს? — შესძახა პეტრემ.

მუშებში სიცილი ატყდა. ისიდორე შეჩერდა, ერთხანს უყურებდა პეტრეს. შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარაო, განაგრძო:

— როდესაც აივსო მოთმინების ფიალა, ხალხი აღდგა. მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა ხალხმა ბრძოლის გზა. ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ კეთილია მეფე, რომ ჩინოვნიკებია ცუდი. და პეტერბურგის მუშებმა დასწერეს თავისი გულისნადები. პეტიცია მიართვეს მეფეს. აი, რა იყო ნათქვამი იმ პეტიციაში.

ისიდორემ გაზეთი გაშალა. კითხვა დაიწყო.

„... ჩვენ, პეტერბურგის მუშები, მოველით შენთან. ჩვენ უბედური, შეურაცხყოფილი მონები ვართ. მიწასთან გასწორებულნი დესპოტიზმით და თვითნებობით. როცა გაივსო მოთმინების ფიალა, ჩვენ შევსწყვიტეთ მუშაობა და ვსთხოვეთ ჩვენს ხაზეინებს მხოლოდ ის მოეცათ, ურომლისოდ სიცოცხლე აღარ შეგვეძლება. მაგრამ ყოველივე ამაზე უარი გვითხრეს...

მეფევ, უარს ნუ ეტყვი შენს ხალხს დახმარებაზე! დაანგრიე ის კედელი, რომელიც აღმართულია შენსა და შენს ხალხს შორის! უბრძანე, შეასრულონ ჩვენი თხოვნა! შენ შეგწევს ძალა რუსეთის გაბედნიერებისა! უკეთუ ეს არ მოხდა, ჩვენ მზად ვართ აქვე დავიხოცოთ. ჩვენ მხოლოდ ორი გზა-ღა დაგვრჩენია: ან თავისუფლება და ბედნიერება, ან სამარე“...

ისიდორემ გაზეთი დაკეცა და გადახედა ხალხს. პეტრემ განგებ ხმამაღლა დაამთქნარა.

— ს.. ს.. ს.. — გაისმა გაბრაზებული სისინი. — რა დროსია?

ისიდორემ განაგრძო:

— რა ჰქნა მეფემ? დახვრიტა მუშები. ეს მოხდა 9 იანვარს, და 9 იანვარი გახდა რევოლუციის დაწყების დღედ. ამ დღიდან დაიწყო გამოფხიზლება. ამ დღიდან რევოლუციური მოძრაობა მთელს რუსეთს მოედო და მუშა ხალხმა ბრძოლა დაიწყო. ამ ბრძოლაში მუშა მარტო არაა. მას ყავს დამხმარედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ეს ის გმირია, რომელიც ჰერაკლესავით დაეხმარა ამირანს. მაგრამ იმ დროს, როცა ჯაჭვია დასაწყვეტი, ხოლო მიჯაჭვული ხალხი იმედითა და სასოებით შეჰყურებს ამ თავისს მოამაგეს, რას შვრება ეს პარტია? რა მდგომარეობაშია იგი? წარმოადგენს თუ არა. იგი ერთი მიზნით, ერთი სურვილით, ერთი მისწრაფებით გამსჭვალულ ორგანიზა-

ცია? თუ შინაგანი სნეულება ღრღნის მისს გულღვიძლს და ართმევს სასიცოცხლო, საბრძოლო უნარს?

ისიდორე შეჩერდა. ისე გადახედა კრებას, როგორც მასწავლებელმა მოწაფეებს. სამასი კაცი სულგანაბული იდგა და უსმენდა. ისიდორემ განაგრძო უდავო, შეუვალი ტონით, თითქოს სახარებიდან კითხულობსო:

— პარტია სწორედ ახლა უნდა იყოს მთლიანი, განუყოფელი, ერთარსებით მსუნთქავი. პარტია სწორედ ახლა უნდა იყოს ურღვევი, შედუღებული, მტერთათვის საშიში და მეგობართათვის საიმედო. პარტია სწორედ ახლა უნდა გავდეს ფუტკრის სკას, სადაც ყველა მუშაობს, ყველას თავისი საქმე აქვს მიჩნეული, ყველა თავისი სამუშაო უჯრედი, და ყველა გამსჭვალულია ერთი ალღოთი, ერთი მიზნით... ვაი, რომ მეორე ყრილობის შემდეგ პარტია არა ჰგავს ერთი აზრით მომქმედს, ერთი მკერდით მსუნთქავს, ერთი გზით მავალ მებრძოლს! ხალხი, რომელიც გაჩნდა პარტიაში და რომელიც თავის თავს მეუმრავლესობას უწოდებს,—თუმცა დიდი ხანია რაც უმნიშვნელო უმცირესობაშია, აი ეს ხალხი არღვევს პარტიის ღობეს, ამღვრევს მისს წმინდა წყალს და აქრობს იმ ლამპარს, რომელმაც გზა უნდა გაუნათოს მრავალტანჯულ ხალხს...

აქამდე ხალხი გულდასმით უსმენდა ისიდორეს. ამ სიტყვების შემდეგ კი ატყდა ჩოჩქოლი და გაისმა უკმაყოფილო ხმები:

— დაამტკიცეთ, ვინ ამღვრევს წყალს! დაამტკიცეთ, ვინ არღვევს პარტიის ღობეს!

ისიდორემ ხელი ასწია. ხმასაც აუწია.

— ხალხი, რომელსაც არ უსუნთქია პარტიის ოჯახში, არ გაუთენებია არც ერთი ღამე პარტიის სადარაჯოზე, არ დაულევია არც ერთი ჭიქა წყალი პარტიის ჭიდან, აი ეს ხალხი გადმომდგარა თავისი ყოყლოჩინობის ერდოდან და გაიძახის: მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისაო...

— ე. ი. მეუმცირესენი, — ჩაურთო პეტრემ. — ისინი გაიძახიან ასე. გასაგებია...

ატყდა ორომტრიალი. ნაწილი ხმამაღლა იცინოდა. ნაწილი აღშფოთებით ყვიროდა.

— დაამტკიცეთ! დაამტკიცეთ, ვინ არღვევს ღობეს! — ისმოდა გრიალი.

— განაგრძეთ! განაგრძეთ! — ისმოდა გრიალში.

— პარტია ჩვენა ვართო. პარტიამ ჩვენ დაგვიჯეროსო. პარ-

ტიამ ჩვენგან ისწავლოსო, თორემ წმენდას მოვაწყობთო, ამბობენ ეს არამკითხე ჭირისუფალნი, — განაგრძო ისიდორემ.

— ცარიელი სიტყვებია! პასუხს აგებთ ამ სიტყვებისათვის. თქმას დამტკიცება უნდა, — ყვიროდა ნაწილი.

— აგრე, აგრე! აგრე უნდა მაგათ! — ნიშნის მოგებით უპასუხებდა მეორე ნაწილი.

გიორგიმ თვალით მოძებნა კობა. ის აუღელვებლად იდგა და ბლოკნოტში რაღაცას იწერდა.

სტეპკომ მიიხედ-მოიხედა და შესძახა:

—არც ერთი დებულება. არც ერთი თეორიული დასაბუთება...

ისიდორემ მოუცადა, სანამ ხმაურობა დაწყნარდებოდა. ეტყობოდა ტრიბუნა და მიტინგი განუყრელი ნაწილი იყო მისი არსებობისა. დაძაბული თვალები მიმოავლო გარშემო და განაგრძო:

— მამასახლისი მიადგა გლეხის კარებს. გლეხმა კარი არ გაუღო. ფარ-ხმალი თაროზე ჩამომიდევითო, ბრძანა მამასახლისმა. ასე იქცევიან მეუმრავლესენი. ჩვენ მათ პარტიაში არ ვუშვებთ, სანამ არ განიწმინდებიან ბლანკიზმისაგან, ესენი კი ამბობენ — ცეკაში ჩვენ უნდა ვიყოთო.

— ტყუილია! დემაგოგიაა! — გაცხარდა პეტრე.

— ვაშა! ვაშა! — გაისმა ერთ ჯგუფში, რომელიც ზაქარია გურულთან იდგა.

პეტრე დააკვირდა ამ ჯგუფს. ვინ არიან ესენი? რომ არ არიან ესენი პერევისელი მაღაროელები? რა უნდა ამ ხალხს კრებაზე?

— და, აი, ჩვენ მოგმართავთ თქვენ: ნუ აჰყვებით იმათ, ვინც ასცდა პარტიის გზას! ერიდეთ უმრავლესობას! ახლოს არ მიიკაროთ! ჩვენს პარტიაში ადგილი ნუ ექნება ბლანკისტებს. დაგვიჯერეთ ჩვენ, მხოლოდ ჩვენ! რადგან მხოლოდ ჩვენსკენაა სიმართლე. ნუ დაუჯერებთ მეუმრავლესეებს და მაშინ გამოდგება ჩვენი პარტია ხალხის მეგობარ-გმირად და დაეხმარება მას დასწყვიტოს მონობის ჯაჭვი...

— ძირს! ვაშა! ძირს! ვაშა! — აირია ერთმანეთში.

— არც ერთი თეორიული დებულება!—ისევ წამოიძახა სტეპკომ და ფართო შუბლზე შეტეხილი წარბები აზიდა.

— მაინც რა სთქვა?—ჰკითხა გარშემო მდგომთ ტარიელმა.— ჩვენ კარგი ვართ და ისინი ცუდიო. ამას მეც ვიტყვი. შენ დაამტკიცე, რატომ ხარ კარგი, თუ კი ხარ კარგი...

— სადაა მარქსისტული ანალიზი? — წამოიძახა „ელეზნიმ“.

— იქნება! ნუ ჩქარობთ! — დაამშვიდა ზაქარია გურულმა.

— სიტყვა ეკუთვნის გრიგოლ ლორთქიფანიძეს.

ქვაზე, ახალი ორატორი ავიდა.

გრიგოლმა უკან გადავარცხნილ თმებზე ხელი გადაისვა, თოვლივით თეთრ საყელოზე თითი ჩაიდო, გაისწორა. ერთ ხანს უყურა მუშებს და დაიწყო:

— ამხანაგებო! მთავარი საკითხი პარტიის წესდების პირველი პარაგრაფია. ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი? ამ პარაგრაფმა გამოიწვია ყრილობაზე განხეთქილება. გვეგონა, დროებითი იყო ეს მოვლენა. გვეგონა, მუშაობის პროცესში კვლავ მოვნახავდით ერთმანეთთან საერთო ენას. მაგრამ ვერ მოხერხდა ეს. რომ ამ საკითხში გაერკვეს მუშა, პარტიის რიგითი წევრი, საჭიროა გავარკვიოთ ძირითადი საკითხი: რა არის პარტია? ვინც ამ საკითხში სწორად გაერკვევა, ის სწორად გაერკვევა პირველ პარაგრაფშიაც. მართლაც, რა არის პარტია? რას უნდა წარმოადგენდეს იგი? რა ამოცანები აწევს მას?...

გრიგოლმა თავი დააქნია და, თითქოს კრიალოსანს მარცვლავსო, განაგრძო.

— პარტია არის ადამიანთა ისეთი კრებული, რომელსაც აქვს საერთო მიზანი და რომლის განხორციელებისათვის ერთად მოქმედებს. პარტიას შეიძლება არც ჰქონდეს მკაფიოდ გამორკვეული პროგრამა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მისს მოქმედებას. პარტიის დამახასიათებელი თვისებაა საერთო მიზანი და საერთო მოქმედება. ესაა მთავარი.

— თქვა რუქამ არაკი! — გაისმა „ჟელეზნის“ ბოხი ხმა, და მეუმრავლესეთა რიგებში გადაიხარხარეს.

— ფონი გასვლის მერე დალოცეთ! — მიაძახა „ჟელეზნის“ ზაქარია გურულმა.

— რაკი ამ მთავარ საკითხში გავერკვიეთ, დავაყენოთ მეორე საკითხი, — განაგრძო გრიგოლმა.—ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი? ჩვენის აზრით, პარტიის წევრად უნდა იყოს ისეთი პიროვნება, რომელსაც სწამს პარტიის პროგრამა და ქონებრივად ეხმარება მას. პარტიის პროგრამის აღიარება დიდი საქმეა. ეს ნიშნავს ჩვენი პარტიის სიძლიერეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მუშათა დიადი ისტორიული მოძრაობა ისე გაფართოვდა, ისე გაძლიერდა, რომ იზიდავს თავისკენ სხვადასხვა ჯურისა და პროფესიის ხალხს, როგორც ანდამატი რკინას. რას ნიშნავს ეს, თუ არა ჩვენი პარტიის სიძლიერეს? რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ მოსახლეობის ფართო ფენებში სწამთ ჩვენი ბრწყინვალე მომავალი? ელასტიუ-

რობა ჩვენი პარაგრაფისა იმით არის კარგი, რომ პარტიის კარი დარაზული არ უნდა იყოს, რომ მისი გაღება არ უნდა იყოს ძნელი. რას ამბობენ მეუმრავლესენი? ისინი ტუკებით დამდგარან პარტიის კარებთან და ერეკებიან მუშებს პარტიიდან: არ შემოგიშვებთო, თუ გუბერნატორს ბომბა არ ესროლეთო!

— პროვოკაციაა! ტყუილია!—დაიყვირა „ელეზნიმ“ და რკინისფერი სახე სისხლის მოწოლისაგან სპილენძისფერი გაუხდა.

„ელეზნი“ მაღალი, შავი, ხმელხმელი და ახოვანი კაცი იყო. მთელი მისი აღნაგობა ისეთ რკინისებურ სიმტკიცეს წარმოადგენდა, რომ მუშებმა მას „ელეზნი“ შეარქვეს. ხმაც ღონიერი, რიხიანი ჰქონდა.

გრიგოლი დააკვირდა „ელეზნის“, გაიცინა და ჩაუნისკარტა:

—ყვირილით რომ წყდებოდეს პოლიტიკური საკითხები, თქვენ ლიდერი იქნებოდით!

— ბანკეტებზე რომ წყდებოდეს პოლიტიკური საკითხები, თქვენ პრეზიდენტი იქნებოდით,—ყრუდ დაიბუბუნა „ელეზნიმ“. პასუხი მოსწრებული იყო და ხალხს გაეცინა.

— არა! ერთი უნდა მოგახსენოთ! — წამოდგა ტარიელი. — მუშებს ერეკებიანო პარტიიდანო, რომ ბრძანეთ, ტყუილია. პირიქით, მეუმრავლესენი მუდამ გვეჩიჩინებიან: შემოდით, მუშებო, პარტიაშიო.

— მე თეორიულად გელაპარაკებით, — უთხრა გრიგოლმა ტარიელს.

— მე პრაქტიკულად მოგახსენებთ, — უპასუხა ტარიელმა.

— ხა... ხა... ხა... — ატყდა სიცილი.

— რა ემართება გრიგოლს? — გაიფიქრა ისიდორემ და თავმჯდომარეს მიუბრუნდა: — ორატორს ხელს უშლიან რეპლიკებით. დაიცავით წესრიგი!

— ჩუმად, ამხანაგო ტარიელ! განაგრძეთ, ამხ. გრიგოლ!

— ამხანაგებო! ამჟამად ჩვენ ვდგავართ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაშე. ამ რევოლუციის ხელმძღვანელიც ბურჟუაზია იქნება. ჩვენ ვიქნებით უკიდურესი მემარცხენე ოპოზიცია. ეს ოპოზიცია რომ ძლიერი იყოს და პროგრამა-მინიმუმი განვახორციელოთ, საჭიროა რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი და ძლიერი პარტია გვყავდეს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი თანამგრძნობნი შემოვუშვათ პარტიაში.

— მიკიტნებიც? — მიაძახა ტარიელმა.

— მიკიტნებიც, — უპასუხა გრიგოლმა.

— მრეწველებიც? — ჰკითხა პეტრემ.

— მრეწველებიც, — უპასუხა გრიგოლმა.

— ეს იქნება ცირკი და არა პარტია, — წამოიძახა ელეზნიმ.

— სისულელეა მეუმრავლესეთა აზრი, ხელი ჰკრა ისეთ კაცს, რომელიც დასახმარებლად მოდის შენთან და შენთან ერთად ებრძვის მეფის თვითმპყრობელობას. როგორ შეიძლება ხელი ჰკრა ასეთ კაცს? წარმოიდგინეთ ასეთი მაგალითი (გრიგოლი მიუბრუნდა ტარიელს): აი თქვენ, ამხანაგო, ზურგზე გაწევთ მძიმე ტვირთი. ეს ტვირთი ამ მაღაროდან ჭიათურაში უნდა ჩაიტანოთ. მიგაქვთ და წელში სწყდებით. გზაში გხვდებათ კაცი და გეუბნებათ: დაგეხმარები, ტვირთს შეგიმსუბუქებო. რა უნდა უთხრათ თქვენ? თუ ჭკვიანი ხართ, მადლობას ეტყვით და შეიმსუბუქებთ ტვირთს, ასე არაა? თუ ჭკუა არა გაქვთ და დაუწყებთ გამოკითხვას: ვინ ხარ? რა კაცი ხარ? რატომ მეხმარები? რას იზამ ხვალ? ზეგ? რას იტყვით, ამხანაგო?

ტარიელი შეიშმუშნა. დასწყევლოს ღმერთმა, რაღა ტარიელი გამოარჩია ამ კაცმა ამდენ მუშაში?

ტარიელმა მიიხედ-მოიხედა, ყველა მას უყურებდა. ისევ გრიგოლი დაეხმარა:

— თუ შეგნებული მუშა ხართ, მიიღებთ დახმარებას. ცხადია. მაგრამ ასე როდი ფიქრობენ მეუმრავლესენი. მათ სურთ ჩამოიშორონ ყველა დამხმარე და გამოსაყენებელი ძალები. მათ სურთ პარტია შეთქმულების ჯგუფად გახადონ. მათ სურთ პარტია უეჭველად სარდაფებში ჩაიყვანონ. მათი აზრით კარგი რევოლუციონერი უეჭველად მიწაში უნდა ძვრებოდეს თხუნელასავით. ერთი სიტყვით, მათ სურთ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია ბლანკისტების პარტიად, შეთქმულების პარტიად გახადონ. რასაკვირველია, ასეთი პარტია მასობრივი ვერ იქნება. ყველა ხომ ვერ ჩავა სარდაფში? ყველა ხომ ვერ მოშორდება ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ქვეყანას? პროფესორები, ინჟინრები, ექიმები, ხომ ვერ ჩავლენ სარდაფში? არა, ამხანაგებო, ჩვენი პარტია ფანატიკოსების პარტია არ არის. სარდაფებში არ ჩავალთ. პირიქით, ჩვენ გვინდა სარდაფებიდან ამოვიდეთ. ჩვენ არალეგალური მუშაობა არ გვინდა. ჩვენ საჯაროდ გვინდა გამოვაცხადოთ ჩვენი რწმენა. დე, შეგნებულად მოვიდეს ხალხი ჩვენს პარტიაში.

— მეტი არაფერი? მარტო შეგნება? — შეეკითხა ინწკირველი.

— მთავარია შეგნება, — უპასუხა გრიგოლმა.

გიორგიმ გადახედა კობას. ის ისევ ისე დინჯად იდგა და რაღაცას იწერდა ბლოკნოტში.

— ახლა არ იკითხავთ, რატომ არ უნდათ პარტიაში ხალხის მიღება მეუმრავლესეებს? მათ გამოიგონეს ახალი თეორია, რომ მუშა ხალხი თავისი ძალღონით ვერ შეითვისებს მაღალ იდეალებს, რომ ის მხოლოდ დღიურ ინტერესებს ხედავს. მაშ ვიკითხოთ, ვის შეუძლია ყველაფერი ეს შეაგნებინოს მუშებს? ვის და ჩვენო, ინტელიგენტებსო, ამბობენ ისინი. და ამით, ერთის დაკვრით, თავის თავს მუშათა პარტიის მეთაურად აცხადებენ, ხოლო თვით მუშებს უბრალო მასალად და ამყოლად. ე. ი. იწყება ძველი ამბავი გმირისა და ბრბოს შესახებ. გმირი პარტიის მეთაური ინტელიგენტია, ხოლო ბრბო პარტიული ხალხი. რა მოჰყვება ამას? ის, რომ გმირისთვის დისციპლინა არ არსებობს. დისციპლინა ბრბოსთვისაა. ყოველგვარი მოვალეობა ბრბოს და არავითარი—ინტელიგენტებს. აი მათი ბატონური პოლიტიკა. მათი აზრით, პარტია სახელმწიფოა, სადაც ყველაფერი ბიუროკრატიულია. მათ ავიწყდებათ, რომ პარტია ნებაყოფლობაზეა აგებული და არა ძალადობაზე...

—მე ვათავებ, ამხანაგებო. მე ვამტკიცებ: პარტია მთელი მუშათა კლასია და არა მისი მოწინავე ნაწილი, როგორც ამტკიცებენ ლენინი და ჯუღაშვილი. პარტიის წევრი არაა ვალდებული მუშაობდეს არალეგალურად და ემორჩილებოდეს ორგანიზაციას. არაა საჭირო მკაცრი ორგანიზაცია. სცდება მეუმრავლესეთა ლიდერი ლენინი, როცა ამტკიცებს, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატისათვის მთავარი იარაღი ორგანიზაციაა. მე მოვუწოდებ მეუმრავლესეებს მიანებონ თავი ფრაქციულობას, დაშალონ თავისი ორგანიზაცია და შემოგვიერთდნენ ჩვენ. თქვენ კი, ამხანაგო მუშებო, შემოდით პარტიაში, პარტიის კარი ღიაა ყველასათვის, ოღონდ მოისურვეთ! და ჩვენ გეუბნებით: კეთილ იყოს თქვენი მობრძანება პარტიაში...

გრიგოლი გაჩუმდა. ოფლი მოიხოცა. გახამებული საყელო გაისწორა. მეუმციერესეებმა ოვაცია გაუმართეს. ვიღაც ხორად დადგმულ შავ ქვაზე ავიდა. ფეხი დაუცდა. ხორა დაიშალა და დადგა შავი, მძიმე, სქელი მტვერი.

როცა მტვერი გაიბნა, თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— სიტყვა ეკუთვნის მეუმრავლესეთა წარმომადგენელს ამხ. კობას.

ყველა მოელოდა, რომ კობა იქ დადგებოდა, სადაც ორატორები დგებოდნენ. მაგრამ კობა ადგილიდან არ დაიძრა. ის იდგა კლდესთან და თავათ კლდისაგან გამოკვეთილს ჰგავდა. მთელი კრება მისკენ მიბრუნდა. ერთ ხანს კრება და კობა ერთმანეთს ზომავდნენ. კობამ შენიშნა, რომ ექვსასმა თვალმა ერთი კითხვა დაუსვა: აბა, შენ რას იტყვიო? თითქოს სასწორი ასწია კრებამ და თვალწინ გაუჩერა: აბა ვინ გადასწონისო?

მაღაროს პირას შავი ქვის ხორები ეწყო. მზეზე უცნაური ფერებით ბზინავდა შავი ქვა. მთის კლდეზე გაუხარელი ბუჩქები იდგა. შავი მტვერი სქელ ლაქად იყო ფოთლებზე და ჩიმწვანეს ფარავდა. ჩიტები იშვიათად თუ შემოსხდებოდნენ ამ ბუჩქებზე, ისეთი ღარიბი და უხალისო იყო ის ბუჩქები. შავ ქვას ბუნებაც კი დაეჩაგრა, არამც თუ ის მუშები, რომელნიც მოსულიყვნენ აქ სიმართლისა და სწორი გზის საძებნელად.

კობამ დაიწყო დინჯად, აუღელვებლად, ოდნავ ყრუ ხმით.

— ამხანაგებო! ჩვენს თვალწინ გადაშლილია დიდებული სურათი ბურჟუაზიულ რუსეთსა და პროლეტარულ რუსეთს შორის ბრძოლისა. ორი დიდი არმია გამოვიდა ბრძოლის მოედანზე: არმია პროლეტარებისა და არმია ბურჟუებისა, და ბრძოლამ ამ ორ არმიას შორის მოიცვა მთელი ჩვენი დღევანდელი ისტორია.

რადგან არმია უწინამძღოლოდ ვერ იმოქმედებს, რადგან ყველა არმიასა ჰყავს თავისი მოწინავე რაზმი, რომელიც წინ უძღვის მას და გზას უნათებს, — ცხადია, ამ არმიებთან ერთად უნდა გამოსულიყვნენ შესაფერი ჯგუფები წინამძღოლებისა, შესაფერი პარტიები, როგორც იტყვიან ხოლმე...

..!თითოეულ არმიას მისი კლასობრივი ბრძოლის დროს წინ უძღვის მისი საკუთარი პარტია...

ტარიელი შეაჩერდა თვალებში კობას. კობამაც თვალი მოჰკრა. არც თუ დააკვირდა, არც თუ გაუღიმა, მაგრამ ტარიელმა რაღაც სიახლოვე იგრძნო ამ ორატორთან. თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილ ეს ორატორი მისთვის, და ისიც, რასაც ორატორი ამბობდა, გასაგები შეიქნა მისთვის. ორატორი განაგრძობდა:

—...ჩვენი პარტია სოციალ-დემოკრატიულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს საკუთარი პროგრამა (სადღეისო და საბოლოო მიზნები მოძრაობისა), თავისი საკუთარი ტაქტიკა (ბრძოლის წესები) და თავისი საკუთარი ორგანიზაციული პრინციპი (გაერთიანების ფორმა)...

უცებ ტარიელს მოულოდნელმა აზრმა გაუელვა: რა დიდი ამ-

ბები იწყება და მეც ამ ამბების მონაწილე ვარო. ამ აზრმა გაახარა და ხალისი შემატა.

—პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა ერთნაირობა ის ნიადაგია,—განაგრძობდა ორატორი,—რომელზედაც შენდება ჩვენი პარტია. მხოლოდ ამ შეხედულებათა ერთიანობას შეუძლია შეაკავშიროს პარტიის წევრები ერთ ცენტრალისტურ პარტიათ. ირღვევა შეხედულებათა ერთიანობა, — ირღვევა პარტიაც. ცხადია. პარტიის წევრი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმას, ვინც სავსებით მიიღებს პარტიულ პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციულ პრინციპს...

— ვთქვათ მივიღე. მერე — გაიფიქრა ტარიელმა.

— ...მაგრამ საკმარისია პარტიის წევრისათვის პარტიული პროგრამის, ტაქტიკის და ორგანიზაციული აზრის მიღება?

ტარიელს გაუკვირდა: ეს კაცი ჩემს გულში ხომ არ ზისო. უნდოდა პეტრესთვის გაეზიარებინა თავისი აზრი. მაგრამ პეტრე ისე გულდასმით უსმენდა, რომ ვერ დაურღვია ყურადღება და ისევ ორატორს მიაჩერდა.

—-შეიძლება ვუწოდოთ ამისთანა კაცს პროლეტართა არმიის წინამძღოლი? რა თქმა უნდა, არა! ჯერ ერთი, ვინ იცის რამდენი ყბედია ქვეყანაზე, რომელიც სიამოვნებით „მიიღებს“ პარტიულ პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციულ შეხედულებას და ყბედობის მეტს კი არაფერს გააკეთებს. პარტიის წმიდათა-წმიდის შემწიკვლა იქნებოდა, რომ ამისთანა ყბედისთვის პარტიის წევრი, ე. ი. პროლეტართა არმიის წინამძღოლი დაგვერქმია. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი პარტია ფილოსოფიური სკოლა ხომ არაა, ან რელიგიური სექტა,—განა ჩვენი პარტია ბრძოლის პარტია არ არი? და თუ ეს ასეა, განა თავისთავად ცხადი არ არი, რომ ჩვენს პარტიას ვერ დააკმაყოფილებს მისი პროგრამის, ტაქტიკის და ორგანიზაციული შეხედულების პლატონიური მიღება, რომ ის თავის წევრს უეჭველად მოსთხოვს მიღებული აზრების განხორციელებას?.. მაშასადამე, ვისაც ჩვენს პარტიაში წევრობა უნდა, მან არ უნდა იკმაროს პარტიის პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა მიღება და ხელი უნდა მიჰყოს ამ შეხედულებათა განხორციელებას, მათს ცხოვრებაში გატარებას.

— დღემდე როგორი იყო პარტია, დღემდე?—შეეკითხა ლორთქიფანიძე.—მაშ, თქვენის აზრით, ჩვენ დღემდე პარტია არ გვყოლია.

—... დღემდის ჩვენი პარტია სტუმართ-მოყვარე პატრიარქა-

ლურ ოჯახს წააგავდა, რომელიც მზად არის მიითვისოს ყველა თანამგრძნობი. მას მერე-კი, რაც ჩვენი პარტია ცენტრალისტურ ორგანიზაციათ გადაიქცა, მან გადაიყარა პატრიარქალური ელფერი და სავსებით დაემსგავსა ს ი მ ა გ რ ე ს, რომლის კარებიც გაიღება მხოლოდ ღირსეულთათვის. ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ცდილობს გარეყვნას პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება „ტრედუნიონიზმით", ნაციონალიზმით, კლერიკალიზმით და სხვა ამისთანებით; როცა, მეორე მხრივ, ლიბერალური ინტელიგენცია დაეინებითა ცდილობს პოლიტიკური თვითმოქმედება მოუკლას პროლეტარიატს და მფარველობა მოიპოვოს უკანასკნელზე, — ამისთანა დროს ჩვენ დიდი სიფხიზლე გვმართებს და არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენი პარტია — ს ი მ ა გ რ ე ა, რომლის კარები მხოლოდ ღირსეულთათვის გაიღება.

— ღირსეულთათვის, — ირონიულად გაიცინა ლორთქიფანიძემ, — და ისიც ლენინის კურთხევით, ხომ? პარტიული წესდების ლენინური პირველი მუხლის მიხედვით, ხომ?

— სწორედ ამაზე უნდა მეთქვა,—უპასუხა ორატორმა. — ლენინი, გამოჩენილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა, ასე განმარტავს პირველ მუხლს: რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ეწოდება იმას, ვინც მიიღებს ამ პარტიის პროგრამას, ნივთიერად ეხმარება პარტიას და მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ი ღ ებ ს ე რ თ-ე რ თ პ ა რ ტ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ში... ეს განმარტება, როგორც ხედავთ, სავსებით გამომდინარეობს იმ აზრიდან, რომლითაც ჩვენი პარტია—ცენტრალისტური ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ა და არა ერთეულების ხ რ ო ვ ა.

— მარტოვი? მარტოვის განმარტება?—მიაძახა ზაქარია გურულმა.

— მარტოვის განმარტებით „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც მის პროგრამას მიიღებს, მატერიალურად ეწევა მას და რეგულარულად უწევს მას პირად დახმარებას რომელიმე პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ".

— მერე რა არის ცუდი ამ განმარტებაში? — ისევ მიაძახა ზაქარიამ.

— ის, რომ ესაა ახიბულ-დახიბული განმარტება... როგორც ხედავთ, ამ განმარტებაში გამოტოვებულია მესამე აუცილებელი

პირობა პარტიის წევრობისა, რომლითაც პარტიის წევრებს ევალებათ ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში მონაწილეობა... გამოდის, რომ შეიძლება პარტიის წევრი იყვე, თუნდაც რომ პარტიულ ორგანიზაციაში არ შედიოდე.

— აი პარტია! — წამოიძახა პეტრემ.

— თუნდაც რომ მოვალედ არ სთვლიდე შენს თავს პარტიულ ნებას დაემორჩილო.

— აი პარტიული დისციპლინა! — გადაიხარხარა ჟელეზნიმ.

— მერე. — რანაირათ შეუძლიან პარტიას რეგულარულად უხელმძღვანელოს იმ პირებს, რომლებიც არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ შედიან და, მაშასადამე, რომლებიც მოვალეთ არ სთვლიან თავიანთ თავს აუცილებლად დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას?... ერთი ეს-ღა დაგვრჩენია, რომ მოვაშოროთ მარტოვის განმარტებას მისი ბუნდოვანი და უაზრო „პირადი დახმარება ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ". უამპირობოთ ორი პირობა-ღა დარჩება მარტოვის განმარტებაში (პროგრამის მიღება და მატერიალური დახმარება), რომლებსაც თავისთავად არავითარი ფასი არა აქვს, რადგანაც ყველა ყბელს შეუძლიან პარტიული პროგრამა „მიიღოს" და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს პარტიას, რაც სულაც არ აძლევს მას უფლებას პარტიის წევრი იყვეს.

ორატორმა ხელი ასწია და თითი კრების განზე გაიშვირა, სადაც მეუმცირესენი იდგნენ. ექვსასი თვალი ლორთქიფანიძეზე და რამიშვილზე შეჩერდა, შემდეგ ისევ ორატორზე გადმოვიდა. ორატორმა განაგრძო:

—... მაშ რა ყოფილა ჩვენი პარტია, ეკითხულობთ ჩვენ, ერთეულების შემთხვევითი ხროვა, თუ წინამძღოლთა მჭიდრო ორგანიზაცია?.. როგორც სჩანს, მარტოვის აზრით, ჩვენი პარტია ცენტრალისტურად მოწყობილი ორგანიზაცია კი არაა, არამედ ხროვაა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალ-დემოკრატიული ერთეულებისა, რომლებმაც მიიღეს ჩვენი პარტიული პროგრამა და სხ. მაგრამ თუ ჩვენი პარტია მწყობრი ორგანიზაცია არაა, ცხადია, ის აღარც სიმაგრე იქნება, რომლის კარებიც მარტო ღირსეულთათვის უნდა იღებოდეს. და მართლაც, მარტოვისთვის, როგორც ეს მისი განმარტებიდან სჩანს, პარტია სიმაგრე კი არა, ბანკეტია, სადაც თავისუფლად შეუძლიან შევიდეს ყველა თანამგრძნობს. ცოტაოდენი ცოდნა, ამდენივე თანაგრძნობა, ცოტა

ნივთიერი დახმარება, — და საქმე გაჩარხულია, თქვენ სრული უფლება გაქვთ პარტიის წევრად ირიცხებოდეთ...

მეუმცირესეთა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა. ცხადი იყო, ორატორის გასროლილი ისარი მიზანს მოხვდა. მეუმცირესეთა ჩოჩქოლს და ხმაურობას ორატორმა გესლიანად ესროლა:

— მაშ, რაღა გნებავთ, ბატონებო, მობრძანდით... ბანკეტზე!

— ხა... ხა... ხა... — გაიცინეს გარშემო.

— თქვენ ატყუებთ მუშებს! — წამოიძახა გრიგოლ ლორთქიფანიძემ და ხელი კობასაკენ გაიშვირა. — ყრილობამ მარტოვის წინადადება მიიღო...

ტარიელი ახტა და გრიგოლს ხელში ეცა. ეგონა, გრიგოლი ჩხუბს იწყებსო. ტარიელთან ერთად სხვა მუშებიც წამოხტნენ. კრება წამოიშალა და მრისხანე გუგუნი გაისმა. ცუდად იყო გრიგოლის საქმე, რომ ისევ კობა არ მიშველებოდა. ის მუშებსა და გრიგოლს შუა ჩადგა და დამშვიდებით მიმართა მუშებს:

—დაწყნარდით, ამხანაგებო! ჩვენ კრება გვაქვს და არა ჩხუბი.

მუშები დაცხრნენ, მაგრამ ახლა რამოდენიმე წრე გააკეთეს და კობას გარშემო შემოირკალნენ.

კახამ ვერ მოითმინა და თავისიანებს გასძახა, ჩხუბი რა შუაშიაო?

— ჰკითხე შენს ლიდერებს! — მიაძახეს კახას.

— დაწყნარდით, დაწყნარდით, ამხანაგებო! — აწყნარებდა კრებას გიორგი. — ჩხუბი არავის უნდოდა. მოგეჩვენათ! განაგრძეთ, ამხ. კობა!

კობა ერთ წამს ჩაფიქრებული იყო, თითქოს რაღაცას წყვეტდა. ბოლოს მიუბრუნდა მეუმცირესეთა ლიდერებს და მკაცრად უთხრა:

— ჩვენ მოუფიქრებლობის შედეგად მიგვაჩნია მეორე პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება, რომელმაც მარტოვის განმარტება მიიღო, და სრული იმედი გვაქვს, რომ მესამე პარტიული ყრილობა უეჭველად გამოასწორებს მეორის შეცდომას და ამხ. ლენინის განმარტებას მიიღებს...

ეს ისეთი გაბედული განცხადება იყო, რომ მეუმცირესეთა ლიდერები ერთ ხანს გაკვირვებით უყურებდნენ ხან ერთმანეთს, ხან ორატორს.

ორატორმა კი ისევ დინჯად, ისევ აუღელვებლად განაგრძო:

— ერთი ვიკითხოთ, გამოგვყვება თუ არა გაუსინჯავი ხალხი ბოლომდე? იბრძოლებს ის ჩვენსავით თავდადებით? დაღვრის სისხლს? ან წავა კატორღაში? ან ავა სახრჩობელაზე? არა, ამხანა-

გებო! რომელიმე მიკიტანი, თავადი ან ბობოლა დღეს გაგიწვდის ხელს, მაგრამ ხვალ იმავე ხელით თოკს მოგაბამს კისერზე და აგწევს სახრჩობელაზე. ბოლომდე ჩვენთან მხოლოდ ის იბრძოლებს, ვისაც მტკიცედ სწამს ჩვენი საბოლოო მიზანი, ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი: სოციალიზმი. მიკიტნები, ბობოლები და საერთოდ შემთხვევითი წამხმარე ხალხი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებაშიც არ დაგვეხმარება. მათ არა სწამთ ჩვენი საბოლოო მიზანი, სოციალიზმი.

— რაც მართალია, მართალია! — წამოიძახა გიორგიმ. — ყველაფერი გასაგებია!

— შენ ბევრი გესმის! — დაცინვით მიაძახა ზაქარია გურულმა.

— რომ არ მესმოდეს, თავმჯდომარედაც არ ამომირჩევდნენ,— უპასუხა გიორგიმ. — განაგრძეთ, ამხ. ორატორო!

— აი, სწორედ ამ საკითხის გამო ყრილობა ორად გაიყო. ამას დაემატა მეორე საკითხიც: ვინ უნდა ყოფილიყო არჩეული პარტიის ცენტრალური ორგანოს—გაზეთ „ისკრის“ რედაქტორებად. ლენინის მომხრეები თუ მარტოვისა? ლენინი იქამდეც კი მივიდა, რომ რედაქციაში მარტოვი შეაყვანინა. წარმოიდგინეთ, მარტოვი არ დათანხმდა. ჩემს გარდა სარედაქციო კოლეგიაში ჩემი სამი თანამოაზრე შეიყვანეთო. რედაქციაში სულ ექვსი კაცი იყო. ამნაირად, მარტოვის აზრით ლენინს უნდა ჰყოლოდა მხოლოდ ერთი მომხრე. ყრილობა არ დაეთანხმა მარტოვს. უმრავლესობამ ლენინს მისცა ხმა, უმცირესობამ მარტოვს. ცენტრალური კომიტეტის არჩევნებისას ყრილობის უმრავლესობამ ლენინის მომხრეები გაიყვანა. ამნაირად პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნებისას ყრილობის უმრავლესობამ ლენინს მისცა ხმა, ხოლო უმცირესობამ მარტოვს.

აი, ამის შემდეგ წარმოიშვა ეს ორი ახალი სიტყვა: მეუმრავლესე და მეუმცირესე. ამჟამად კი, როგორც ხედავთ, ეს ორი სიტყვა ორი სხვადასხვა პოლიტიკური აზროვნების გამომხატველია.

— კაცო, ასე რომ არ აუხსნიათ ჩვენთვის? — გაისმა გაკვირვებული შეძახილები მუშებში. — ზაქარიავ, გვატყუებდი?

— მერე, მერე, თუ ძმა ხარ! რა მოპყვა განხეთქილებას?

— დისციპლინის ძალით, ყრილობის დადგენილებას ხომ უნდა დამორჩილებოდნენ მეუმცირესენი? არ დაემორჩილნენ. მათ მოინდომეს პარტიის ცენტრის ხელში ჩაგდება. მათ ისევ მოითხოვეს რედაქციაში უმრავლესობა მოგვეცითო. მათ მიემხრო პლეხანოვი და შემოუშვა მეუმცირესენი რედაქციაში. მათ ჩაიგდეს ხელში

„ისკრა“. ამნაირად, როცა „ისკრაზე“ ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომელ „ისკრაზე“ ვლაპარაკობთ: ძველ თუ ახალ „ისკრაზე“...

აი, ამხანაგებო, რაზ გათიშა პარტია. ახლა ეს გათიშვა ყველა ორგანიზაციას მოედო. ცენტრიდან დაბა-ქალაქებში, ან პერიფერიებში გადმოვიდა. ჩვენ გამოვდივართ მუშების წინაშე და ვუხსნით საქმის ვითარებას.

— კი არ უხსნით, აბნელებთ საკითხს! — გააწყვეტინა ზაქარია გურულმა.

— კაცო, რა დაგემართათ თქვენ? — გაუწყრა ზაქარიას გიორგი. — ასეთი შექიანი განმარტება ჯერ არავის მოუცია ჩვენთვის.

— მოიცა, ჩემო ძმაო, — წამოვარდა ზაქარია. — მე მინდა აშკარა იყოს ყველაფერი. აქ ამახინჯებენ ფაქტებს.

— ამახინჯებენ! ამახინჯებენ! — დასცეს ყიჟინა ზაქარიას მოყვანილმა ბიჭებმა, რომელთაც მუშები „ხუნხუზებს“ ეძახდნენ.

— გაძლევთ შენიშვნას, ამხ. ზაქარია, — აუწია ხმას გიორგიმ. — სანამ მეუმცირესეთა ორატორები ლაპარაკობდნენ, მეუმრავლესენი ხელს არ უშლიდნენ. ამხ. კობას ყველა მუშები სულგანაბული უსმენენ, მხოლოდ თქვენ და თქვენი „ხუნხუზები“ უშლიან ხელს...

ვინ იცის, ამ შენიშვნას რა მოჰყვებოდა, რომ კახას რეპლიკას ახალი მიმართულება არ მიეცა კრებისათვის. კახა ხორაზე დაღგა და შესძახა ზაქარიას:

— ამხ. ზაქარია, თქვენ ძალზე უშნოდ იქცევით! ამხ. კობას არაფერი დაუმახინჯებია. მე ვიცნობ მეორე ყრილობის ყველა ოქმებს და მე ვადასტურებ, რომ ორატორმა სრული ჭეშმარიტება სთქვა.

— ჰო! სიმართლეს გაუმარჯოს, ჭეშმარიტებას გაუმარჯოს! — შემოჰკრა ტაში პეტრემ.

— ამხ. კახა, თქვენ მეუმრავლესე ხართ თუ მეუმცირესე? — შეეკითხა გრიგოლი კახას.

— მე აქ მოვედი როგორც მეუმცირესეთა პროპაგანდისტი, მაგრამ შეიძლება აქედან მეუმრავლესეთა პროპაგანდისტად დავბრუნდე.

— ვაშა! ვაშა! — დასჭექა „ელეზნიმ“.

— ეს ჩვენი დიდი გამარჯვებაა, — აღტაცებით გადასძახა თავის ამხანაგებს სტეპკომ. — აი პატიოსანი კაცი!

— კარგი პროპაგანდისტი კი ყოფილხართ! — ჩაიქნია თავი ისიდორემ და კახას საყვედურით შეხედა.

კობა არ ჩქარობდა სიტყვის გაგრძელებას. იცოდა, რომ ამ რეპლიკებში იხსნებოდა საკითხის რთული ხლართი.

— ჩვენთან პარიზში... — დაიწყო პარიზელმა № 1-მა.

— რა ჩვენთან პარიზშიო, ბიძია! — გააწყვეტინა გიორგიმ. — სამტრედიელი მჭადით ხარ გამოზრდილი... დაიცავით წესრიგი, ნუ აქნევთ ტუკს!

— ხა... ხა... ხა... — გაისმა ხარხარი, — ესეც შენს პარიზელს!

— ამას არ გაპატიებთ! პიროვნებაზე გადადიხართ! — ყვიროდა პარიზელი № 1.

— თქვენ აქ ბრძანდებით, როგორც პიროვნება. შენიშვნაც მოგეცით, როგორც პიროვნებას. თუ პიროვნება არა ხართ, ვინა ხართ?

— ჰალსტუკი და ტუკი! — დაცინვით ჩაურთო ტარიელმა.

კრება ვინ იცის როდის დაწყნარდებოდა, რომ კობას ისევ არ დაეწყო. მან შენიშნა, რომ „ხუნხუზებს" კრების ჩაშლა უნდოდათ.

— გათიშვის საკითხი დიდი საკითხია, — განაგრძო კობამ. — ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რევოლუციური მოძრაობისათვის. დღეს მშრომელი ხალხი ყალყზეა დამდგარი. თქვენ ხომ ჰკითხულობთ გაზეთებს? ხომ იცით, რა ხდება ქალაქებსა და სოფლებში? კერძოდ, ჩვენს საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი მაზრა, სადაც არ იყოს გამოსვლები. აი ასეთ დროსაა საჭირო მტკიცე ხელმძღვანელი პარტია. პარტია მტკიცე დისციპლინით, ლენინური პრინციპებით შეიარაღებული, მებრძოლი პარტია.

— შეგნება? შეგნებაზე რას იტყვით? — შეეკითხა გრიგოლი.

— მარტო შეგნება გალესე და დალიე, — გაბრაზებით უპასუხა კობამ, მაგრამ ბრაზი მყისვე ჩაიცხრო და განაგრძო:

— რამდენი პარტია მოდის ასეთ დროს მშრომელ ხალხთან და ელაქუცება! ეს ფედერალისტები, ეს ანარქისტები, ეს ესერები, ეს არაფრისტებიო... (ხალხს გაეცინა. გაეცინათ მეუმცირესეებსაც კი). საჭიროა გარკვევა, ვინაა ხალხის ერთგული, ვინ დაიცავს ბოლომდე მუშათა კლასის ინტერესებს. ჩვენ, მეუმრავლესენი, აშკარა ბრძოლას გავუმართავთ ყველას. დე, ნახოს მუშათა კლასმა, ვინაა მტერი და ვინაა მოყვარე!

— ბრბოსა და გმირებზე რას იტყვით? — შეეკითხა გრიგოლი. — რატომ ამაზე არაფერს იტყვით?

— გრიგოლ ლორთქიფანიძე მეკითხება, რას იტყვით ბრბოსა და გმირების შესახებო? ვფიქრობ, სჯობდა არ დაესვა ეს საკითხი...

— ფონი გასვლის შემდეგ დალოცესო, — შესძახა გრიგოლმა.

— კიდეც გავალთ და კიდეც დავლოცავთ,— უპასუხა კობამ. — შეიძლება სხვამაც დაგვლოცოს... მაშ ასე, ბრბო და ინტელიგენცია.

მეუმცირესეთა ლიდერებმა თავისიანებს ანიშნეს—ჩუმად იყავითო.

ზაქარიამ „ხუნხუზებს" თვალი უქნა, დააშოშმინა. ეტყობოდა, რომ ეს საკითხი ყველას აინტერესებდა.

ეს საკითხი, ინტელიგენციის საკითხი, ძველია. ის შეხედულება, რომელსაც მეუმცირესენი ანვითარებენ, სამოცდაათიან წლებიდან მოდის. მაშინ ავრცელებდნენ აზრს, რომ ინტელიგენცია განუყოფელი არისო. მას შემდეგ ოცდათხუთმეტმა წელმა განვლო, მეუმცირესენი კი ისევ ნუცას სკოლაზე გაჩერებულან ამ საკითხში. მათ ავიწყდებათ. რომ დღევანდელი ინტელიგენცია სხვადასხვა ჯგუფისაგან შესდგება. კაპიტალისტურმა წარმოებამ კლასობრივი წინააღმდეგობა განავითარა. ჩამოაყალიბა საზოგადოების მოწინააღმდეგე ჯგუფები და ინტელიგენციის კრებულის სხვადასხვაობაც. საზოგადოებაში მებრძოლ კლასებს თავისი მომხრე იდეოლოგი ინტელიგენტები გაუჩნდათ და შესაფერ მოქმედებას მოჰკიდეს ხელი. ბურჟუაზიის ინტელიგენციას მუშათა კლასმა თავისი ინტელიგენცია დაუპირისპირა და მისი საშუალებით მუშათა მოძრაობის თეორიული შესედულება შეიმუშავა. ინტელიგენცია თეორიულად ეამოხატავს პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებას. და მისდა შესაფერისად მკაფიოდ გარკვეულ. მეცნიერულად შემუშავებულ პროგრამას აღგენს. და ამ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად პრაქტიკულ მოღვაწეებთან ერთად სამოქმედო წესებს იმუშავებს და მოღვაწეობას ეწევა.

კახას მოეწონა კობას ლოღიკა და აზრების სიცხადე. ახლოს მიიწია და ორატორს პირში შეაჩერდა. მთელი კრება სულგანაბული იყო. „ხუნხუზებიც" კი. ჩაფიქრებული ისიდორე რამიშვილი ჯოხს დაყრდნობოდა...

—საჭიროა თუ არა ამ პროგრამისა და ტაქტიკის პოპულარიზაცია? ცხადია, საჭიროა. ვინ უნდა მოიმოქმედოს ეს? ცხადია, იმან, ვისაც შეგნებული აქვს პროგრამა, ტაქტიკა, და პარტიის სამოქმედო ორგანოში შესაფერი მოღვაწეობა შეუძლია. ეს შეგნება კი უმთავრესი დამახასიათებელია ჩვენი ინტელიგენციისა. მაშ, მას



ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი მიტინგზე ჭიათურაში ამხელს მენშევიკებს (1905 წ.)

მხატვარ ს. ნადარეიშვილის სურათიდან

პარტიული პროგრამა აქვს და პარტიული ტაქტიკით ხელმძღვანელობს. მაშ, რათ ჩნდება ასეთი წინააღმდეგობა ინტელიგენციასა და ბრბოს შორის? იმიტომაო, ამბობს მეუმცირესეთა წარმომადგენელი, რომ პარტია ბიუროკრატიულ სახელმწიფოდ გადააქცეესო. ეს ტყუილია. აბა სთქვას: სად? როდის?

ლორთქიფანიძე სდუმდა. სდუმდა ისიდორეც.

— როდის უარჰყო უმრავლესობამ კლასის მოწინავე პირების მონაწილეობა პარტიაში? არსად და არასოდეს!

ლორთქიფანიძე სდუმდა. სდუმდა ისიდორეც.

— ვინ არიან მოწინავეები? კლასის შეგნებული ნაწილი. ე. ი. ისინი, ვისაც მოქმედების ასპარეზი გათვალისწინებული აქვთ, პროგრამა და ტაქტიკა გაგებული და შეთვისებული. ეს არის კლასის ცნობიერი წევრი და ამიტომ იგი პარტიის წევრიც უნდა იქნეს, აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს სამოქმედო ორგანოებში. განა ასეთი წევრი ინტელიგენტი არ არის და „ჩვენი" ინტელიგენცია კლასის მოწინავე წევრს არ წარმოადგენს? განსხვავებაა ერთი: პირველი ფიზიკურ შრომას ეწევა განსაზღვრულ პირობებში. მეორე არა. მხოლოდ პოლიტიკური პარტიის წევრისათვის ასეთი განსხვავება უმნიშვნელოა. რამდენად შეგნებული აქვს ამა თუ იმ პირს პარტიის პროგრამა და ტაქტიკა, იმდენად ღებულობს ის მონაწილეობას სამოქმედო ორგანოში. თუ არ აქვს შეგნებული და არ იღებს ასეთ მონაწილეობას, ის პარტიის წევრად გამოუსადეგარია, მოწინავე იქნება ის თუ ინტელიგენტი, სულერთია. თუ შეგნებული აქვს ერთიცა და მეორეც და მისდა შესაფერად მოღვაწეობს, ის ნამდვილი წევრია პარტიისა. განურჩევლად იმისა, მოწინავეა ის თუ ინტელიგენტი. აი საზომი. ინტელიგენტობით ზომვა კი კლასობრივი შეხედულების ღალატია. მოდუნებული და უნიადაგო შეხედულებაა... ბოლოს და ბოლოს გრიგოლ ლორთქიფანიძეც ხომ ინტელიგენტია?.. როგორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მეუმცირესეთა სიბრძნიდან? მხოლოდ ერთი: ინტელიგენცია პარტიის მტერია. მტერს კი უნდა ებრძოლო! ამას ქადაგებს უმცირესობა უმრავლესობის წინააღმდეგ...

კობამ ბლოკნოტი დაკეცა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და კლდეს მოშორდა.

წინარიგები წამოიშალა. ეტყობოდა, ყველას მოხვდა ვულში ეს სიტყვები. მუშები მიცვივდნენ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ყვირილით:

— ერთმანეთზე გვისევთ? როგორ არა გრცხვენიათ?

— რატომ ასე არ აგვიხსენით აქამდე? რატომ გვატყუებდით?

— ზაქარია გურულო, შენი ადგილი არაა აქ! მოგვშორდი თავიდან! შენ მრეწველთა საბჭოში უნდა იჯდე და არა რევოლუციურ პარტიაში!

— ისიდორე რატომ სდუმს? რატომ სდუმს ისიდორე?

— ისიდორემ რა სთქვას? რა აქვს სათქმელი?

ისიდორემ თავი ასწია. გადახედა მუშებს. ეტყობოდა, ღელავდა, ოღონდ ცდილობდა თავშეკავებას. ბოლოს ყრუდ სთქვა:

— ხომ მოუსმინეთ ორივე მხარეს? აწი განსაჯეთ... მაგრამ ისე განსაჯეთ, რომ არ წააგოთ...

— სოლომონ ბრძენია, რაღა! — ჩაიქნია ხელი ტარიელმა. — თქვენ რჩევას გეკითხებით, თორემ მე კი გავარჩევ მრუდესა და მართალს.

— შენმა მზემ, გაარჩევ! — დაუძახა ზაქარიამ. — რა გესმის, რომ გაარჩიო?

— მითომ და რატომაო? — მიახალა პეტრემ. — თქვენსავით მრეწველი რომ არა ვართ, იმიტომ?

— ეს ინსინუაციაა! — წამოსტა ზაქარია. — წაიღეთ უკან სიტყვა!

— ჯერ დააბრუნეთ ზედმეტი მოგება, რაც მუშებისაგან მიიღეთ!

— ამხანაგებო, ევროპაში ასეა! — დაიწყო პარიზელმა № 2. — რა ვუყოთ, კაცი თუ მრეწველია...

— როგორ? კაპიტალისტმა მუშა ყვლიფოს და მასვე ასწავლოს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა? — დაიგრიალა ელეზნიმ. — სულ ნუ გაპარიზელდები, ბიძია, თორემ ვინ დაგიჯერებს?

— ამხანაგებო! დაწყნარდით! ზარი ხომ არ ჩამოვრეკოთ?. ხომ გაიგო უდროო დროს ზარის რეკა პოლიციამ? მართალია, ზურგი გატეხილი აქვს პოლიციას, მაგრამ თავი არა აქვს ჯერ გაჭეჭყილი, — მიმართა კრებას გიორგიმ. — ვის უნდა სიტყვა?

უამრავი ხელი აიშალა.

— მოიცათ, ამხანაგებო! დასწით ხელები! მთავარი საკითხი, რომელსაც დღეს ვარჩევთ, არის ასეთი: მეუმრავლესობასა და მეუმცირესეთა შორის ატეხილი დავა. ეს დავა მარტო ლენინისა და

მარტოვის დავა არაა. ეს გვეხება ყოველ ჩვენგანს, ყოველ მუშას. ვის გაჰყვება მუშათა კლასი, რომელი გზით წავა, ამას გადამწყვეტი გავლენა ექნება მომავალ რევოლუციაზე... კარგად ჩაუფიქრდით ამას, ძმებო, მუშებო!... ჩვენივე ბედიღბალს ვწყვეტავთ...

გიორგის ხმა აუკანკალდა. მისმა გულწრფელმა აღელვებამ კრებაზე მაგიურად იმოქმედა. დაშოშმინდნენ. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ისმოდა, თუ როგორ შხუოდა ყვირილა ხეობაში.

— სიტყვა ეკუთვნის... — დაიწყო გიორგიმ.

—მე!—გააწყვეტინა ტარიელმა.—კაცო, ეს ამბავი იმას ჰგავს...

— მოიცა, ტარიელ! ჯერ ითხოვე!

— ვითხოვე რომელია! რამდენი ხანია მაწყვეტინებ სიტყვას... ღიმილმა გააპო შავი სახეები. ტარიელი ავიდა ტრიბუნაზე.

— ამხანაგებო! მე შავ ქვაზე 12 წლის მოველ. ოცი წელია აქ ვმუშაობ და უკვე გავთეთრდი. მიკვირს, სული როგორ შემრჩა. რამდენ გაჭყლეტილ მუშას ძინავს მაღაროებში! აი ამ ბექობზე რომ ვდგევარ ახლა, ტრიბუნაზე რომ ვამბობთ, ეს იცით რა არის? საძმო საფლავია. ათიოდე წლის წინათ აქ თორმეტი მუშა ჩავყარეთ. მაღაროში გაიჭყლიტნენ. ვინ ოსი, ვინ სპარსელი, ვინ ქართველიც. გროში-კაპიკი არ დაუხარჯავს მწარმოებელს მათ დაკრძალვაზეც კი. მათი ქომაგი არავინ იყო. ახლა ეს ქომაგი და პატრონი გვყავს. ეს არის პარტია, ჩვენი პარტია. მე პირადად არა ვარ პარტიელი, მაგრამ ვხედავ, მე რომ მაღარომ გამჭყლიტოს, ყოფილა ხალხი თურმე, რომელიც ჩემს სისხლს არ შეარჩენს მწარმოებელს. აი აქ რომ ზარი ჰკიდია, ეს ვისი საქმეა? გაფიცვის შემდეგ დაჰკიდა მწარმოებელმა. ვინ მოაწყო ის გაფიცვა? ვინ იყო მისი ხელმძღვანელი?

— სტეპკო ინწკირველი იყო! სტეპკო! — უპასუხეს ტარიელს.

— მეც ასე მეგონა. მაგრამ სტეპკოს ვინ უკარნახა? მეუმრავლესეთა ორგანიზაციამ თურმე, ხოლო მეუმრავლესეებს ვინ ხელმძღვანელობდა? ამხანაგი კობა...

ტაში რომ დაწყნარდა, ტარიელმა განაგრძო:

— აი კაცი, რომელსაც გული შესტკივა მუშაზე არა სიტყვით, არამედ საქმით. რაც მან გვითხრა დღეს, სრული ჭეშმარიტებაა. წესრიგი და დისციპლინა ჯერ ოჯახშიაც საჭიროა, მით უმეტეს საქვეყნო საქმეში. მე რათ მინდა ისეთი პარტია, სადაც დომხალია. რას გაგვიკეთებს ჩვენ ასეთი პარტია?

— შენ იმაზე ილაპარაკე, ვინ უნდა იყოს პარტიაში!—შესძახა ზაქარია გურულმა. — სუფრაზე კი არ ზიხარ, რომ გააჭიანურე!

— პარტიაში, ჩემო ბატონო, ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელიც მასპინძლად ივარგებს, თორემ სტუმრობა იოლი საქმეა.

— აგრე! აგრე! — წააქეზა ტარიელი პეტრემ.

— სტუმარს ის აინტერესებს, რა არის სუფრაზე, თორემ რა ხდება სუფრის იქით, ეს მასპინძლის საქმეა, მისი ოფლისა და შრომის საქმეა. პარტიაში ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელიც მასპინძელივით იქნება: იშრომებს პარტიისათვის, თავის წონა ოფლს დაღვრის, პარტიის ჭირს თავის ჭირად მიიჩნევს. პარტიაში გარჩეული მადანივით კაცი უნდა იყოს. გარჩეული მადანივით, გაიგეთ? პარტიაში შემოსასვლელი კარი ვიწრო უნდა იყოს, ხოლო დარბაზი ფართო. თუ შედი, გასაქანიც გექნება. მე არ მჯერა, რომ მეუმრავლესენი მუშებს ერეკებოდნენ პარტიიდან. პირიქით. მე რამდენჯერ მითხრა იმათმა პროპაგანდისტმა გუცამ: ეხ, ტარიელ, შენ რომ არ გადაჰკრავდე, რა არალეგალური მუშაკი იქნებიო! პარტიაში გამოდგებიო... აგერაა გუცა და დამიდასტურებს. ხომ მიმიღებთ, ძმაო, პარტიაში, თუ დავიმსახურე, არა, გუცა?

— მიგიღებთ! მიგიღებთ, — ოღონდ უნდა იყო სუფთა, გარჩეული მადანივით. — სიცილით უპასუხა გუცამ, რომელიც სტეპკოსა და ელეზნისთან ერთად კობას გვერდით იდგა.

— შენ ისე ლაპარაკობ პარტიაზე, თითქოს უკვე მისი წევრი იყო! — უთხრა პარიზელმა № 1.

— შენც ისე უნდა ილაპარაკო, ჩემო პარიზელო, უკაცრავად შენი ნუმერი არ ვიცი... ჰო, შენც ისე უნდა ილაპარაკო, რომ ყოველ მუშას აღუძრა სურვილი პარტიაში შესვლისა. მაგრამ მიღების წინ კი უნდა დალანდო კაცი, ლაყე რომ არ გამოდგეს და ბრძოლის დროს არ გიღალატოს. ჩემი აზრით, მართალია ამხანაგი კობა, ამხანაგი ლენინი. გაუსინჯავი ხალხი ბოლომდე არ გამოგვყვება. მრეწველი ზაქარია გურული და მიხაკო წეროძე, ესენი თუმცა მეუმცირესეები არიან, ჩემსავით არ იბრძოლებენ მუშის საქმისათვის. საცხა კი მიგვატოვებენ მაგენი, ბიჭებო!

— იმათ უკვე მიგვატოვეს! — მიაძახეს გუცამ და პეტრემ.

გაბრაზებულმა ზაქარიამ ჯოხი მოიქნია და დაიძახა:

— ეს არაა პოლიტიკური მსჯელობა, ეს ლაყბობაა!

— მე ისე ვმსჯელობ, როგორც შემიძლია ჩემი მუშური

ჭკუით! — უპასუხა ტარიელმა. — ვამთავრებ, ამხანაგებო! პარტია პარტიელისათვის ნამდვილი სამშობლო უნდა იყოს.. ვიწროდ დაიჭირეთ პარტიის კარები, ამხანაგებო! არ გაძვრეს შიგ ლაქლაქა და დაუპატიჟებელი სტუმრები... მივყვეთ ლენინს და ამხ. კობას... სწორედ არ ვამბობ? თუ რამე დავაკელ, თქვენ დაუმატეთ!..

სიტყვა კახამ აიღო.

— ვისი სახელით ლაპარაკობ? — შეეკითხა ლორთქიფანიძე.

— ანგარიშში არ მოტყუვდე! — უთხრა ზაქარიამ.

— შენ, ზაქარია, შენს ნოქრებს ასწავლე ანგარიში! — შეუბრუნა სიტყვა კახამ.

— სიტყვა ეკუთვნის მეუმცირესეთა პროპაგანდისტს, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

კახა ავიდა ბექობზე.

— ამხანაგებო! მე ჭიათურაში ქუთაისის მეუმცირესეთა ორგანიზაციამ გამომაგზავნა პროპაგანდისტად. მე მითხრეს, ჭიათურაში ძალზე გამწვავებულიაო პარტიული უთანხმოება, რომ აქაური მეუმრავლესენი ყრილობის საკითხებს მრუდად აშუქებენო. მაგრამ რა ვნახე დღეს? მე მოვუსმინე ორივე მხარის ლიდერებს... ამხანაგებო, პარტიული მუშაობა განსხვავდება ყველა სხვა მუშაობისაგან. სხვაგან შეიძლება ითაღლითო, თუ ძალით გამუშავებენ, ან ხელი მოუშვა, თუ არ მოგწონს სამუშაო. ჩვენ ხომ, ჯერჯერობით კაპიტალისტურ წყობილებაში თავისი სურვილით არ ვირჩევთ პროფესიას!.. თავისი სურვილით პროფესიის არჩევა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ კაპიტალიზმის დანგრევისა და სოციალიზმის დროს. მაგრამ დღესდღეობით ჩვენ შეგვიძლია თამამად და გულწრფელად, შეგნებულად და გაბედულად პოლიტიკური ბრძოლის გზა ავირჩიოთ. მე პირადად, ინტელიგენტი რომ ვარ, ავირჩიე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გზა. მე არ მეგონა, რომ ინტელიგენტი მუშის მტერი იქნებოდა, რომ ყველა ინტელიგენტი ერთი და იგივე საზომით უნდა გაიზომოს. ამ საკითხში მე არ ვეთანხმები ამხ. გრიგოლს. ამ საკითხში მართალია ამხ. კობა.

— ვაშა, ვაშა!

— ძირს, ძირს!

ორატორმა განაგრძო:

— არ ვეთანხმები მთავარ საკითხშიც, პარტიის საკითხშიც. მეც დღემდე ასე მქონდა წარმოდგენილი, რომ პარტია ერთნაირად განწყობილი ხალხის კრებულს უნდა წარმოადგენდეს მეთქი, რომ ფარკვეული პროგრამით მოქმედება და დაწვრილებით შემუშავე-

ბული ტაქტიკა საჭირო არ არის მეთქი. ამხ. კობამ კარგად დაგვანახვა, რომ ეს არ შეიძლება. ამხ. გრიგოლი ამბობს, პარტიას შეიძლება არც კი ჰქონდეს გარკვეული სამოქმედო გზაო. ვერ წარმომიდგენია ასეთი პარტია.

— შენ ბევრი რამ ვერ წარმოგიდგენია, მაგრამ აყუდებულხარ ტრიბუნაზე და ქერქეტობ! — გაიძახა ზაქარია გურულმა.

— მე არ ვქერქეტობ! მე გულწრფელად ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. რაც დღეს აქ ვნახე და რაც ამ ერთ კვირაში გავიგონე ჭიათურაში, მარწმუნებს იმაში, ვინაა მტყუანი და ვინაა მართალი.

— ვინაა? ვინაა! — ატყდა ყიჟინა.

— პარტიის საქმე წმინდა საქმეა, ბრძოლის ხერხებიც სუფთა უნდა იყოს,—განაგრძო კახამ. — ჭიათურაში კი მეუმცირესეებს, ე. ი. ჩვენ, დაგვიყრია ხმები, თითქოს მეუმრავლესენი ქურდბაცაცებს აფარებენ ხელს და აქეზებენ მათ. ეს სირცხვილია!

— სირცხვილია! სირცხვილია!

— მე ვაცხადებ პროტესტს ამ სამარცხვინო ხმების წინააღმდეგ. მე მრცხვენია მეუმცირესეების ნაცვლად...

— კახა პროვოკატორია! კახა არაა ჩვენი წარმომადგენელი! ძირს კახა! — დაიყვირა ზაქარია გურულმა.

— ახლა არა ვარ თქვენი წარმომადგენელი? — დაიყვირა კახამაც. — როცა სიმართლე პირში გითხარით?

— რატომ მაშინ არ გამოაცხადეთ, ჩვენი წარმომადგენელი არ არისო, როცა თქვენი სახელით აიღო სიტყვა? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— არ ვიცოდით, ვინ იყო!

— სტყუით! ერთად არ ჩამოველით ქუთაისიდან? ან ბანკეტზე რომ დამპატიჟე, განა უცნობის დაპატიჟება შეიძლება? იმის შემდეგ, რაც აქ ვნახე, მე ვაცხადებ: ვეთიშები მეუმცირესეთა ფრაქციას და ვაცხადებ თავს მეუმრავლესედ...

ისეთი აურზაური ატყდა, ისეთი მიწევ-მოწევა, რომ ხორა-ხორად დაწყობილი შავი ქვა დაიშალა და ჰაერში სქელი, შავი მტვერი დადგა. შავმა მტვერმა დაფარა მაღაროს პირი, და ხალხი ძალაუნებურად დაწყნარდა. მტვერი როცა გაიბნა, მუშებმა ერთმანეთს გაღახედეს. რამოდენიმე „ხუნხუზი“ კახასაკენ მიიპარებოდა.

— ამხანაგებო! — დაიგუგუნა ჟელეზნიმ. — ვაცხადებ საჯაროდ, თუ მეუმცირესეთა „ხუნხუზებს“ ხელი უხლიათ ამხ. კახასთვის, ჩვენ იარაღით გავსცემთ პასუხს.

და ჟელეზნიმ თეთრი სმიტ-ვესონი ამოიღო.

— სირცხვილი! სირცხვილი! — გაისმა აღშფოთების ხმები. ჟელეზნიმ, პეტრემ და გუცამ კახა გაანაპირეს.

პარიზელი № 1 ავარდა ტრიბუნაზე:

— ამხანაგებო! ამხანაგებო! მოისმინეთ!

— არ გვინდა პარიზელი! ძირს პარიზელი!

პარიზელი № 2 ავარდა ტრიბუნაზე:

— არ გვინდა! არც ერთი პარიზელი არ გვინდა! ძირს! ძირს!

— გადავსდოთ კრება! — მოითხოვეს მეუმცირესეებმა.—ასეთ პირობებში შეუძლებელია რაიმე აზრის გამოტანა.

— კრების გადადება საჭირო არაა, — განაცხადა კობამ. — დღესვე შეიძლება გადაწყდეს, ვის ემხრობიან პერევისის მაღაროს მუშები. რაც შეეხება ხმაურობას, ჩემის დაკვირვებით, მუშები როდი ხმაურობენ. სხვები, მოუპატიჟებელი სტუმრები ხმაურობენ... ხვალ ჩვენ სხვა მაღაროში გვაქვს საქმე...

— კობას ვემხრობით! კობას! — დაიგუგუნა კრებამ. — გაუმარჯოს მეუმრავლესეებს!

—ორიოდე სიტყვა მეც მათქმევინეთ,—სთქვა თავმჯდომარემ.— თავმჯდომარე რომ ვარ, განა სულ სხვა უნდა ვალაპარაკო? მე, როგორც გითხარით, აქ იმის გამოსარკვევად მოველი, რომ გამეგო თუ ვინაა ამ განხეთქილებაში მტყუანი და ვინაა მართალი. მე გული მტკიოდა პარტიის გათიშვის გამო. მაგრამ აქედან გულდამშვიდებული წავალ. საჭირო ყოფილა ეს განხეთქილება. ბედაური და ოჩანი ერთად ვერ შეებმიან უღელს. მებრძოლი და მშიშარა ერთად ვერ ივლიან. პარტია მართლა რომ მებრძოლი ორგანიზაცია უნდა იყოს და არა პირუტყვების მომვლელი საზოგადოება, რომელსაც პროგრამა არ ექნება. მოვუწოდებ პერევისელ მუშებს, ერთხმად დავუჭიროთ მხარი მეუმრავლესეებს.

— არ გაქვს უფლება ჩვენი სახელით ილაპარაკო! — დაუყვირეს მას ჯოხიანებმა.

— სირცხვილადაც მივიჩნევ თქვენი სახელით ლაპარაკს! თქვენ „ხუნხუზები“ ხართ!

— პროვოკაციაა! ტყუილია! ვინაა „ხუნხუზები“?

— თქვენა ხართ „ხუნხუზები“,—მიაძახა გიორგიმ ერთს, რომელიც ყველაზე მეტს ყვიროდა, — თქვენ არა ხართ ჩვენი მაღაროელი მუშა. მართალია, ყველანი გაშავებული ვართ მტვრისაგან, მაგრამ ხმით მაინც ვიცნობ ჩვენს მუშებს. თქვენ იმ ჯოხიანთაგანი ბრძანდებით, რომელნიც ზაქარია გურულს და ლორთქიფანიძეს დაჰყვებიან კრებებზე, ყველაზე მეტს ყვირიან, ჯოხებს იქნევენ,

რომ შექმნან შთაბეჭდილება: აი, უმრავლესობა, და მერე როგორი! მებრძოლი უმრავლესობა ჰყავს მეუმცირესეებსო... ასეთ ხალხს ვეძახით ჩვენ „ხუნხუზებს“...

გიორგის სიტყვა ჩაუწყდა პირში. მარჯვედ გამოსროლილი ნიჩბის ტარი თავში მოხვდა. გიორგი წაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა. საშინელ ხმაურში ლომივით დაიღრიალა:

— ერთი ერთზე მოდით, თუ ვაჟკაცი ხართ!..

და იგივე ნიჩბის ტარი მსროლელს შიგ სახეში დაუბრუნა...

— წავიდეთ, დავმარცხდით! — სთქვა ისიდორემ და ადგა.

ღრიალით და ხმაურით წავიდნენ ჯოხიანი და მყვირალა „ხუნხუზები“. მეუმცირესეთა ლიდერები წელს ძლივს მიათრევდნენ...

კობას გარს შემოეხვია მუშათა რაზმი.

ხელს ართმევდნენ. ეცნობოდნენ, თვალებში უყურებდნენ...

ზრდა

არ ეძინება ტარიელს.

ღია ფანჯარაში სავსე მთვარე იხედება და ოთახი რძისფერი სხივებით გაუვსია.

ტარიელი ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდება, ხან მეორეზე. ყველგან თეთრი სხივებია ამ სავსე მთვარისა.

ტარიელი სწყვეტს დიდ საკითხს: შევიდეს თუ არა პარტიაში? სტეპკომ პირდაპირ უთხრა: აფსუსი არ არის, შენისთანა კაცი პარტიაში არ იყოსო?

მაინც რა საინტერესო ყოფილა არალეგალური მუშაობა! თურმე ღამეს ისე უნდა შეეჩვიო, როგორც დღეს. უმთვარო ღამეშიც ისე არ უნდა შეგცდეს საგანი, როგორც მზის სინათლეზე. განსაკუთრებით საშიში ყოფილა ნათელი ღამე, რომელიც ასე უყვარს ტარიელს. ასეთ ღამეებში უყვარს ტარიელს ოცნება. უყურებს შორეულ ვარსკვლავებს, მთვარეს, ცას და ხანდახან განავარდებაც კი მოუნდება სხვრცეში. აი, ასეთ ნათელ ღამეს უნდა ერიდოს აწი ტარიელი, როცა დამალვა შეიქნება საჭირო.

არალეგალურ მუშაკს გამახვილებული უნდა ჰქონდეს სმენა, თვალი, მეხსიერება. არ შეიძლება წერილების ტარება უბით. არ შეიძლება ერთი და იმავე გზით წასვლა და მოსვლა. ძალიან კარგ მეგობარსაც რომ შეხვდე ხალხში, არ უნდა მიესალმო. თითქოს არც კი იცნობ. შესახვევთან ნაბიჯს უნდა უკლო, მეორე მხარეზე

გადახვიდე: ეგებ ჯაშუში ამოფარებია კუთხეს და გითვალთვალებს. უნდა იცოდე სიარულის გამოცვლა. ხან თოხარიკით იარო, ხან ოჩანი ცხენივით. უნდა გაიწაფო ტანისამოსის ჩქარ ჩაცმაში და გახდაში. უნდა შესძლო თვალის დახამხამებაში, თუ თავს დაგეს-ხნენ, ჩაიცვა და გაიქცე. უნდა იცოდე ცალი თვალით ძილი.

არასოდეს არ უნდა აჩქარდე თურმე. არ უნდა აღელდე — ვთქვათ დაგაპატიმრეს და გიპოვეს პროკლამაცია. არხეინად უნდა უპასუხო: ქუჩაში ვიპოვე, ვიფიქრე — თუთუნის შესახვევად გამო-მადგება მეთქი...

არ უნდა დაიბნე, მუდამ უნდა გჯეროდეს, რომ დავალებულ საქმეს გააკეთებ. საკუთარი თავისადმი რწმენა დიდი საქმეა.

უნდა იყო შეუდრეკელი და გამბედავი. სიკვდილსაც კი შეუ-პოვრად უნდა შეხვდე.

არალეგალურ მუშაკს ზედმეტი სახელიც კი ჰქონია: შერქმეუ-ლი სახელი. უნდა შეეჩვიო ამ სახელს, როგორც საკუთარს.

ერთი კარგი არალეგალური მუშაკი დიდხანს ვერ დაიჭირესო, უთხრა სტეპკომ ტარიელს. ბოლოს აგენტმა მიაგნო კვალს. „კონ-კა"-ში შეჰყვა. აგენტი არ იყო თურმე დარწმუნებული: იმას წააწ-ყდა, ვისაც ეძებდა, თუ სხვას. აგენტი იმან დააბნია, რომ ეს მუშა-კი კოჭლობდა. ის კი, ვისაც აგენტი ეძებდა, საღი იყო. მაშინ აგენ-ტმა ხერხი იხმარა. იმ არალეგალური მუშაკის ნამდვილი სახელი იცოდა და როცა ის კონკიდან ჩამოდიოდა, დაუძახა ნამდვილი სა-ხელი. არალეგალური მუშაკი მობრუნდა...

აი, ასეთი რამ არ უნდა დაემართოს ტარიელს...

მაგრამ გამოდგება ტარიელი არალეგალურ მუშაკად? ვაი თუ სტეპკოც შეარცხვინა და თავისი თავიც.

— გამოუსადეგარი ადამიანი არ არსებობს, — უპასუხა სტეპ-კომ. — ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე და ძალღონის გათვალისწინებაზე. კარგად ჩაუფიქრდი რაც გითხარი და ისე გა-დასწყვიტე. ოღონდ უნდა გახსოვდეს ერთი გარდაუვალი პირობა: ამხ. კობა გვასწავლის—პარტია დედასავით უნდა გვიყვარდესო...

ტარიელიც ფიქრობს ეს რამდენი დღეა. კობასთან ერთი შეხ-ვედრა საკმარისი გახდა, რომ ტარიელის ცხოვრება ერთიანად შეტრიალებულიყო. ჰმ... პარიელაც რომ შემარქვა... შენ, ჩემო ტარიელ, პარიელა უნდა გერქვას, ისეთი მოპარვით იცი სიარუ-ლიო... დიაღ, შეტრიალდა ცხოვრება და განა მარტო ტარიელის? იმ დღიდან პერევისის მაღაროს კობას სახელი მზესავით დანათის.

ახლა შუქრუთში რა უქნია! იქაც ყველა მაღაროელები კობას მიმხრობიან და მეუმცირესენი პირდაპირ გაუძევებიათ კრებიდან...

დიდი ამბები ხდება ქვეყანაზე! და ტარიელს საშუალება ეძლევა მაყურებელი როდი იყოს ამ ამბებისა, არამედ მონაწილე. მერე როგორი მონაწილე? შემამზადებელი რევოლუციის გამარჯვებისა... მეუმრავლესე...

მეუმცირესეთა რიგებში რომ შედიოდეს, უყოყმანოდ გაბედავდა შესვლას. იქ კარი ღიაა. მობრძანდითო, ეპატიჟებიან ისინი ყველას.

რამდენი აცინეს გუშინ სტეპკომ და გუცამ ტარიელი.

ზაქარია გურულს უთქვამს თურმე ზარასპისათვის, შემოდი ჩვენს პარტიაში, მაინც შენს სასადილოში ვიკრიბებით ხშირადო.

— თუ სხვა სასადილოში არ წახვალთ და ჩემი მუშტრები იქნებით, შემოვალო...

აი, როგორი იოლია იქ შესვლა. მეუმრავლესეები კი სხვა ხალხია. ტარიელი ხედავდა, თუ როგორის თავდადებით ასრულებდნენ დავალებებს მეუმრავლესენი. უყოყმანოდ, უდავოდ, რწმენით.

ხედავს ტარიელი: თუ ამ გზას დაადგა, უკან გამობრუნება არ შეიძლება. მეუმრავლესეებთან არ შეიძლება სანახევროდ მისვლა. ან სულ, ან არა... საჭიროა დიდი რწმენა...

მაგრამ წავა ტარიელი კატორღაში ამ რწმენისათვის?

მიუშვერს ტყვიას გულმკერდს?

ავა სახრჩობელაზე? არ დაიხევს უკან?

უპარტიოდ რომ დარჩეს, ჰო, შეიძლება დაიხიოს უკან. შეიძლება სთქვას: არც რევოლუცია ვიცი და არც კომიტეტიო.

ან შეიძლება ასე სთქვას:

— შემაცდინეს, ბატონო! ერთი გაუნათლებელი კაცი ვარ. მაპატიეთ. ნუ ჩავარდებით ჩემი ცოლშვილის ცოდვაში.

მაგრამ პარტიელს, მეუმრავლესეს, და ისიც ამხ. კობას მოწაფეს, ეს არ შეშვენის.

აარა!..

ბავშვი გადაბრუნდა და საბანი გადასძვრა.

ტარიელმა საბანი გაუსწორა, შუბლში აკოცა და დააცქერდა.

აი, ეს ანგელოზი უნდა დასტოვოს ტარიელმა და ციმბირში ამოჰყოს თავი, თუ ჩაება ისეთ მუშაობაში, რომელსაც მეუმრავლესენი ეწევიან. ეგებ არც ეღირსოს უკან დაბრუნება.

ცრემლი მოადგა თვალზე. ცოლისკენ მოიხედა.

ბოლომე გულალმა იწვა. თმები ბალიშზე გაშლოდა. ტარიელს თავისი ცოლი ზღაპრულ მზეთუნახავად მოეჩვენა.

— ესეც დაგეკარგება! — ჩასჩურჩულა ბოროტმა ხმამ ტარიელს.

ტარიელმა მოიხედა: ეს ვინ ჩამჩურჩულაო.

დალახვროს ეშმაკმა! ეშინია ტარიელს! ვერ გამოდგება მებრძოლად! ალბათ მეუმრავლესენი სხვანაირად გამოჭრილი ხალხია. სხვანაირი ძვალი აქვთ.

მაგრამ პეტრე!

პეტრე ხომ ტარიელივით მუშაა? თითქოს ჩუმი, უწყინარი, შეუმჩნეველი. ათასს სხვაში ვერ გაარჩევ.

ცოლიც ჰყავს და შვილიც.

მაგრამ პეტრე კომიტეტშიაც კი შედის თურმე.

კომიტეტი რაა: პირადად კობასაგან იღებს დავალებებს.

ჰო, კობას დავალებას ტარიელიც ეღირსა.

ამას წინათ სოფელში, გლეხობაში, ამხ. კობამ არალეგალური კრება ჩაატარა. ტარიელს კი უთხრა:

— სოფლის ბოლოს დადექ, თითქოს ნახირს მწყესავ. თუ რამე საეჭვო ნახე, ან პოლიცია გამოჩნდეს, გვაცნობეო.

ტარიელმა ასი თვალი გამოისხა, ისე იდგა სადარაჯოზე.

მაშ, ენდობიან ტარიელს. ტყუილად როდი უთხრა თვითონ კობამ სტეპკოს:

— ასეთი კაცი ათისთავად კი არა, ასისთავად გამოდგება, თუ იმარჯვა...

თუ იმარჯვა!

ვერ იმარჯვებს თუ? აკი პეტრემ იმარჯვა? რითაა პეტრეზე ნაკლები ტარიელი?

ტარიელს გაახსენდა, თუ როგორ მოატყუა ზარასპინ და მთელი კვირის ხელფასი დაატოვებინა სამეკიტნოში. შერცხვა ტარიელს. მართალია, ცოლისაც შერცხვა მეორე დღეს და ბავშვისაც, მაგრამ ახლა, როცა მთელს თავის სულსა და გულს პარტიაში შესვლის წინ ახლებურად სწონიდა და ზომავდა, ეს სირცხვილი განსაკუთრებულის სიმწვავით იგრძნო.

პეტრესაც და სტეპკოსაც კი გაუბრაზდა ამ შუაღამეს ამ სიშორეზე: რას მიწვევენ პარტიაში ასეთ კაცსო? ეხ, როგორ ამაფორიაქესო?

ტარიელმა ბრაზისაგან კბილები დააღრჭიალა. ხომ გაგუდავს

ახლა ზარასპის, ხელში რომ მისცა? თუმცა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო...

შორს, სადღაც მამალმა იყივლა. ტარიელის მამალმაც უპასუხა. მთვარე მიიბნიდა. თემშარაზე ფრთხილი ჩრდილი გამოჩნდა. ტარიელმა იცნო: პეტრე მიდიოდა შინისაკენ.

ჰმ... პეტრეა. არალეგალური კრებიდან ბრუნდება. პეტრეს არ სძინავს. ტარიელისა და ათასი ტარიელის საქმეს აკეთებს... ამ ათასებს კი არხეინად სძინავთ...

და ტარიელმა იგრძნო რაღაც თბილი, დიდი და ლამაზი ამ კაცისადმი. ასეთი გრძნობა ჯერ არ განუცდია ტარიელს. იგრძნო კი, რომ სულშიაც რაღაც ნათელი ჩაუდგა.

წამოდგა. უნდოდა დაწეოდა პეტრეს, ეთქვა: მიმიღეთ, მამუშავეთ, რომ ჩემი და ათასი ჩემისთანას საქმე გაკეთდესო, რომ ადამიანური ცხოვრება დაგვიდგესო..

მაგრამ პეტრემ უკვე შეუხვია.

— ხვალ ვეტყვი. ხვალიდან ახალი ტარიელი ვიქნები...

თითქოს დიდი სიმძიმე მოშორდა ტარიელს. თემშარას გახედა და უფრო ფართოდ მოეჩვენა. თითქოს აივანიც გაფართოვდა. თითქოს ჭერმაც აიწია.

და თითქოს ტარიელმაც აიწია სიმაღლეზე... გაიზარდა...

სტამბა

მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირას, შეღმართზე, ეკლის ხეების ჩრდილში, ერთი უმწეო და უცნაური შენობა იდგა. არც თუ ქოხი, არც თუ საცხოვრებელი სახლი. პატარა, წეუხედავი, მოღრეცილი. ქოხისაგან ის ანსხვავებდა, რომ ერთი ფანჯარა ჰქონდა. ოდისაგან ის, რომ ბიჯგები ჰქონდა შეყენებული, თითქოს კედლები დაბერებულა და ყავარჯენს დაჰყრდნობიაო. სახურავი ალაგ-ალაგ აგლეჯილი ჰქონდა: არც თუ ყავარი, არც თუ ფიცარი გადაუხურავთ. ეკლის ხშირი ხეები მჭიდროდ დახრილა სახურავზე, თითქოს ბუნებრივი სახურავი გაუკეთებიათო. ვერც მზე, ვერც წვიმა ვერ ატანდა ამ ცოცხალ ტოტებისაგან შეკრულ სახურავს. ვერც თუ ქარი დააკლებდა რასმე ამ ბუნებრივ საფარში ქოხს. ეკლის ხეების ერთმანეთს შეხლართული ტოტები ფარივით შემოდგომოდა კედლებსაც და მაშინაც კი, როცა ზენა ქარი ხმაურით და-

ეშვებოდა ყვირილის ნაპირებზე, ააფორიაქებდა ხეობას, ქოხი ბარტყივით იჯდა ეკლის ბუდეში.

— ამ სახლზე არავინ აიღებს ეჭვს, — უთხრა სტეპკოს კობამ. როცა გარედან დაათვალიერა სახლი.—მისვლა ადვილია, ვაგზალიც ახლოსაა, თან გზის პირასაა, პროკლამაციის კონას ზედ ურემზე დაუდებს კაცი და გაატანს გინდ მაღაროში, გინდ სოფელში... კარგად იცნობ ოჯახს?

— ჩვენი ხალხია. ქმარი მასწავლებელია, ცოლი დიასახლისი. პატარა ბავშვიცა ყავთ, ძუძუნწოვარა.

— მასწავლებელი ასეთ ქოხში! — გაუკვირდა კობას.

— კარგ სახლში ბინა არავინ მიაქირავა მათ. სოციალისტი ხარო, სახლები კი აქ ვაჭრებსა და მრეწველებსა აქვთ.

— ჰე... ჰე... — ჩაიცინა კობამ. — ზოგი ჭირი მარგებელიაო. სახლიც გამოგვადგება და ხალხიც.

— მასპინძელო, შეგვიშვებთ? — შეაძახა ღია კარებს სტეპკომ.

— მობრძანდით, მობრძანდით! — და კარებში ახალგაზრდა. ენერგიული სახის, შავგვრემანი ქალი გამოჩნდა.

— სტუმარი მომყავს, ქალბატონო მართა! შეიძლება?—ჰკითხა სტეპკომ.

— უი, ღმერთო! ასეთი უცხო სტუმრები!

— ეს ის ამხანაგია, მე რომ გეუბნებოდით, — უთხრა მართას სტეპკომ. — მეუმრავლესეთა ხელმძღვანელი.

ერთმანეთს მიესალმნენ. ქოხი დაათვალიერეს. ქოხს უკან უსინათლო შვილივით, ბნელი რაღაც გალიაკი ჰქონდა მიყრდნობილი.

— თუ რამეში გამოდგება ჩვენი ქოხი... — მოიბოდიშა ქალმა.

კობამ აათვალ-ჩაათვალიერა ქოხი, ერთხელ კიდევ შეავიდა გალიასავით მიშენებულში.

შემდეგ მართას დააცქერდა და ჰკითხა:

— იცით თუ არა, რა მოგელით, თუ სტამბა თქვენს ბინაზე აღმოაჩინეს?

— მე რომ ვთხოვდებოდი, საქმრომ გამაფრთხილა: სოციალისტი კაცი ვარ, თუ მომემხრობი და დამეხმარები, მხოლოდ მაშინ გამომყევიო. მეც შეგნებულად ამოვუდექი გვერდით. მას შემდეგ ვცხოვრობთ ასე, როგორც ხედავთ, მაგრამ გული არ გამტეხია. ვიცი, კატორღა მომელის, ამხ. კობა, მაგრამ მე ეს არ მაშინებს.

— კარგი, ამაღამვე გადმოვიტანთ სტამბას. — ჩაილაპარაკა კობამ.

ბავშვმა აკვანში ღუღუნი დაიწყო.

— ეგებ ამას მაინც მოესწროს კაცური ცხოვრება... მე ყველაფრისათვის მზად ვარ.

— რატომ ასე შორს? — გაიღიმა კობამ. — ჩვენ თვითონ უნდა მოგვესწროს ბედნიერი ცხოვრება.

— აღდგომა და ხვალეო, — გაიღიმა მართამაც.

— მაშ ასე, — მიუბრუნდა კობა სტეპკოს. — ფაცია და ვალიკო დაიწყებენ სტამბაში მუშაობას. ხვალიდანვე.

* * *

ფაცია გალდავა ერთი იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელიც რევოლუციამ ხალხის წიაღიდან ამოიყვანა და ფაფარზე მოიქცია. ის იყო 18-19 წლისა, მეტად მოხდენილი, ლამაზი, ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფისა და რევოლუციისათვის თავდადებული ადამიანი. ფაცია ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში სწავლობდა. სკოლა ვერ აკმაყოფილებდა ფაციას. სკოლა და ცხოვრება სხვადასხვა გზით მიდიოდნენ. ფაცია გაჩხირულიყო მათ შორის. ნამდვილი გზა ვერ გამოენახა. ცხრაას ხუთი წლის გუგუნი რომ მოისმა, ფაციამ ნამდვილი გზაც დაინახა. დადიოდა მიტინგებზე, უსმენდა ორატორებს, უფიქრდებოდა მათ მგზნებარე სიტყვებს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფაციაზე სტეპკო ინწკირველის სიტყვამ — ერთ მიტინგზე. სტეპკომ ახსენა ლენინი და კობა და ხალხის სამსახურის გზაც დასახა. წარმტაცი და მიმზიდველი იყო ეს გზა. ფაცია უფრო შინაგანი ალღოთი მიხვდა ამ გზის სისწორეს. შემდეგ, არალეგალური წიგნებიც რომ მოიშველია, გონების ანალიზითაც ასწონ-დასწონა ყველაფერი. ისიც, რა მოელოდა ამ გზაზე, ისიც, როგორი იყო ეს სახიფათო გზა. არაფერს შეეპუა, არც ოჯახს, არც ნათესავებს, არც ამხანაგებს. ფაცია პირველთაგანი იყო იმ ქალებში, რევოლუციის აზვირთებულ ზღვაში თავისი პატარა ნავი რომ შეაცურეს. უანგაროდ, პირნათლად, გულსავსედ მიენდო ფაცია რევოლუციას. მას არასოდეს უძებნია მყუდრო ნავსადგური, არასოდეს მოუბრუნებია იალქანი მშვიდობიანი ნაპირისაკენ, არასოდეს შეურცხვენია არც პარტია, არც თავისი თავი.

თავდაპირველად ფაცია გალდავა რევოლუციის რომანტიკით იყო გატაცებული. წიგნებში და რომანებში ეძებდა გმირ ქალებს. წიგნებიდან მოეწონა სოფიო პეროვსკაია და ლუიზა მიშელ. ბათომელი მუშების ნაამბობიდან მოეწონა დესპინე შაფათავა. აი, ვინ ედგა მას თვალწინ. ფაცია არ იყო პატივმოყვარე, მაგრამ მას იზიდავდა ბრძოლის გმირული, კეთილშობილური მხარე. თავად კე-

თილშობილი ხასიათისა იყო და სძულდა ყველაფერი, რაც მდაბალი, ბოროტი, უღირსი იყო.

პირად კეთილდღეობაზე არასოდეს ფიქრობდა. პირადი უზრუნველყოფა და ფუფუნება არასოდეს იზიდავდა. ჰქონდა კი შესაძლებლობა ისე ეცხოვრა, მიწაზე ფეხიც არ დაეკარებინა. თავად შეძლებული ოჯახის შვილს სილამაზეც ძალზე უწყობდა ხელს, რომ მაღლა ასულიყო ცხოვრების საფეხურზე. ერთი მდიდარი ეაჰარი თბილისში ცხოვრებას პირდებოდა, მეორე — შავი ქვის მრეწველი — პარიზში ნებივრებას. მესამე — იმერელი თავადი — კნეინობას და შიმუნვარებს. მაგრამ ფაცია არ აჰყვა ზიზილპიპილიანს ცხოვრებას. კრებებზე, მიტინგებზე, მოედნებზე, სადაც ხალხი ქშინავდა, დრტვინავდა, ზღვასავით ბობოქრობდა. ფაციამ გაიგონა ხალხის გულისცემა და იგრძნო მისი სიმართლე. მიხვდა და იგრძნო, რატომ ადიოდა სახრჩობელაზე სოფიო პეროვსკაია, რატომ იბრძოდა პარიზის ბარიკადებზე ლუიზა მიშელ, რატომ უყვარდა ხალხს ბათომელი მუშების დედა დესპინე შაფათავა.

ახ, რა სჯობია იმას, უამრავი თვალი რომ გიყურებს როგორც შვილს, დას, მეგობარს, ამხანაგს!

რა სჯობია იმას, ეკლიან გზაზე იარო იმისათვის, რომ დაგლიჯო ეკალნარი და გზა გაუკაფო „მოძმესა თვისსა“ სასიარულოდ!

რაა იმაზე წარმტაცი—სანთელივით აანთო შენი ცხოვრება და გზა გაუნათო ბნელში მჯდომს!

რაა იმაზე საამაყო — წითელი დროშა ასწიო და წარუძღვე ხალხს!

რაა იმაზე საამაყო—ბორკილებიანი ხელები ასწიო და შესძახო ჯალათს:

— აზრს ვერ მოჰკლავ ნაჯახით! გაუმარჯოს რევოლუციას!

ზოგ ქალს ოქროს სამაჯური დაუმშვენებს მკლავებს, ზოგს ბორკილების რგოლები.

ზოგი ქალი სპარსულად მოხატულ წარბებზე ფიქრობს, ზოგი კი...

ახ, რა დროს ეგენია! რა დროს წარბებზე ფიქრია, როცა საჭიროა გული ამოიღო და მიუტანო ხალხს!..

ასე ფიქრობდა ფაცია გალდავა და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით, გატაცებით და თავდადებით მიენდო რევოლუციას...

— ჭკვიანი ქალი ხარ, პარტიის ერთგული, ამიტომ განდობთ სტამბაში მუშაობას! — უთხრა ფაციას კობამ.

ფაციამაც დაიწყო სტამბაში მუშაობა. სტამბა ქოხთან მიდგმულ გალიაკში გამართეს. გალიაკს გარშემო თივა და ტოტები შემოაყარეს, რომ ქარი არ შემოსულიყო, ან გზად გამვლელ ან ეზოში წემთხვევით შემოსულ ბავშვებს არ შემოეჭიტინათ. სტამბა ბუდეში იყო თითქოს.

იმ ბუდეში ჩაჯდა რევოლუციის მერცხალი ფაცია გალდავა...

* * *

თვეზე მეტია, რაც ფაცია პროკლამაციების ბეჭდვას სწავლობს. მისი მასწავლებელი, ავლაბრის სტამბის ასოთამწყობი ამხ. ჭიჭიკო უკვე თბილისს უნდა დაბრუნდეს. ჭიჭიკომ დავალება შეასრულა. ფაციას პროკლამაციების ბეჭდვა ასწავლა. დღეს შესანიშნავად დაიჭირა გამოცდა ფაციამ. ჭიჭიკომ სინათლესთან მიიტანა პროკლამაცია და წაიკითხა:

„შავი ქვის მუშათა მოთხოვნილებანი ჭიათურაში.“ ჩინებულია, ამხ. ფაცია, ჩინებული!

ვიშ, რა კარგად თავდება!

„ძირს ჩვენი სისხლის მსმელი კაპიტალისტები!

„ძირს მათი და თავისი მხეცური კანონების დამცველი თვითმპყრობელი მეფე!

„გაუმარჯოს ჩვენს ერთობას, ადამიანის თავისუფლებას!

„იმერეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კომიტეტი“...

— მაშასადამე, სტამბა საიმედო ხელშია! — დაასკვნა ჭიჭიკომ, — შეფუთე ახლა.

ფაციამ პროკლამაციების შეფუთვა დაიწყო. ჭიჭიკომ ერთ ხანს მანქანას უტრიალა და ჩქარა ფაციას რაღაც ქაღალდი მოაწოდა. წაიკითხეო.

ფაციამ წაიკითხა და გადაიხარხარა.

„მოწმობა.

ეძლევა ესე მოწმობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ჭიათურის ორგანიზაციის წევრს, ამხ. ფაცია გალდავას, სადასტუროდ იმისა, რომ მან, ფაცია გალდავამ, დაბადებიდან 19 წლისამ, რევოლუციური ყოფაქცევისამ, ჩინებულად დაამთავრა ხსენებული ორგანიზაციის არალეგალური სტამბის კურსი. იცის კორექტურა, ბეჭდვა, შეფუთვა. ზემოაღნიშნულს ვადასტურებ ხელისმოწერითა და უბეჭდოთ“...

— ჩარჩოში ჩასვი და კედელზე ჩამოიკიდე,—სიცილით უთხრა ჭიჭიკომ ფაციას.

ფაცია უცებ მოიღრუბლა და ამოიოხრა:

— ეხ, რომ შეიძლებოდეს ამისი შენახვა! როცა სარდაფებიდან ამოვალთ და ბუქიანი სტამბა გვექნება, მაშინ რა სასიამოვნო იქნებოდა ამ ხუმრობის წაკითხვა?

— მართალი ხარ, ფაცია! ახლა კი ღასწვი ეგ ხუმრობა!

ფაციამ ქაღალდს ასანთი მოუკიდა და ნაღვლიანის ღიმილით უყურებდა, თუ როგორ ნთქავდა ცეცხლი ამხანაგურ ხუმრობას.

— ახლა კი მშვიდობით, ამხ. ფაცია! იცოდე, ჩვენი გამარჯვება ბევრათაა დამოკიდებული არალეგალური სტამბის მუშაობაზე. საწყალი ლადო კეცხოველი პროკლამაციებს ყუმბარას ეძახდა. საცა დაეცემა, ყუმბარასავით გასკდება და მტვერს ააღენს მეფის ხელისუფლებასო. ამხ. კობაც, სადაც კი ჩავა. მაშინვე არალეგალურ სტამბას გააწყობს ხოლმე. ბაქოს სტამბა მისი ღავალებით მოაწყო კეცხოველმა. ბათომში პირადად გამართა სტამბა. ავლაბარში შესანიშნავი სტამბა გააწყო. აქაც, ჭიათურაში, ხედავ როგორ აბარტყა ავლაბრის სტამბამ? ამიტომ ეშინიათ სტამბისა მეფის ჯალათებს და სდევნიან სასტიკად. იცოდე, შენს ხელთაა ჩვენი პარტიის ეს საშიშარი და მრისხანე იარაღი.

ფაციამ პატარა, სუსტი ხელი ჰაერში აწია და უპასუხა:

— ვფიცავ, სანამ მიწა არ დაეყრება ამ ხელს, იგი მტერს არ დაანებებს სტამბას!

მასწავლებელმა და მოწაფემ ღიმილით გაუწოდეს ერთმანეთს ხელი.

პროკლამაცია

მაისის ერთ საღამოს, როცა სიცხისაგან არაქათგამოლეული ჭიათურელები ძლივს დაბობღავდნენ ქუჩაზე, პეტრე ბარბაციო მიდიოდა და ხშირად ჩერდებოდა კედლებთან. აეტუზებოდა კედელს და იდგა ერთ ხანს.

უკვირდათ გამვლელ-გამომვლელთ, ამ სიცხეში რამ დაათრო ეს კაციო.

პეტრე ერთ ხანს იდგა კედელთან, შემდეგ კი ბარბაციით განგრძობდა სიარულს. ისევ გაჩერდებოდა, ბოძივით შეუდგებოდა კედელს. თუ ვინმე ჩაუვლიდა ახლოს, პეტრე მთვრალივით დაუწყებდა თავის თავს მტკიცებას, აჯერებდა, რომ ღვინო არ დაულე-

ვია. მიიხედავდა გარშემო და თუ ახლო-მახლოს არავინ იყო, კოლოფს ამოიღებდა, დიდხანს ვერ მოუკიდებდა პაპიროსს. მაგრამ კოლოფში კარგად ამოავლებდა თითებს, შრეშით გაჟღენთავდა. იმ შრეშიან თითებს უბეში ჩაიდებდა. თეთრ ქაღალდს წაუსვამდა. მერე ქაღალდს ამოიღებდა უბიდან, ზურგზე მიიდებდა და კედელს მიაწვებოდა. ერთ ხანს იდგა ატუზული და იქით-აქეთ იყურებოდა. როცა ახლო-მახლოს არავინ იყო, კვლავ მოშორდებოდა კედელს. კედელზე რჩებოდა თეთრი, მოგრძო, წვრილი ფურცელი.

ეს იყო ფაციას დაბეჭდილი პროკლამაციები.

ეს ხერხი კობამ ასწავლა პეტრეს. პეტრეც დიდის ოსტატობით აკრავდა პროკლამაციებს კედლებზე. როცა უკანასკნელი ფურცელი გააკრა, მდინარისაკენ შეუხვია. შრეშიანი კოლოფი მდინარეში ჩააგდო. ხელ-პირი დაიბანა. ახალუხის კალთით მოიხოცა. ერთ ხანს იჯდა და დაჰყურებდა მდინარეს. კარგა ხანი რომ გავიდა, ლასლასით, სხვისი სიარულით გაუდგა გზას, რკალივით მოიღუნა წელში. ძსელად თუ ვინმე იცნობდა, რომ ეს პეტრე იყო...

მეორე დღეს, კვირას, სუფთად ჩაცმულმა პეტრემ იმავ ქუჩებს ჩამოუარა. კედლებს აკვირდებოდა. პროკლამაციებთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მსჯელობდნენ, კამათობდნენ.

პეტრე მიუახლოვდა ერთ ჯგუფს, ზარასპის დუქანთან რომ შეკრებილიყო. წუაში პარიზელი № 1 ჩამდგარიყო და კითხულობდა.

— შემიშვი, თუ ძმა ხარ! რა არის ამ კედელზე? — ითხოვა პეტრემ.

— რა არის და პროკლამაცია გაუკრავთ წუხელის სოციალისტებს.

— პროკლამაცია რა არის? — გაიკვირვა პეტრემ.

— მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებაა.

— სუ, თუ ძმა ხარ! — და პეტრე შეერია ჯგუფში. მიმართა პარიზელს: — თქვენ ნასწავლი იქნებით, ბატონო, ხელთათმანი გაცვიათ. აგვიხსენით, რა სწერია მაგაში.

პარიზელმა თვალი მიაშტერა პეტრეს. პეტრე გულუბრყვილოდ იდგა და პროკლამაციას ისე გაშტერებით უყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— ეს ჩვენი პროკლამაცია არ ყოფილა. ეს მეუმრავლესეთა პროკლამაცია ყოფილა, — სთქვა პარიზელმა და ჩაჰყვა ქუჩას.

პეტრე მიადგა კედელს. კედლიდან ხალისიანად უყურებდა პროკლამაცია.

ვიღაცამ კითხვა დაიწყო და პეტრემ ყური დაუგდო.

„შავი ქვის მუშათა მოთხოვნილება ჭიათურაში...

1. ყველა დაწესებულებაში იყოს შემოღებული 8 საათის სამუშაო დღე.

2. აიკრძალოს 18 წლამდე მოზრდილების მუშაობა შავი ქვის წარმოებაში.

3. მოისპოს ყოველივე „სკიდკა“, და წონა სრულად იქნას ჩაწერილი საანგარიშო წიგნაკებში და გირვანქებიც კი ჩაიწეროს“...

— აი, ეგ სამართლიანია!—გაისმა ირგვლივ.—გირვანქებს სულ არ აღნიშნავენ მწონავები, თუნდაც 39 გირვანქა იყოს. ჩააბარებ მწონავს 20 ფუთსა და 39 გირვანქა შავ ქვას, ჩაგიწერს 20 ფუთს. გირვანქები კი გეკარგება. საშინელი უსამართლობაა!

„... 9. საჭირო სამუშაო იარაღი უნდა იყოს მწარმოებლისა და როდესაც შეკეთება დასჭირდება, მწარმოებელმა უნდა შეაკეთოს თავისი ხარჯით.

„... 14. დაზღვეულ იქნას ყველა მუშები, ჩალანდრები და სხვ.

„15. მადნების მახლობლად გაყვანილ იქნას სუფთა სასმელი წყალი...“

ხალხი თანდათან ემატებოდა. ცალ-ცალკე ჯგუფებში პროკლამაციის ცალკეულ მუხლებს არჩევდნენ, კამათობდნენ. პროკლამაციის მოთხოვნილებებსა და სინამდვილეს ერთმანეთს ადარებდნენ. ამ დროს ზაქარია გურულმა ჩამოიარა.

პეტრემ განგებ, ზაქარიას გასაგონად, წამოიძახა:

—ხედავთ, რა დაუწერიათ? „მეთორმეტე მუხლი: ყველა შავი ქვის მომუშავეს მოგვეცეს ქუდი, ტანსაცმელი მწარმოებლისაგან“... თუ მწარმოებელი ამბობს, სოციალისტი ვარო, იმასაც ეხება ვითომ?

— რას ამბობ, კაცო? — ვერ გაუგეს პეტრეს.

პეტრემ ისევ ხმამაღლა:

—მაგალითად, მწარმოებელი ამბობს, რევოლუციონერი ვარო, პარტიაშიც კი არის ჩაწერილი. აი, ისეთ პარტიაში, სადაც კარები ღიათაა დატოვებული. ასეთი მწარმოებელი არის თუ არა ვალდებული შეასრულოს პროკლამაციის მოთხოვნილება, სანამ საერთო რევოლუცია მოხდებოდეს?

— შენ ზაქარია გურულზე ხომ არ ამბობ? — პირდაპირ შეეკითხა ერთი მაღაროელი პეტრეს.

— თუნდაც მაგაზე, ამხანაგებო! ნეტავი აჩვენა ეს პროკლამაცია მაგას! — ინატრა პეტრემ და ზაქარიას შეხედა, თითქოს სულაც არ იცნობდა ზაქარიას.

ზაქარია პროკლამაციას კითხულობდა. ცხადი იყო, ვერ გაექცეოდა ამ გამოწვევას. მოუბრუნდა პეტრეს და რიხით უპასუხა:

— როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს, თავისას მიიღებს.

— პროლეტარიატის გამარჯვება ხომ მწარმოებლის დამარცხება იქნება? — შეეკითხა პეტრე.—ზაქარია გურული მწარმოებელიაო.

— მაშ, თქვენის აზრით, შეძლებულსა და განვითარებულ კაცს არ შეუძლია რევოლუციაში მონაწილეობის მიღება? — იკითხა ზაქარიამ.

— სიტყვით კი, ბატონო! საქმით კი თვალთმაქცობა იქნება. აი, ის ზაქარიაც დიდი თვალთმაქცი ვინმე უნდა იყოს. თურმე არავითარი განსხვავება არაა მის მუშებსა და სხვა მწარმოებელთა მუშებს შორის. ეხ, რაღა ვილაპარაკო, ბატონო ჩემო! მაჩვენა ერთი ის ზაქარია, ვაჩვენებდი ამ პროკლამაციას.

ამ დროს ჯგუფში ბოქაული შემოვიდა. ერთ ხანს პროკლამაციას დააკვირდა. ვერ გადაეწყვიტა, მოეგლიჯა თუ დაეტოვებინა. მოგლეჯისა ეშინოდა, დრო იყო საშიშარი. ჭიათურის ორწოხებში ტყვია თავისუფლად იპოვიდა გზას ბოქაულის მუნდირისაკენ. დატოვებაც არ უნდოდა. უცებ მოისაზრა და ბრაზი ზარასპიზე გადაიტანა:

— რაღა შენ დუქანთან გააკრეს მაინცდამაინც ეს პროკლამაცია? შენი გაკრული ხომ არაა? ამბობენ, სოციალისტობსო.

ზარასპიმ თავი იმართლა:

— არა, ბატონო! პროკლამაცია რა სახეიროა ჩემთვის? იქ სწერია — იაფფასიანი სასადილო გაიხსნასო მუშებისათვის მაღაროებშიო. ხომ დევიღუპე მაშინ? უნდა მივკეტო ჩემი სასადილო. მობრძანდით, ბატონო! მოხარშული ვარია მაქვს ნივრის წვნითა...

ბოქაულმა გამოსავალი იპოვა და დუქანში შევიდა.

პეტრე ჩაჰყვა კედელს პროკლამაციების დასაზვერავად.

ყველგან ჯგუფები იდგა და ძყო გაცხარებული ბჭობა პროკლამაციებთან...

სალომეს ხანჯალი

სოფელ ვაჭევში, პელაგია ჭუმბურიძისას, ქალები შეკრებილან. შუაში ფაცია ჩამჯდარა და ესაუბრება.

— მე გამომაგზავნა თქვენთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიუ-

ლი მუშათა პარტიის ჭიათურის ორგანიზაციამ. დამავალეს გიამბოთ, თუ რა ხდება ქვეყანაზე, რისთვის იბრძვის ჩვენი პარტია, რა მოაქვს რევოლუციის გამარჯვებას ხალხისათვის საერთოდ და კერძოდ ქალებისათვის.

ქალები სმენად იქცნენ.

ფაციამ დაიწყო გლეხთა განთავისუფლებიდან. მღელვარე სიტყვებით დაახასიათა ეს „განთავისუფლება". მოაგონა ქალებს მათი მშობლების საშინელი ცხოვრება.

— რაღა მშობლები! — წამოიძახეს ხანწესულებმა. — ჩვენ თვითონ მოვსწრებივართ! სალომეს ხანჯალი არ გაგიგონია?

— არა! არ გამიგონია!

— ადე, სალომე! გვიამბე! — მიმართეს სალომეს.

— რა საჭიროა ძველი ამბავი? — გაინაზა სალომე.

— მაგრამ თუ ახლისათვის გამოგვადგა? — თხოვა ფაციამ. სალომემ არც თუ მორიდებით, არც თუ გაუბედავად დაიწყო. თითქოს მხოლოდ ფაციას მოუთხრობსო.

— მარგანეცის წარმოება რომ დაიწყო, მიწის ფასმა ერთობ აიწია. გაჩნდა მიწის ყიდვა-შესყიდვის ციებ-ცხელება. გუშინდელი ღარიბ-ღატაკი, ხრიოკი და შავქვიანი მიწის პატრონი დღეს მდიდრდებოდა. გუშინდელი ღონიერი კაცი კი დღეს სუსტდებოდა. ჭიათურისა და ჩვენი სოფლების სახე უცბად შეიცვალა. გაჩნდა ფულის ჭენება... მემამულეებს ცუდი დღე დაუდგათ. ისინი მხოლოდ ღალით ცხოვრობდნენ. ღალა ჩვენგან შემოუდიოდათ, გლეხებისაგან. შავი ქვა რომ გაჩნდა, გლეხობა სოფლიდან ჭიათურაში ღოდ ღალით ცხოვრობდნენ. ღალა ჩვენგან შემოუდიოდათ, გლეხებმა თავისი მიწის დამუშავება დაიწყეს, ე. ი. შავი ქვის მადნისა. ზოგმაც მიწის გაყიდვა დაიწყო. ზოგი გლეხი მრეწველად იქცა და თვითონ ქირაობდა გლეხებს. გამდიდრდა და თავის მემამულესაც კი არაფრად აგდებდა. ასე სცოდნია ფულს.

—აბა! აბა! ზოგს გვარის მეტი არაფერი შერჩენია!—ჩაურთეს ქალებმა.

— დატრიალდნენ მებატონეები, — განაგრძო სალომემ. — გამოძებნეს საოცარი კანონი. რუს ხენწიფეს თურმე მემამულეების დასაცავად ასეთი კანონიც ჰქონია. თავადებმა ეს მოიმიზეზეს და გამოგვიცხადეს: მართალია, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მიწა დაგახსენით, მაგრამ განა მთელი მიწა, ჩვენ მხოლოდ ზედაპირი დაგახსენით, რომ სიმინდი დაგეთესათო. რაც შეეხება მიწის წიაღს,

ის ჩვენიაო. მოიყვანეთ ყანა მიწის ზედაპირზე. მაგრამ წიაღზე ნუ გვეცილებით, წიაღი ჩვენიაო...

ატყდა დავა. საქმე სამართალში მიდიოდა. სამართალში, რასაკვირველია, ყოფილი მებატონე იგებდა. ზოგი დავა გლეხის ოჯახშივე წყდებოდა სისხლით და ხანჯლით. აი, ისე, როგორც ჩვენს ოჯახში მოხდა.

მოვიდნენ, ბატონო, ჩვენსას, მებატონეები გიორგიტა და ფრიდონ წერეთლები. მოითხოვეს: აიბარგეთ ეზოდან, აჰყარეთ სახლკარიო. აქ მარგანეცი უნდა დავამუშავოთო.

ვერ მოვრიგდით. საქმე სასამართლოში წავიდა.

სასამართლომ საქმე თავადების სასარგებლოდ გაარჩია. მიწა წაგვართვეს, გამოსყიდული მიწა, და ყოფილ მებატონეებს დაუბრუნეს.

მოვიდნენ მებატონეები და დაგვიწყეს გადარეკა. მაშინ გავმწარდი სასტიკად... ეხ, რა საჭიროა, ქალებო, ამისი აწერა?

სალომემ დარცხვენილად გაიცინა და დაჯდა.

— არა! არა! ახლაა საინტერესო!—მიაძახეს ქალებმა.—შენ შევარდი სახლში და გამოიტანე ხანჯალი...

— ჰო, შევვარდი სახლში, გამოვიტანე უშველებელი ხანჯალი და ვეცი წერეთლებს. მოგეცა ლხენა, დავუფეთე ანგელოზები. არამც თუ ეზო, მთელი სოფელი სულ წივილ-კივილით გადავატარე და კუდით ქვა ვასროლიე თავადებს...

ფაცია აღტაცებით უყურებდა ამ დედასავით ქალს. ის წიგნებში ეძებდა გმირ-ქალებს. აგერ კი ხედავდა ცხადლივ, დღისითმზისით.

—ვერ გასჭრა ჩემმა ხანჯალმა!—ამოიოხრა სალომემ.—პოლიციამ გადაგვრეკა. ციხეში ჩაგვსვეს მთელი ოჯახი და მხოლოდ მაშინ გამოგვიშვეს, როცა ხელი ავიღეთ ოფლითა და ცრემლით დასველებულ სახლკარზე და მიწაზე...

მწარე მოგონებამ შავი აჩრდილივით გადაუარა კრებას. ფაციამ აღელვებით დაიწყო:

— ასეთი იყო და არის ეს წყეული და ბინძური წყობილება. მას შემდეგ რამდენმა წელმა განვლო, მაგრამ ბატონყმობა განა მოისპო სრულიად? ჭარბათაა მისი ნაშთები სოფლად. დროებითი ვალდებული გლეხები, გადასახადები, რომელთაც მხოლოდ გლეხი იხდის, სწავლის შეზღუდვა, ეს ყველაფერი ბატონყმობის ნაშთებია, ამის მოსასპობად კლასობრივი ბრძოლის შეტანაა საჭირო სოფელში.

ფაციამ ახსნა, რა არის კლასობრივი ბრძოლა.

— ჩვენ მოვითხოვთ დროებით ვალდებულ• გლეხებს სრულიად განთავისუფლებას!

— ჩვენ მოვითხოვთ ყველა მიწების დაბრუნებას გლეხებისთვის.

— ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ და სრულიად მოისპოს მიწის გამოსყიდვა. ხოლო ის მილიონები, რომელიც მემამულეებმ• მიიღეს გლეხებისაგან, წაერთვას მემამულეებს და დაუბრუნდეს გლეხებს!

— ჩვენ მოვითხოვთ ისეთი წყობილების დაარსებას, საღაც ადამიანი წარმოშობის მიხედვით კი არ დაფასდება, არამედ თავ•ისი პირადი ღირსებით!

— ჩვენ მოვითხოვთ ქალი აღიარებულ იქნას თანასწორუფლებიან ადამიანად. არც ჭკუით, არც გამჭრიახობით, არც მოხერხებით ქალი არ ჩამოუვარდება მამაკაცს. იქ, სადაც ქალს სწავლა დასშულ არა აქვს, ქალი ისეთსავე სასარგებლო საქმეს აკეთებს, როგორც მამაკაცი...

ფაციამ კვლავ ისტორიას მიმართა და ქალის გმირობის მრავალი მაგალითი მოიტანა.

— ვის უნდა ქალის დამონავება? ქმარს? მამას? ძმას? არა! მთავრობას. იმ მთავრობას, რომელმაც თვითონ მამაკაცი მონად აქცია. და ამ მონას ისღა დაუტოვა ნუგეშად, რომ მონად ქალი მისცა. ვინა ვართ ჩვენ? უუფლებო მონები. დროა გავახილოთ თვალი. ამოვუდგეთ გვერდით ჩვენს ძმებს, მამებს, ქმრებს, შვილებს, და ვიბრძოლოთ ბუშათა კლასთან, პროლეტარიატთან ერთად. ჩვენ მოვესწრებით ისეთ დროს, როცა ვაჭველი ინჟინერი ქალი აგვიშენებს სკოლას, ვაჭველი ექიმი ქალი გაგვისინჯავს მაჯას, ვაჭველ• აგრონომი ქალი გაგვიძღვება ყანაში...

— ეხ, ფაცია, მაგისი კი რა გითხრა? — ჩაიცინა ვიღაცამ.

— უიმედო ხალხი სასაფლაოზეა, — უპასუხა ფაციამ. — იმედი და გამბედაობაა საჭირო. ბრძოლაა საჭირო... ვინ აბრძოლებს ხალხს? მეუმრავლესენი...

დიდხანს ესაუბრა ფაცია ვაჭველ ქალებს მეუმრავლესეებზე. ბოლოს, ამოირჩიეს კომიტეტი, ათისთავები. ხელშეძღვანელად ფაცია. თანაშემწეებად სალომე და პელაგია.

— ჩვენი უახლოესი ამოცანაა, — უთხრა ფაციამ კომიტეტს, — მომავალ კვირას ჩამოვიყვანოთ ქალები ჭიათურაში, ჭერეხში, სრულ თორმეტ საათზე. ის ქალები, ვინც მეუმრავლესეებს ემხრო-

ბიან. ყველა სალომეს ხანჯალივით უნდა ვიყოთ საბრძოლველად მიმართული...

სალომოს, ვაქვევიდან დაბრუნებული ფაცია ანგარიშს აბარებდა კობას. კობა კმაყოფილებით უსმენდა.

ზედიზედ მოდიოდნენ პროპაგანდისტები სოფლებიდან და მაღაროებიდან და აბარებდნენ ანგარიშს.

კობა უსმენდა, ახალ განკარგულებებს აძლევდა.

ერთმა შემთხვევამ ბევრი აცინა ფაცია.

დაღონებული შემოვიდა მღვიმეში მიმაგრებული ნიკო ბრეგვაძე. თურმე წაუგია ბრძოლა მეუმცირესეებთან. „კლაკიორები“ *) ამოიყვანა ზაქარია გურულმა და ამიტომ წავაგეო.

— აი, შე გლახა! — შემოსძახა კობამ. — გასწი ახლავე და გამოასწორე შენი წამხდარი საქმე!

ნიკო მაშინვე იდგა. ფაციას და ამხანაგებს გადახედა. შემდეგ ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— ეს, ზაქარია გურულო! მომცა შენი თავი აქ.

— საკიდაოდ? — ჰკითხა სტეპკომ. — არა, შენ იდეურად აჯობე მას! სირცხვილი არ იქნება, ჭერეზზე რომ არ მოხვიდე?

ნიკო რომ გავიდა, კობამ უთხრა ამხანაგებს:

— სვალ მე თვითონ წავალ მღვიმეში...

ჭერეში

ჭერეში წარმოადგენდა მოედანს, რომელიც მთის ძირას გაშლილიყო. გირშემო გორაკები შემორკალოდა. ყამთა ვითარებისაგან და უფრო იშერული ზენაქარისაგან გადაღუნული ხეები აქა-იქ ჩამორიგებულიყო გორაკებზე.

ნელი ქარი თამაშობდა მწვანეზე და დღის სიცხეს ანელებდა. ცა იყო მაღალი, ლურჯი, სუფთა. იდგა ზაფხულის სუნი და ჩიტების ყივილ-სივილი.

მოედნის ერთ ბოლოს დიდი კაკლის ხე იდგა. მეორე მხარეზე ტოტებდახრილი ტირიფი. სუსტი წყარო უბანდა ტირიფს ფესვებს და მიდიოდა დაბლა, ღალმართზე.

აქ იცოდა ხალხმა კვირა-უქმეებში თავის მოყრა, ღასვენება,

---

*) „კლაკიორი“ ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და ეწოდება ღაქირავებულ ხალხს, რომლებიც შეკვეთით ტაშს უკრავენ თეატრში არტისტებს.

ბაასი. აქ დანიშნეს, ცხარე კამათის შემდეგ, მეუმცირესე-მეუმრავლესეებმა ძალების დემონსტრაცია. ორივე მხარეს უნდა გამოეყვანა თავისი მომხრეები აქ, ჰერეხზე, და გაშლილი დროშებით გაევლოთ ქალაქი.

ორივე მხარე დიდ სამზადისში იყო. მთელი თვე ემზადებოდნენ ამ დღისათვის. კობამ აგიტაცია არ იკმარა და ყოველ სოფელს, ყოველ მაღაროს ემისარები მიუჩინა. გარდა ამისა, დაავალა მეუმრავლესეებს: თითოს ორი-სამი თანამგრძნობი უნდა მოეყვანა. თანამგრძნობს კიდევ ერთი-ორი კაცი თუ ქალი. მოსვლის მიზანი ყველას უნდა სცოდნოდა წინასწარ. კობამ ცალკე გამოჰყო ათისთავები, ასისთავები, მედროშეები. ორგანიზაციაში კაცი არ დარჩა, რომელსაც დავალება არ მიეღო. დავალება უპარტიო გლეხებმაც მიიღეს. ვინ ათისთავად, ვინ ოცისთავად, ვინ მოსიმღერედ. ქალებმაც და კაცებმაც თანაბრად.

ამ დროს მეუმცირესეთა კომიტეტში წევნებს ფურცლავდნენ, ისტორიულ ანალოგიებს ეძებდნენ, ციტატებს იწერდნენ და ჰერეხის მიტინგისათვის ეფექტიურ სიტყვებს ამზადებდნენ.

გათენდა კვირა და ჰერეხზე დენა იწყო ხალხმა. მოედნის ერთ მხარეზე, კაკლის ხესთან, მეუმრავლესენი დადგნენ. მოედნის მეორე მხარეზე, ტირიფთან, მეუმცირესენი.

თერთმეტ საათზე ერთმანეთის რიგები რომ შეათვალიერეს, კონტრასტული სურათი გადაიშალა.

ტირიფის ხესთან მეუმცირესეთა ლიდერების გარშემო კარგა ბლომად შეკრებილიყო ხალხი. ორასამდე კაცი იქნებოდა, და კიდევ ემატებოდა ცოტა-ცოტა.

კაკლის ხესთან, მეუმრავლესეთა გარშემო, მცირე ჯგუფი იდგა. ასე, ოციოდე კაცი...

— ოხო... ოხო... — ისმოდა მეუმცირესეთა მხრიდან.—რამდენი ხალხი ყოლიათ! მოედანზე ვერ ეტევიან მეუმრავლესეთა მომხრეები.

— კაცო! გაიწიეთ! ადგილი არ ჰყოფნით მეუმრავლესეებს! — ოხუნჯობდა ზაქარია გურული. — ეხ, ის გორაკი რომ არ იყოს, დაეტეოლნენ.

კობა დამშვიდებული იდგა კაკლის ქვეშ. სდუმდნენ ფაცია და სტეპკოც.

თორმეტი საათი დაიწყო და მეუმრავლესეთა მხარეზე ერთი წითელი დროშა გამოჩნდა. ხუთიოდე კაცი მოვიდა და კაკლის ქვეშ დადგა.

— ხა... ხა... ხა...—გაისმა მეუმცირესეთა მხარეზე ქიმერიული ხარხარი. — ჯარი მოვიდა, ჯარი!

— ჩაფლავდნენ! ჩაფლავდნენ. — გაჰკიოდნენ მეუმცირესეთა მხარეზე პარიზელი № 1 და პარიზელი № 2. — დაჰყარეთ, ბიძიაარაღი! ვერა ხედავთ, რა გემართებათ?

— ვინ ჩამოუვა მაგათ? სადა ჰყავთ მიმდევრები?

ზაქარია გურულმა ხელი ასწია და გასძახა თავისიანებს:

— ამხანაგებო! აი, მეუმრავლესეთა ძალები! აი, მათი ვიწრო კარების შედეგი! აი, მათი რევოლუციურობა! ესენი ეპოტინებიან რევოლუციას? პროლეტარიატს? სადაა მათი ძალა?

კობამ საათს დახედა: თორმეტის ნახევარი იყო. თითქოს გაკვირვებული სახით გადახედა მეუმცირესეთა რიგებს და კაკლის ქერას ჩამოჯდა.

— ჩავიდეთ ქალაქში! — გაისმა მეუმცირესეთა რიგებში.

— არა, ამხანაგებო!—ხმამაღლა და დამცინავი ტონით მიმართა ზაქარია გურულმა თავის ჯგუფს. — გზა დავუთმოთ მეუმრავლესეებს. უმრავლესობა ხომ მაგათია?

— ხა... ხა... ხა... — მოისმა ხარხარი.

— ეხ, მოგვეყვანა ფოტოგრაფი! რა ისტორიული სურათის გადაღება შეიძლებოდა? — წამოიძახა პარიზელმა № 1.

დრო მიდიოდა. მზე სულ მაღლა-მაღლა ადიოდა. მთის კალთებზე სიცხე ჩამოწვა. ქარი ჩამორბოდა მთის თხემიდან, ოდნავ არხევდა კაკლის ტოტებს და თავისუფლად თამაშობდა მეუმრავლესეთა მხარეზე. მეუმცირესეების რიგებში სულ უფრო და უფრო მატულობდა მოუთმენლობა. მათ აჯავრებდა კობას და მისი მცირე ჯგუფის საოცარი სიმშვიდე. რაც უფრო უახლოვდებოდა ისარი დათქმულ დროს, მით უფრო და უფრო ჰკარგავდნენ სიმშვიდეს მეუმცირესეთა ლიდერები. მათ იგრძნეს, რომ კობას სიმშვიდეს რაღაც აზრი აქვს. შიშმა ნელ-ნელა გაახილა თვალები. ზაქარია გურული უკვე ნერვულად უყურებდა საათის ისარს. ზაქარიამ და ლიდერებმა თვალი მოჰკრეს: კობამ საათი ამოიღო და დააჩერდა.

—ჰმ! რას უყურებს საათს?—არც თუ თავისიანების დასაწყნარებლად, არც თუ საკუთარი იქვების გასაქარწყლებლად წამოიძახა ზაქარიამ. — ხუთი უკლია... ამ მთებს ხომ არ დასძრავს ეს კაცი და არ ჩაიყვანს ქალაქში? მიწიდან ხომ არ ამოიყვანს ეს კაცი ხალხს? წავიდეთ!..

ლიდერები ჩამწკრივდნენ. ორასი კაცი დაეწყო. ცალი თვალით ყველანი კობასკენ იყურებოდნენ.

კობა ადგა. მეუმრავლესენი გვერდით ამოუდგნენ. ყველა კობას უყურებდა. უცებ კობამ ქუდი მოიხადა, გრეხა თმები დაარხია და მთებს შესცდა. ოდნავ დამცინავი ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე და თვალის გარშემო.

უცებ თითქოს დაიძრაო მთები, თითქოს მიწიდან ამოხეთქაო ზღვა ხალხმა...

უამრავი დროშა ამოფრიალდა გორაკებზე, და ზღვა ხალხი სიმღერით, ყიჟინით გადმოდგა თხემზე.

— გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს მეუმრავლესებს! — ყიჟინა დასცა ხალხმა. — ძირს მეფე! ძირს კაპიტალიზმი!

და წამოვიდა ხალხი, როგორც შეგუბებული რისხვა, როგორც ჯაბეწყვეტილი ამირანი დაამანსარებს მიწას.

მაღარო მაღაროს მოჰყვება. სოფელი სოფელს. სამხედრო რაზმები ცალკე დროშებით, ცალკე მეთაურებით.

აი წინსოფელი. დროშები. რაზმები. მარსელიოზა.

აი პერევისა. ჯგუფები ათ-ათად. სამხედრო წყობილებით. „ვარშავიანკას“ სიმღერით.

აი შუქრუთი. ყიჟინა. ვაშა, ყვავილები.

აი მღვიმევი. მკერდზე წითელი ბანტები. ქალები სიცილით.

აი რგანი. ვაკკაცურად მოდიან საომარი სიმღერით.

აი ზედარგანი. იარაღზე დროშები. დროშებზე ყვავილები.

მთის კალთა რომ ჩამოვლეს და ჭერეხზე ფეხი შემოდგეს, ხალხმა იარაღი ააღარუნა, დროშები დაარხია, დასცა ყიჟინა:

— ვაშა ჩვენს პარტიას, ვაშა ჩვენს კობას!..

მოდის ეს ზღვა ხალხი, მოდის, ვულკანის ღელფივით, ბოლო კი არ უჩანს. ბოლო ისევ მთის თხემზეა.

კობა მაღლობზე ავიდა. ისეთმა ტაშმა იგრიალა, რომ ხეებიდან, ბუჩქებიდან, ბაღებიდან აფრენილი ჩიტები დიდხანს ვერ ბედავდნენ დაბლა ჩამოსვლას. დიდხანს იყვნენ ცოცხალ ქოლგასავით გაშლილნი ჰაერში.

— დღევანდელი დემონსტრაცია, — გამოაცხადა კობამ, — არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჭიათურის ორგანიზაციის მეუმრავლესეთა ძალთა დათვალიერება... ხალხი, ეს ჩვენა ვართ ხალხი! პარტია ჩვენი დედაა, ხალხი ჩვენი ოჯახი, მეუმრავლესენი შვილები ხალხისა... ხალხი ბრძენია, იცის რა გზით წავიდეს, რა გააკეთოს... ხოლო როგორ გააკეთოს, ამას ჩვენ ვაჩვენებთ, მეუმრავლესენი!...

თავზარდაცემულნი იდგნენ ტირიფის ქვეშ მეუმცირესენი. არც

ერთი სიტყვა. არც ერთი შეძახილი. უყურებდნენ ერთმანეთს ულონო ბრაზით სავსენი. თან წასვლისა რცხვენოდათ, თან დარჩენისა. ლიდერები სუმუქნიდნენ გამზადებულ სიტყვის ფეგმებს.

— აბა ახლა მოიყვანეთ ფოტოგრაფი და გადაიღეთ სურათი!— შესძახა კობასთან მდგარმა ტარიელმა...

ხალხი დაიძრა ქალაქისკენ დროშების რხევით, სიმღერის გუგუნით და იარაღის ჟღარუნით. გარს შემოკრილ მთების კალთებზე გადარბოდა ამ გუგუნისა და ჟღარუნის ექო და შორს მიაქანდა საოცარი, უნახავი ამბავი...

ხალხი დიდხანს მიდიოდა მწყობრად, რიხით, რისხვით...

წინ მიუძღოდა კობა...

ჩვენ და ტირილი?!

დილიდანვე ხმა გავარდა ჭიათურაში: დღეს, შაბათს, კონცერტი არ შესდგებაო. ლოძის ტრაგედიის დღე იყო. წუხელი თურმე შუაღამემდე იდავეს მეუმრავლესებმა და მეუმცირესებმა, გაიმართოს თუ არა კონცერტიო. მეუმცირესენი ამტკიცებდნენ—გლოვის კვირა გამოვაცხადოთ და ლოძის ტრაგედიას ამით გამოვეხმაუროთო. მეუმრავლესენი ამტკიცებდნენ: არავითარი გლოვა არაა საჭირო, ვაჩვენოთ მტრებს, რომ მებრძოლნი არ მგლოვიარებენო. მოვაწყოთო კონცერტი.

— აქაც ვერ შეთანხმდნენ... აქაც ვერ მორიგდნენ... კონცერტი რაა, რომ კონცერტზეც ვერ მიდიან ერთად. აქაც გაითიშნენ. მეუმცირესებმა შაბათი გლოვის დღედ გამოაცხადეს და საღამო მოშალეს. მეუმრავლესებმა სწორედ შაბათს დანიშნეს კონცერტი და აფიშებიც გამოაკრეს...

საღამოს სათეატრო დარბაზის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მოლარეს ემუქრებოდნენ, უყვიროდნენ:

— ასე არ შეიძლება, ძმაო! გაჰყიდეთ ბილეთი! ხალხი მოვიდა და უკან აბრუნებთ?

—ყველა ბილეთი გაყიდულია. სულ დაიტაცეს. არც ქანდარაა. რა ვქნათ, მოქალაქევ! ერთ სკამზე ორ კაცს ხომ ვერ შევუშვებთ? — ისმოდა საბილეთო სალაროდან.

ხალხი მაინც არ იშლებოდა. უბილეთოდ დარჩენილებმა პოლიტიკაზე გააბეს საუბარი.

— ჟენევაში გამოსულა ლენინის გაზეთი „პროლეტარი“.

— ცუსიმაში დაიღუპა არა მარტო რუსეთის ფლოტი. რამდენ თვითმპყრობელობა. დამიჯერე მე შენ...

— შავი ზღვის ფლოტი აჯანყებულა. ჯავშნოსან „პოტიომკინსა" წითელი დროშა აუწევია. რევოლუცია უკვე დაწყებულია.

— ასეთ დროს სოციალისტების გათიშვა პირდაპირ დაუშვებელია. რაშია საქმე, რომ ვერ მორიგდნენ?

— რაშია და ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ ერთ პარტიას. დაიწყეს უბრალო საკითხებიდან, გადავიდნენ დიდ საკითხებზე.

საუბარში შლაპიანი კაცი ჩაერია:

—ესე იგი თქვენ გინდათ სთქვათ, რომ ტაქტიკური უთანხმოება პრინციპულ საკითხებზე გადავიდა, ხომ? ასეც იყო. როგორც ყველა ჩხუბი, ესეც უმნიშვნელო რამიდან დაიწყო.

— ჩვენი განხეთქილება უმნიშვნელო რამიდან არ დაწყებულა, — შეაწყვეტინა ტარიელმა შლაპიანს. — ის საკითხი, ე. ი. წესდების პირველი მუხლი, პარტიის ცხოვრების ქვაკუთხედია, მოქალაქე შლაპიანო!

შლაპიანმა ირიბად შეხედა ტარიელს. არ იკადრა მასთან კამათი და ჯგუფში განაგრძო:

— ასე წარმოიდგინეთ, ახლა ფსიქოლოგიურადაც გათიშულნი არიან. რაც ერთს მოსწონს, მეორეს ეჯავრება. რაც მეორეს ალმა ხნულად მიაჩნია, პირველი მას დაბლა ფარცხავს.

— მერე და რატომ არიან ერთ პარტიაში?

— არიან სიტყვით. საქმით კი, არ ხედავდით, ბერეზზე რა მოხდა? მას შემდეგ სულ თხა და მგელივით არიან. ერთ კონცერტზეც კი ვერ მოვიდნენ ერთად.

— ჯერ ერთი ეს მითხარით, ბატონო, რა მოხდაო. სად დახვრიტესო ხალხი?

— ლოძში.

— სადაა ის ლოძი, ბატონო? რა ქალაქია?

ტარიელმა შლაპიანს სიტყვა წაართვა და თვითონ აუხსნა:

—გრანიცასთანაა. ძაფებს აკეთებენ იმ ქალაქში. ვარშავაში რომ დემონსტრაცია დახვრიტეს, გეცოდინებათ. ამ დახვრეტას ყველგან გამოეხმაურა ხალხი. გამოეხმაურნენ ლოძის მუშებიც. ააგეს ბარიკადები და სამი დღე-ღამე ებრძოლნენ მეფის ჯარებს. ბევრი მუშა დახოცეს. აი იმ დახოცილებისა გამო მეუმცირესელებმა გლოვა გამოაცხადეს.

— ნიშნად პატივისცემისა, — განმარტა შლაპიანმა.

— ძალიანაც მიჰქარავენ. — შეეკამათა ტარიელი. — ხალხი

საბრძოლველად გამოსულა, და რამდენი შეტაკება მოხდება, იმდენი გლოვა თუ გამოვაცხადეთ, კარგად წავა ჩვენი საქმე. სამგლოვიარო ორგანიზაცია კი არა ვართ, მებრძოლი პარტია ვართ.

შლაპიანი გაბრაზდა:

— ამას უყურებთ, მოქალაქენო! ამისი აზრით დაღუპულ ამხანაგებს პატივი არ უნდა ვსცეთ? ამისი აზრით ჭირისუფლობისა და მსრუნველობის გრძნობა არ უნდა გამოვიჩინოთ?

ეტყობოდა, ხალხში ზოგს მოეწონა შლაპიანის აზრი. შლაპიანს შემოესვივნენ. ტარიელი კიბის საფეხურებზე შეიდგა და ხალხს მიმართა:

— მოქალაქენო, აბა თვითონ დაფიქრდით. იბრძვის ჯარი. ბრძოლის დროს ორივე მხარეზე იქნება მოკლულ-დაჭრილი. ასე არაა? ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ ერთმა მხარემ ბრძოლა შეწყვიტოს, გლოვა გამოაცხადოს და გულზე ხელები დაიკრიფოს? გაიმარჯვებს თუ არა ასეთი ჯარი?

— მართალს ამბობს ეს კაცი! — გაისმა ლიანგში. ეტყობოდა, ტარიელის სიტყვა ჭკუაში დაუჯდათ, და შლაპიანის გარშემო შეკრებილი ჯგუფი ახლა მაღაროელის გვერდით შეიკრიბა.

— ის დახოცილები ჩვენი ძმებია! — მიაძახა შლაპიანმა. —საჭიროა სოლიდარობის გრძნობის დემონსტრაცია. პატივისცემა.

ტარიელმა მაშინვე უპასუხა ირონიულად:

—პატივისცემა: ვთქვათ, მე და ჩემი ამხანაგი ვებრძვით მტერს. მტერმა მოგიკლა ამხანაგი. რა უნდა ვქნა მე თქვენის აზრით? დავიჩოქო ცხედართან და მოვრთო ტირილი? ხომ მხეთქა თავში მტერმა და გამაცხებინა სული? არა! მე კი არ უნდა დავიჩოქო მოკლულის გვერდით, უნდა მეტის სითამამით განვაგრძო ბრძოლა და თვითონ მტერი წამოვაჩოქო. ასე ვფიქრობ მე ჩემი უშლაპო თავით.

— მართალია! მართალი! — გაისმა ხალხში.

— შენ გგონია, მაგი კაცი მაღაროელია? გადაცმული ინტელიგენტია. თურმე მეუმრავლესებს დიდი ნასწავლი ხალხი ყავთ. ასე უბრალოდ ჩაცმული დადიან მათი პროპაგანდისტები ხალხში. აბა! მიშა დავითაშვილი არ გაგიგონია?

— როგორ არა! დიდი განათლებული კაციაო.

— ისიც ასე დადის. გლეხი გეგონება. ესეც გადაცმულია, თორემ სამსონ ფირცხალავას შენ აჯობებ? ლიდერი კაცია.

— რომელია სამსონ ფირცხალავა? ეს შლაპიანი?

— ჰო. ფედერალისტების ლიდერია. რეფერატები უნდა წაიკითხოს ჰიათურაში. სოციალ-დემოკრატებს უნდა შეეკამათოს.

— აბა იქნება ჯახი-ჯუხი...

დარბაზში ზარის ხმა გაისმა და ჩოჩქოლი შესწყდა. ტარიელი და სამსონი ფანჯარასთან მოხვდნენ. მათ ახლა ერთი ინტერესი ჰქონდათ (ორივე უბილეთოს კონცერტი უნდა მოესმინა) და მიიწ-მოიწიეს, ერთმანეთს ადგილი მისცეს.

ფარდა აიწია. დარბაზში რბილი ლამაზი ხმა გაისმა: ხმა მოუწოდებდა—ბრძოლაში დაღუპული ამხანაგებისთვის პატივი ეცათ.

— სტეპკო ისწკირველია,—ჩაილაპარაკა ტარიელმა.

— ჯულაშვილი თუ არის აქ? — შეეკითხა სამსონი ტარიელს.

— არ ვიცი, — უპასუხა ტარიელმა და ახედ-დახედა სამსონს.

„თქვენ მსხვერპლად დაეცით ბრძოლისა ველზე...“

გაისმა დარბაზში და მოელი დარბაზი ფეხზე ადგა.

მოედანზე შეკრებილმა ხალხმა ქუდი მოიხადა. ვიღაცამ აიტაცა დარბაზის ხმა და გარეთაც გალობა დაიწყეს.

თითქოს კედელი არც კი ყოფილიყო მათ შორის, ისე გალობდნენ ღარბაზი და მოედანი...

გალობა გათავდა. ყვავილებიანი ქალიშვილები და ვაჟები გამოჩნდნენ მოედანზე.

— გზა მიეცით, გზა! — გაისმა ხალხში. — უკაცრავად, ბილეთები არა გაქვთ? აბა, ნურას უკაცრავად, იდექით მანდ!

დაიწყო კონცერტი. ჩუმად, სულგანაბული უსმენდა მოედანი...

პირველი განყოფილება რომ გათავდა, ფარდა ჩამოუშვეს და უცბად დარბაზში თეთრი ჩიტებივით აფრიალდნენ პროკლამაციები.

ვიღაცას ხელი ფანჯარაშიაც გადასწვდა და პროკლამაციები გადმოფანტა.

— რა ჯობია ამის შრიალს! — შესძახა ტარიელმა, აიტაცა ერთი პროკლამაცია, მაგრამ ბინდში ვერა წაიკითხა რა.

ზოგმა ასანთს მოუკიდა, პროკლამაციასთან მიიტანა, მაგრამ ხალხის ხშირმა სუნთქვამ ასანთი ჩააქრო.

დარბაზიდან პროკლამაციის შრიალი ისმოდა. უამრავი ხელი ამართულიყო ჰაერში და იჭერდა პროკლამაციას.

მოულოდნელად აიხადა ფარდა და სცენაზე მსახიობი გამოჩნდა. ბრგე, ახოვანი, ლამაზი შეხედულების. სცენაზე შუქი გააძლიერეს. მაგრამ დარბაზში სინათლეც რომ ჩაექროთ, ნათელი მაინც იქნებოდა: იმდენი იყო ანთებული თვალები.

მსახიობმა თვალი მოავლო დარბაზს. წინარიგში ისხდნენ პროკლამაციის ავტორი, ფაცია გალდავა, სტეპკო ინწკირველი. ქელეზნი, მართა, მეუმრავლესეთა კომიტეტი...

— სუფთა დარბაზია, — გაიფიქრა მსახიობმა. — არც ერთი მეუმცირესე...

პროკლამაცია ასწია. მშვენიერი ტემბრით გამოაცხადა:

— ჰიათურის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროკლამაცია. 1905 წ. 25 ივნისი.

— ვინ ჰკითხულობს? — ჰკითხა ფირცხალავამ ტარიელს.

— მუშა მსახიობი გოგია, — უპასუხა ტარიელმა და ამაყად დაუმატა: — მეუმრავლესეა.

მსახიობმა პათეტიურად დაიწყო:

„ჩვენ და ტირილი?!

„დღეს, როცა ყველგან ბრძოლის ხმა ისმის, როცა ქვეყანა წამოიშალა, საიერიშოთ ამხედრებული მტერს შემოერტყა და შეარყია;

„დღეს, როცა ხალხი იარაღს ისხამს და აჯანყების ტალღებს ეძლევა;

„როდესაც ტახტი ბინძურ მეფისა სამარისაკენ მიექანება, — გვეუბნებიან:

„ნუ იცინითო, ცრემლი დაღვარეთ და იგლოვეთო!“.

„ჩვენ და ტირილი?!

„განა მებრძოლნი მგლოვიარებენ? განა სტირიან გამარჯვებულნი? რისთვის ვიტიროთ? ძირს რომ ეცემა თვითმპყრობელობა, იგი ვიტიროთ? იგი ვიგლოვოთ? განა მტერს თქვენში მგლოვიარებენ?

—„სისხლი იღვრება მოძმეებისა, და მათთვის უნდა ვღვაროთო ცრემლი...“

„საცოდავები! მათ არ იციან, რომ ბრძოლა ჩვენი აღმზრდელი არის. რომ ბრძოლას მუდამ მოჰყვება სისხლი, რომ მხოლოდ ხალხის უმანკო სისხლით შენდება ზღუდე თავისუფლების! მათ ავიწყდებათ, რომ სისხლის წკეთებს თან მოსდევს ტახტი გამარჯვებისა!

„ბრმები! ვერ ხედავენ ხალხისა სისხლში ბრწყინვალე სახეს თავისუფლების! მათ ეშინიათ მამაცთა ბრძოლის! მათ ეშინიათ გამარჯვებისა!...“

დარბაზი წამოიშალა. ყველანი მისვდნენ, ვინ იყვნენ „ბრმები“..

— არა! არ გვინდა ცრემლი! ცრემლი ლაჩრების საქმეა! — შეჰღაღადა დარბაზმა.

— არ გვინდა ცრემლი! — შესძახა ფანჯარასთან ტარიელმა და მოედანმაც გაიმეორა:

— არ გვინდა ცრემლი... ძირს ლაჩრები!..

მსახიობმა ჩაიცინა. საოცარი ის იყო, რომ პროკლამაციაც თითქვის ამ სიტყვებით გრძელდებოდა. თითქოს პროკლამაციის ავტორი წინასწარ ჩასულა ხალხის გულში და იქიდან ამოელო ეს სიტყვები...

„არა! არ შეგვფერის ცრემლები ვღვაროთ! — განაგრძო მსახიობმა. — ეგ მხოლოდ ლაჩრებს შეეფერება. ჩვენ გამარჯვებულთ ყიჟინა მოგვწონს. კისკისი გვინდა, — გესმით კისკისი!

„მაშ, დეე სჭექოს ჩვენმა სიმღერამ! გაისმას ქვეყნად ჩვენი სიცილი,—სიმხიარულე! აი რა გვინდა. კისკისი, ტაში, აი რა გვსურს ჩვენ. როდესაც მტერი ცრემლად იღვრება, ქვითინებს, კვნესის და იკლაკნება, ჩვენი ვალია ტაში ტაშს დავკრათ, ჩვენი ვალია ვიმხიარულოთ. გამარჯვებულნი არა სტირიან. მამაცნი ცრემლებს არ გადმოღვრიან!

„თქვენ კი, ბატონნო ჩვილგრძნობიანნო, იტირეთ, ღვარეთ ცრემლი ცრემლზედა! ლაჩრებს ტირილი უფრო შეეფერით! თქვენ ვერა ხედავთ მტრის დამარცხებას! თქვენ თავბრუს გასხამთ ბრძოლისა სისხლი! თქვენ დარდებს გიძრავთ მეოგანი ბრძოლა! თქვენ გეშინიანთ გამარჯვებისა!

„მაშ, იტირეთ ღა ქალაჩუნებო! ჩვენ გვსურს ვიცინოთ თქვენს ტირილზედა!...“

დიდხანს იდგა ტაშის გრიალი. დარბაზი მიხვდა, ვინ იყო პროკლამაციის ავტორი. დარბაზიდან და მოედნიდან უცბრავი ყეავილი წამოვიდა წინა რიგისაკენ, იმ კაცისაკენ, ვინც შეკონა ეს მარგალიტის მძივი და ხალხს აჩვენა მისივე გული...

ეს კაცი კობა იყო.

— ჩვენ და ტირილი? — ისევ წამოიძახა ტარიელმა და მეზობლისაკენ მოიხედა. ის გაპარულიყო.

— ჩვენ და ტირილი? — ამბობდნენ დარბაზში, მოედანზე.

და დიდხანს იმეორებდნენ შემდეგ ჟიათურაში:

— ჩვენ და ტირილი?

მდევის ზღაპარი

ჭიათურაში, ისე როგორც ყველგან საქართველოში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა სხვა პარტიებიც მოქმედებდნენ: სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, ანარქისტების პარტია. ამათ შუაში მიმდევრები არ ჰყავდათ. უფრო ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციაში ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. 1905 წელს ეს პარტიები მართავდნენ კრებებს, მიტინგებს, ებრძოდნენ ერთმანეთს და ყველანი ერთად ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატიას, განსაკუთრებით მისს რევოლუციურ ფრთას, მეუმრავლესეებს. პარტიების ლიდერები ლაღიოდნენ ქალაქებში, დაბებში, სოფლებში, აწყობდნენ კრებებს, და თუ მათ კრებაზე არავინ მიდიოდა, გამოდიოდნენ სხვა პარტიების კრებაზე.

კრებები და მიტინგები კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმართებოდა. მაშინ მთელი საქართველო მიტინგების ასპარეზად იყო გადაქცეული. შინ თუ გარეთ, ყანაში თუ ქარხანაში, თეატრში თუ მატარებელში, ყველგან პოლიტიკური კამათი და დავა იყო.

ორი კაცი რა არის, ორი კაცი რომ მიდიოდა ქუჩაში, გაცხარებული კამათი ჰქონდათ.

ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა:

— მარქსი, სოციალიზმი, პროლეტარიატი, დემოკრატია, დიქტატურა, რევოლუცია, დამფუძნებელი კრება, პარტია, მეუმრავლესენი, მეუმცირესენი.

1905 წლის ივლისის შუა რიცხვებში ყველა პარტიის ლიდერები ჩამოვიდნენ ჭიათურაში. ხმა გავარდა: პარტიების დიდი ჯახი იქნებაო. ყოველი პარტია თავისი პროგრამით გამოვა ხალხის წინაშეო.

დაფაცურდნენ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები. ღარაზმეს ძალები. დანიშნეს ადგილი სახალხო მიტინგისათვის. კვირას, ივლისის მიწურულს, საავადმყოფოს გვერდით, წყალსადენის აუზთან ფართო მოედანზე უამრავი ხალხი შეიკრიბა. ხალხი მოედანზე ვერ დაეტია და ბევრნი შეღმართებზე ჩამოსხდნენ. აქ უმთავრესად მაღაროების მუშები იყვნენ. მაგრამ არ დარჩენილა არც ერთი ინტელიგენტი, არც ერთი ცოტად თუ ბევრად პოლიტიკით დაინტერესებული ჭიათურელი, ქალი თუ კაცი, რომ არ მოსულიყო აქ. ჯერ ერთი, ის იყო საინტერესო, რომ ცნობილ და სახე-

ლოვან ორატორებს მოუსმენდნენ. მერე ის იყო საინტერესო, რომ ეს მიტინგი ფაქტიურად მეუმრავლესთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰერეხის შემდეგ ეს იყო პარტიების გენერალური ბრძოლა მეუმრავლესთა წინააღმდეგ.

მეუმრავლესენიც მომზადებულნი იყვნენ. არც ერთ პარტიას არ ჰქონდა ის, რაც ჰქონდათ მეუმრავლესთ: საოცარი დარაზმულობა და პროკლამაცია.

სუფთად, კოსტად ჩაცმული ხალხი რომ მოედანზე დამწკრივდა, პროკლამაციებიც ააფრინეს. პეტრე, გიორგი, ტარიელი, ახლა აშკარად არიგებდნენ პროკლამაციებს. კახა ერთ ჯგუფში ჩამდგარიყო და უკითხავდა პროკლამაციას:

„... მაგრამ განა ყველა სოციალისტია, ვინც იძახის სოციალისტი ვარო? განა ყველა რევოლუციონერია, ვინც ყვირის რევოლუციონერი ვარო?.. მათი რევოლუციონიზმი არ არის სოციალისტური. მათი სოციალიზმი არ არის რევოლუციური. ისინი არიან წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები. ხოლო წვრილი ბურჟუაზია კიდეც ებრძვის გაბატონებულ წყობილებას, და კიდეც იცავს. ებრძვის იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური მონობა ხელს უშლის და ბორკავს მას, რამდენადაც ძლევამოსილი კაპიტალიზმის განვითარება ანადგურებს და აპროლეტარებს მას. იცავს იმდენად, რამდენად ეკონომიური ცხოვრების შეუჩერებელი წინსვლა მიმართულია მის წინააღმდეგ. ასეთ ორპოფ მდგომარეობაშია წვრილი ბურჟუაზია. მასში შეერთებულია რევოლუციური და რეაქციული ტალღები და ლტოლვილება“...

მეორე ჯგუფში ფაცია გალდავა უკითხავდა მსმენელებს იმავე პროკლამაციას:

„... სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები გვიჟინებენ: თქვენ ხალხის გაღატაკების მოსურნენი ხართ, თქვენ ხალხს აღატაკებთო. წვრილი ბურჟუაზიის ბაირაღტარნი, გათიშვის მოციქულნი, პროლეტარიატის ცნობიერების დამბნელებელნი, „ღირსეული სოციალისტები“ აბა რავეს ბოდავენ! როგორ ვერ გაიგეს ამდენ ხანს, რომ სოციალ-დემოკრატია კი არ აღატაკებს ხალხს (ეს მას არ შეუძლია), არამედ აცნობიერებს გაღატაკების, პროლეტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩვენდა დაუკითხავად წარმოებს სინამდვილეში, კი არ სურს გააღატაკოს ხალხი, არამედ არკვევს და აშენებს კლასთა წინააღმდეგობას, უთითებს, თუ რანაირად ვითარდება ცხოვრება, რანაირადაა აშენებული დღევანდელი ურთიერთობა და რა გზით და რა საშუა-

ლებით შეეძლება მუშა ხალხს, გაღატაკებულს და გაყვლეფილ უმრავლესობას თავი დააღწიოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობას“...

პეტრემ, ტარიელმა და გიორგიმ პროკლამაციების დარიგება ვაათავეს და ჩოჩქოლიც ატყდა:

— მოვიდნენ.... მოვიდნენ ლიდერები...

— რომელია მიხაკო წერეთელი? რომელი?

— რომელია კომანდო გოგელია?

— აი ის, ლამაზი კაცი, ცხვირკეხიანი, მიხაკო წერეთელია.

— „ერი და კაცობრიობა“ რომ დასწერა?

— თურმე პირადი მეგობარია კროპოტკინისა. ფილოსოფოსია.

— ეგერ საკსონ ფირცხალავა. აი ის, შლაპიანი, შავწვერიანი.

— „სიტყვას“ რომ აწერს წერილებს? კარგად კი წერს, ძმაო. ენაწყლიანია.

— წყალი ბევრი აქვს, მართალია! — ჩაურთო ყელეზნიმ და ხალხი გააცინა.

— ლასხიშვილი რომელია, ფედერალისტების პარტიის თავმჯდომარე?

— გობეჩია? ეს ჯმუხი კაცი? რომელი პარტიის? ესერებისა? კაცო, ეგ წმინდა წყლის რუსული პარტიაა... საქართველოშიც არიან? არ იცი? აბა ბიათურაში რომ არაა ესერები, ხელს მოგიწერ.

— მეუმცირესეებიდან გრიგოლ ლორთქიფანიძე იქნებაო ორატორად. მაგას ვიცნობთ.

— ზაქარია გურული რომ დამდგარა ლიდერებთან, ისიც ლიდერია ვითომ? — იკითხა გიორგიმ.

— კუმ ფეხი გამოჰყო და მეც ნახირ-ნახირო, — ჩაურთო ტარიელმა.

— მეუმრავლესეებიდან ვინ იქნება?

— კობა ჯუღაშვილი. აი, ეგერ რომ დგას. ბლოკნოტი უჭირავს ხელში.

— თურმე დიდი მომზადებულია. პირადად ლენინთან აქვსო მიმოწერა.

— რას ამბობ?

— ნამდვილს გეუბნები. თურმე მუშებმა თხოვეს: ყველა ლიდერებს ვიცნობთ პირადად, გარდა ლენინისაო. ლენინი არ გვინახავს და მისწერე სურათი გამოგვიგზავნოსო. ლენინმა შეეოუთეალა კობას: გადაეცი მუშებს ჩემი სალამი და უთხარი:

„წარმოიდგინეთ რუსი მუშა და ესეთი იქნება ლენინი!“

— მიტინგს გახსნილად ვაცხადებ, — გამოაცხადა ვიღაცამ.
— ვინაა თავმჯდომარე? — ჰკითხა ტარიელმა პეტრეს.
— სამსონა კილაძე.
— რა კაცია? ვინაა?
— ყველასათვის მისაღები, — გაიცინა პეტრემ...
— სიტყვა ეძლევა ანარქისტების პარტიის ლიდერსა და წარმომადგენელს, ამხ. მიხაკო წერეთელს, — გაისმა მოედანზე.
ხალხი გაინაბა. ორატორის განთქმულმა სახელმა თავიდანვე მიიზიდა ხალხის ყურადღება. უსმენდა ხალხი ორატორს. საოცარი ის იყო, რომ უსმენდა წყნარად, აუღელვებლად, ისე, როგორც უსმენენ ხოლმე საეკლესიო გალობას.
— ანარქიზმის ქვაკუთხედია პიროვნება, — განაცხადა წერეთელმა. — ჰარმონიულად განვითარებული და დასრულებული პიროვნება... კაცობრიობის განთავისუფლება შეუძლებელია მანამ, სანამ პიროვნება შებორკილია... პიროვნებას ანარქია გაათავისუფლებს... ანარქია არის ბრძოლა ყოველგვარ ხელისუფლებასთან... არავითარი ხელისუფლება, როგორიც უნდა იყოს ის: მონარქიული, ბურჟუაზიული, თუ სოციალისტური. ყოველგვარი ძალაუფლება ძალმომრეობაა... ჩვენ უნდა დავანგრიოთ მონარქიული სახელმწიფოს აპარატი, მაგრამ არ გვინდა არავითარი სხვა წესწყობილება, ძალაუფლება... უაპარატო, უხელისუფლებო საზოგადოება — აი ჩვენი მიზანი...
ლასხიშვილმა ილაპარაკა და ფირცხალავამ გაიმეორა:
— საქართველოსათვის საჭიროა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ხალხის ინტერესები მოითხოვს არა პროლეტარიზაციას, არამედ სიმდიდრის შეძენას, დოვლათის შექმნას. როცა გვეყოლება მდიდარი და ძლიერი ვაჭარ-მრეწველთა კლასი, გვექნება მათთან ერთად საზოგადო, საერთო საქმე, მაშინ მუშათა საქმეც კაკეთდება... ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი, ნაციონალური ბურჟუაზია, ნაციონალური კაპიტალი. რატომ უნდა იყვნენ პიათერაში უცხოელი კაპიტალისტები? ჩვენი ბურჟუაზია რომ გვყავდეს, არ სჯობია? სად ვებრძოლოთ ჩვენ უცხოეთში ევროპულ ბურჟუაზიას?.. არა კლასთა ბრძოლა, არამედ კლასთა ჰარმონია. აი რა ესაჭიროება ჰატარა საქართველოს. ამჟამად ჩვენ, ქართველებს, ჩვენი განსაკუთრებული ინტერესები გვაქვს. ქართველი მუშა ქართველ მრეწველის მტერი კი არ უნდა იყოს. არამედ თანაშემწე... ჩვენი მიზანია ძლიერი გლეხი, ღონიერი სოფელი... ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ საგლეხო ბანკის დაარსებას...

— სოციალ-დემოკრატები კი, — განაცხადა ფირცხალავამ, — მოითხოვენ გლეხების გაღატაკებას. ყველა პროლეტარი უნდა გახდესო. გინდათ თქვენ გაპროლეტარება?

— არ გვინდა გაღატაკება! — ყვიროდა ზარასპი და მას ბანს აძლევდნენ მიკიტნები.

— ჰო და სოციალ-დემოკრატებს უნდათ ყველანი გაღატაკონ. შემდეგ პეტერბურგში დადგამენ ვეებერთელა ქვაბს. იმ ქვაბში მოხარშავენ ბორშს და იქიდან მილებით გადმოუშვებენ ცხელ ბორშს თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში. ესაა იმათი სოციალიზმი.

— ტყუილია! დემაგოგიაა! — წამოხტა გიორგი.

— არსად არ სწერია ეს ჩვენს პროგრამაში! — უყვიროდნენ მუშები.

როცა ხმაურობა დაწყნარდა, ტრიბუნაზე გობეჩია იდგა.

— ... ისტორიას მართავს არა კუჭი, არამედ შეგნება... მაღალი ბრწყინვალე სული, იდეა!.. იდეა და არა მატერია... გმირები ქმნიან ისტორიას და არა ბრბო, რომელიც ლუკმა პურის იქით არაფერს ხედავს... ჰეგელი ლაპარაკობდა—ისტორიას მსოფლიო სული ამოძრავებსო... ბრბო უგუნურია. ჩვენ, მსოფლიო სულის გმირებმა, უნდა განვაახლოთ რუსეთი...

— მაშ, ჩვენ უგუნური ბრბო ვყოფილვართ,—გადახედეს ერთმანეთს მუშებმა და დასცეს ერთსულოვნად: — ძირს! ძირს! რას მიჰქარავს?

ტრიბუნაზე გრიგოლ ლორთქიფანიძე იდგა.

—... ჩვენი პროლეტარიატი ჩამორჩენილია, არაა საკმაოდ შეკავშირებული, ამიტომ მას არ შეუძლია მარტო მოახდინოს რევოლუცია. ის უნდა შეუამხანაგდეს ისეთ პარტიას, — რომელიც დაინტერესებულია თვითმპყრობელობის ჩამოგდებით. ასეთი ძალა არის ბურჟუაზია. ჩვენ და ბურჟუაზიას ამ ჟამად ერთი მიზანი გვაქვს. მაშასადამე, გზაც ერთი უნდა გვქონდეს... რევოლუციის გამარჯვებისათვის არაა საჭირო შეიარაღება და აჯანყება. ეს გზა გავლილი გზაა ევროპისათვის. ახლა ჩვენი მიზანი დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამისათვის ყუმბარები კი არ უნდა დავატრიალოთ, როგორც მეუმრავლესენი ამბობენ, არამედ კულტურულად, პარლამენტური გზით უნდა ვიბრძოლოთ... ამიტომ არაა საჭირო მეუმრავლესეთა სექტანტობა. თვითმპყრობელობას გასტეხს და კონსტიტუციას მოგვიპოვებს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალ-

თა კონსოლიდაცია. ბურჟუაზია არ უნდა დავაშინოთ. რევოლუციის მეთაური ბურჟუაზია უნდა იყოს...

მზე თანდათან აჭერდა. ხალხს ოფლისაგან ჯანღი დასდგომოდა. განწყობილება თანდათან მძაფრდებოდა, მწვავდებოდა. ნერვებიც თანდათან დაიძაბა. გიორგიმ გადახედა მოედანს. მთელი მოედანი თითქოს თავებით იყო მოკენჭილი...

ტრიბუნაზე ავიდა კობა.

ხალისიანი ტაშით შეხვდნენ მუშები.

კობამ ანარქისტებიდან დაიწყო.

—ანარქიზმი თუ სოციალიზმი? აი, ასე დგას საკითხი. მარქსიზმი და ანარქიზმი სულ სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული. ანარქიზმის ქვაკუთხედია პიროვნება. მარქსიზმისა კი მასა, პროლეტარიატი. მასის განთავისუფლება უმთავრესი პირობაა პიროვნების განთავისუფლებისათვის. პიროვნება შედის მასაში. მასა კი თავისთავადია. ამიტომ სანამ არაა განთავისუფლებული მასა, არ შეიძლება პიროვნების განთავისუფლებაც... ლოზუნგი „არავითარი ხელისუფლება“ წვრილბურჟუაზიული, ბუნტარული ლოზუნგია. წესრიგი და ერთმანეთის გაგონება ყველგან საჭიროა. ჩვენ რომ უარვყოთ ორგანიზაცია, უნდა უარვყოთ ჩვენივე პარტიაც. ანარქისტებს ხომ აქვთ საკუთარი პარტია? არის თუ არა იმ პარტიაში რაიმე წესრიგი, დისციპლინა? უჯერიან თუ არა ისინი ერთმანეთს? ალბათ გოგელია უჯერის კროპოტკინს, კროპოტკინი უჯერის წერეთელს, მაგრამ თვითონ წერეთელს ვინ უჯერის, ამისი რა მოგახსენოთ.

ხალხში ხალისიანი სიცილი გაისმა.

— სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას თქვენ იცნობთ. შესანიშნავად დაახასიათეს იმათ ლიდერებმა თავისი პარტია ჩვენს წინაშე. რა სთქვეს მათ? ბურჟუაზია უნდა გავაძლიეროთო. რას ნიშნავს ბურჟუაზიის გაძლიერება? მარქსიზმი გვეუბნება: ეს ნიშნავს სამუშაო დღის გადიდებას, ხელფასის შემცირებას.

მუშებში ხმაური გაისმა.

— თქვენ მოგიწოდებენ საკუთარი ბურჟუაზიის შექმნისაკენ. თითქოს სულ ერთი არ იყოს ჰიათურელი მუშისათვის, ვინ ჰყვლეფს მას: გელზენკირხერი თუ რომელიმე ქართველი მრეწველი? მაგრამ საქმე ასე მარტივად არ წყდება... დღეს გამძაფრებული კლასთა ბრძოლაა. საკუთარ ბურჟუაზიასთან მშვიდობა ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის უარყოფას და კლასთა შორის ჰარმონიას. უტოპიაა ეს. გვატყუებენ თან... არა ჰარმონია, არამედ მძაფ-

რი კლასთა ბრძოლაა საჭირო! არა შეერთება მტერთან—ბურჟუა-ზიასთან, — არამედ გამიჯვნაა საჭირო... აი, ჩვენი ლოზუნგი... აქ ილაპარაკეს გლეხობაზე, მაგრამ საკმარისია მარქსიზმის ანბანის ცოდნა, რომ ეს ბავშვური გულუბრყვილობა გაიფანტოს. დღევან-დელ ჩვენს პროკლამაციაში არის ამისი პასუხი და თქვენ წაიკით-ხავდით მას... ხოლო რაც შეეხება ბორშს, ეტყობა, ფედერალის-ტების ლიდერს ბორშის საკითხი უკეთ ესმის, ვიდრე პოლიტიკუ-რი ეკონომიისა და მარქსიზმისა...

— ხა... ხა... ხა... — გამხიარულდა ხალხი.

— რაც შეეხება ესერებს, საინტერესო ხალხია, — განაგრძო ორატორმა. — მათი აზრით არც თანამედროვე კაპიტალიზმი, არც თანამედროვე კულტურა, არც თანამედროვე ტექნიკა რუსეთისა-თვის არ არსებობს. მათი აზრით არც მრავალმილიონიანი პროლე-ტარიატი არსებობს რუსეთში. არც რთული საბანკო-საფინანსო კაპიტალი არსებობს. მათი აზრით რუსეთი ისევ-ისე ივანე მრის-ხანეს დროინდელი რუსეთია, სადაც ყველაფერი პრიმიტიულია, როგორც გლეხური თემი. მათი აზრით საკმარისია დახუჭო თვალი და სთქვა: რადგან მე თვალი დახუჭული მაქვს და არაფერს ვხე-დავ, გარდა ჩემი იდეისა, არაფერიც არსებობს ჩემს გარშემო. თუ მატერიალური ძალა არაფერია, რათ ჰქმნიან ისინი ტერორისტულ რაზმებს და ორგანიზაციებს? ისინი შეურაცხყოფენ ხალხს, რო-დესაც უწოდებენ მას უგნურ ბრბოს და უხალხოთ სურთ გამარ-ჯვება. თუ გმირია ყველაფერი, აი ეს გმირები — და მოუტანონ ხალხს ბედნიერება...

— გლეხობაზე რას იტყვით? — გააწყვეტინა გობეჩიამ.

— გლეხობა არ არსებობს, როგორც მთლიანი ერთეული, ამ-ბობს ლენინი. გლეხობაც არის და გლეხობაც. არის გავაჭრებული გლეხი, არის მდიდარი და ღარიბი გლეხი. გლეხობა, როგორც კლასი, ყოველწლიურად იშლება. ის ჩამორჩენილი მეურნეობის წარმომადგენელია. როგორ შეუძლია მშრომელ გლეხობას თავი დააღწიოს ექსპლოატაციას? საკუთარი ძალებით? არსად, არც ერთ ქვეყანაში ჩამორჩენილი მეურნეობის ფორმას არ გაუმარჯ-ვნია მოწინავე მეურნეობის ფორმაზე, რაღა რუსეთში უნდა გაი-მარჯვოს? სადაც ვითარდება კაპიტალიზმი, იქ ქუცმაცდება გლე-ხური მეურნეობა. აიღეთ ჭიათურის ახლო-მახლო გლეხობა და შავი ქვის წარმოება. ვინ არიან მუშები? ე. ი. კაპიტალისტური სისტემის მამოძრავებელი ძალა? გუშინდელი გლეხები.

ვისთან უნდა იყოს კავშირში გლეხობა? რასაკვირველია, პროლეტარიატთან.

— გლეხკაცობა უმეტესობაა! — შესძახა გობეჩიამ.

— მართალია, გლეხკაცობა დღეს უმეტესობაა და ძალიან ღარიბებიც არიან, მაგრამ განა ამაშია საქმე? გლეხკაცობა დიდიხანია უმეტესობას შეადგენს, მაგრამ სად, რომელ ქვეყანაში გაიბარკვა გლეხობამ მარტოდ მარტო? მარტო ციფრი არას ნიშნავს. გლეხკაცობა, როგორც წოდება, დღითი-დღე იშლება პროლეტარებად და ბურჟუებად. პროლეტარიატი კი დღითი-დღე იზრდება და ჯანღონით ივსება. არც სიღარიბეს აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა. „ბასიაკები" გლეხებზე ღარიბები არიან, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ისინი რუსეთის განთავისუფლებას იკისრებენ. საქმე ისაა, ვინ იზრდება და ვინ ბერდება ცხოვრებაში, და რაღანაც პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელიც შეუჩერებლად იზრდება და სიცოცხლისაკენ მიილტვის, ჩვენი ვალია გულდით ამოვუდგეთ მას...

ჯერი გრიგოლ ლორთქიფანიძეზე მიღგა. ეს იგრძნო მიტინგმა და თვალი გრიგოლ ლორთქიფანიძეზე გადაიტანა.

—ახლა გადავიდეთ მეუმცირესეთა წარმომადგენელზე. ის ამბობს, რადგან რევოლუცია ბურჟუაზიულია, მისი მეთაურიც ბურჟუაზია უნდა იყოსო. ასე იყოო ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში. შემცდარი შედარებაა. მეუმცირესეებს უყვართ ისტორიული ანალოგიები.

— დიახ, გვიყვარს, — დაუდასტურა გრიგოლმა. — ფაქტების ცოდნა საჭიროა.

— ფაქტების ცოდნა არაა საკმარისი, საჭიროა ფაქტების გაგება, — მოუჭრა კობამ. — განა თქვენ არ იცით, რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციებში ჰეგემონია ეკუთვნოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას და არა პროლეტარიატს? მაშინ პროლეტარიატი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას და ასეთი არც შეიძლებოდა ყოფილიყო თავის სისუსტის გამო...

რუსეთში, პირიქით, ბურჟუაზიული რევოლუცია სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. რუსეთში რევოლუციამ მოგვცა ბურჟუაზიის, როგორც პოლიტიკური ძალის, არა გაძლიერება, არამედ დასუსტება, მისი პოლიტიკური რეზერვების არა გამრავლება, არამედ მის მიერ ძირითადი რეზერვის დაკარგვა, გლეხობის დაკარგვა. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში პირველ რიგში წამოაყენა არა ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუ-

ციური პროლეტარიატი და მის გარშემო დარაზმა მრავალმილიონიანი გლეხობა... ამნაირად, ისტორიული ფაქტების მოტრფიალე მეუმცირესეებს ავიწყდებათ ერთი ისტორიული ფაქტი, რომ საფრანგეთში არ იყო დარაზმული პროლეტარიატი. ისინი ვერ ხედავენ მეორე ფაქტსაც, რომ ჩვენ მრავალრიცხოვანი და შეკავშირებული პროლეტარიატი გვყავს. ლენინი, რუსეთის პროლეტარიატის ბელადი, პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენი რევოლუცია არაა საფრანგეთის რევოლუციის განმეორებაო. ესეც ფაქტია და საჭიროა ამისი გაგება. ფაქტია და საჭიროა იმისი გაგებაც, რომ მოძრაობის ჰეგემონი პროლეტარიატია...

ტარიელმა იდაყვი გაჰკრა პეტრეს და ჩაულაპარაკა:

— ხედავ, როგორ გავიზარდეთ? პერევისაში წესდების პირველ მუხლზე ვდაობდით, ახლა პროლეტარიატის ჰეგემონიაზე ელაპარაკობთ... როგორ მომწონს ეს სიტყვები: პროლეტარიატის ჰეგემონია...

— ს.. ს.. ს.. — წარბი დაუქნია პეტრემ ტარიელს.

ტარიელი გაჩუმდა და კვლავ ორატორს მიაპყრო თვალი.

— აი, სულ რამოდენიმე თვეა, რაც დასრულდა ჩვენი პარტიის მესამე ყრილობა ლონდონში,—განაგრძო ორატორმა.—ხომ გამოიმუშავა ყრილობამ ტაქტიკური ხაზი? ხომ არის ეს ტაქტიკა ნამდვილი საბრძოლო ტაქტიკა?

— ჩვენ არ ვცნობთ ლონდონის ყრილობას, — უპასუხა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ორატორს. — ჩვენ ვცნობთ ჟენევის კონფერენციას.

— ე. ი. ბარიკადებზე ბრძოლას გაურბით?

— თუნდაც ასე....

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ტარიელი წამოვარდა და დაიძახა:

— როგორ, ამხანაგო გრიგოლ, ნამდვილ ბრძოლას გაურბიხართ? მაშ რა ეკნათ?

ეტყობოდა, ტარიელის შეკითხვა დიდი უმრავლესობის აზრს გამოხატავდა. ყველგან, მთელი ამ ფართო მინდვრის სიგრძე-სიგანეზე, აღშფოთებული ხმები გაისმა:

— რატომ არ სცნობთ? ყრილობას არ სცნობთ?

ორატორი შეჩერდა. ის არ ჩქარობდა. ეტყობოდა, მას რაღაც თავისებური, სხვა ორატორისათვის უჩვეულო ხერხი ჰქონდა.

— იმიტომ არ ვცნობთ, რომ ლონდონის ყრილობა მეუმრავლესეთა ყრილობა იყო,—უპასუხა გრიგოლმა ხალხს.—მეუმრავლესენი აფრთხობენ ლიბერალურ ბურჟუაზიას. მთავარია არ და-

აფრთხო ლიბერალური ბურჟუაზია შენი რევოლუციურობით, ვინაიდან თუ იგი რევოლუციას ზურგს შეაქცევს, რევოლუცია დასუსტდება.

— ჩვენ გვყავს ძლიერი მოკავშირე, გლეხობა,—გაუსწორა გუცამ.

— პროლეტარიატი გლეხობას კი არ უნდა დაუახლოვდეს, არამედ ლიბერალურ ბურჟუაზიას.

კრება კვლავ შეირხა. აქ ბევრნი იყვნენ ისეთნი, რომელთაც ცალი ფეხი სოფელში ედგათ.

— მაშ, ჩვენ არაფერი ვყოფილვართ, ბატონო გრიგოლ! —საყვედურით შეეკითხა ვიღაც ქალი.— თქვენ რატომ ფიქრობთ, რომ გლეხობა არ გამოადგება რევოლუციას?

ტარიელს ხმა ემცნაურა, და წინ გაჩერებულ მუშას უთხრა:

— გაიწი, შე კაცო, რავა დეკანოზის ჯოხივით ამეყუდე წინ!

—შენ თუ გინდა, მე არ მინდა ყურება თუ? კაი ქალია ვიღაცა...

ტარიელი თითის წვერებზე შედგა და კინაღამ დაიყვირა. ის ქალი სალომე იყო.

ამაყად, გამომწვევად იდგა სალომე. თავშალიდან თმის ერთი ნაწნავი ლამაზად გადმოშლოდა და ლოყაზე გადმოწოლოდა. ეტყობოდა, გაბრაზებული იყო სალომე.

— რა ცოლი მყავს? — გაიფიქრა ტარიელმა და ამაყად გაღაღადა კრებას, თითქოს მთელმა კრებამ იცოდა, რომ სალომე მისი ცოლი იყო.

აქამდე დადუმებული გიორგიც წამოდგა წინ. აშკარა ბრაზით უთხრა გრიგოლს:

— მე ვფიქრობ, გლეხობა პროლეტარიატის ბუნებრივი მოკავშირეა. გლეხობა ვერ შესძლებს თავიდან მოიშოროს მემამულეები და მიიღოს მემამულეთა მიწა რევოლუციის სრული გამარჯვების მიუღწევლად. ასე არაა? ასე არ უნდა იმოქმედოს სოციალ-დემოკრატიამ?

— არა!—უპასუხა გრიგოლმა.—შესაძლებელია, რომ რევოლუციამ გაიმარჯვოს, მაგრამ სოციალ-დემოკრატია გამარჯვების შემდეგ განზე უნდა გადგეს, რათა ლიბერალური ბურჟუაზია არ დააფრთხოს...

— დაუჟინია ეს ლიბერალური ბურჟუაზია, — გაისმა აქეთ-იქით უკმაყოფილო ხმები. — ბარემ გადაბარგდით კადეტებში აშკარად.

კობამ ხელი ასწია. ეტყობოდა, გამოზომა ის წერტილი, სადაც კრების სადავე კელავ ხელში უნდა აეღო. ჩამოვარდა სიჩუმე.

— აი ხალხის პასუხი, — შეაჯამა ხალხის შესიტყვების აზრი კობამ. — საინტერესოა, რომ მეუმრავლესეთა ტაქტიკური ხაზი სწორედ ასეთი იყო მესამე ყრილობაზე. რას გვეუბნება ეს? იმას, რომ ჩვენი აზრი ხალხის აზრია; იმას, რომ ყრილობის ტაქტიკური ხაზი სწორია... იმას, რომ რევოლუცია მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, თუ მას სათავეში ჩაუდგება პროლეტარიატი, თუ პროლეტარიატი, როგორც. რევოლუციის ბელადი, შესძლებს უზრუნველჰყოს კავშირი გლეხობასთან, თუ ლიბერალური ბურჟუაზია განცალკევებული იქნება, თუ სოციალ-დემოკრატია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ცარიზმის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების მოწყობის საქმეში, თუ ძლევამოსილი აჯანყების შედეგად შეიქმნება დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც შესძლებს აღმოფხვრას კონტრრევოლუციის ფესვები და მოიწვიოს საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრება, თუ სოციალ-დემოკრატია უარს არ იტყვის ხელსაყრელ პირობებში მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, რათა რევოლუცია ბოლომდე მიიყვანოს...

— ჩვენ წინააღმდეგი ვართ შეიარაღებული აჯანყების, — წამოიძახა გრიგოლ ლორთქიფანიძემ.

— ჩვენ კი გადაჭრით მომხრე ვართ შეიარაღებული აჯანყებისა, — უპასუხა კობამ.—ლენინმა თქვენს ტაქტიკას „რევოლუციის გამცემლობის ტაქტიკა“ უწოდა. ლენინმა გამოუშვა წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ამ წიგნში ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვების უმნიშვნელოვანეს საშუალებად ლენინს ხალხის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება მიაჩნია.

— ეს ბლანკიზმია! — დაუძახა გრიგოლმა.

— ეს რევოლუციაა!—უპასუხა კობამ.—საკმარისი იყო სიგნალი პეტერბურგიდან, საკმარისი იყო რევოლუციის დროშა აშვებულიყო პეტერბურგში, რომ რუსეთის პროლეტარიატი, რუსი, პოლონელი, ქართველი, სომეხი, თათარი თუ ბერძენი, — ყველა ფეხზე დამდგარიყო და სალამი გაეგზავნა პეტერბურგელ ამხანაგებისათვის, თითქოს პირი შეუკრავთ, თითქოს ერთმანეთისათვის სიტყვა მიუციათო—ისე ერთხმად ადგნენ და ბრძოლა გამოუცხადეს მეფის თვითმპყრობელობას... ეს კი იმას ნიშნავს, რომ

პროლეტარიატს სწყურია რევოლუცია. მას მთელი თავისი სულის ძაფებით უნდა რევოლუციის მოხდენა...

— ოჰ! — ამოიოხრა გიორგიმ.

— როცა პეტერბურგელი მუშები სისხლსა ღვრიდნენ და ბარიკადებზე იბრძოდნენ, ჩვენ აქ ჩვეულებრივად ვმუშაობდით და ყურსაც არ ვიბერტყავდით...

— ... ჩვენ ცალცალკე ვიბრძოდით, ჩვენ სხვადასხვა დროს გამოვედით მოედანზე, და ამიტომ შესძლო მტერმა ჩვენი გაფანტვა. ჩვენ არა გვქონდა იარაღი. ჩვენ ცარიელა ხელებით ვიბრძოდით და იმიტომ გაიმარჯვა მტერმა. „იარაღი, იარაღი, ოჰ, იარაღი მოგვეცით!" — აი რას იძახდა გაჟეთრებული პროლეტარიატი. ის ხედავდა თავის მტერს და კბილებს ახრჭიალებდა მასზე, ის მაშაცურად ებრძოდა მას... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის შეიარაღებაა საჭირო, რომ ჩვენთვის საჭიროა იარაღი ავიღოთ და ერთსა და იმავე დროს გამოვიდეთ მოედანზე. აჯანყების მოწყობა — აი, რაშია ჩვენი მიზანი, აი რას უნდა ცდილობდეს ღღეს რუსეთის პროლეტართა პარტია!..

დიახ, აბსანაგებო, ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა აჯანყება მოაწყოს...

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი პარტია აჯანყებას მოაწყობს და, მაშასადამე, პროლეტარიატი რევოლუციის ნამდვილ ხელმძღვანელად გამოვა, მხოლოდ მაშინ შეგვიძლება რიგიანად ვისარგებლოთ ძველი წესების დალეწვით, მხოლოდ მაშინ შეგვიძლება ღონივრად მოვიმაგროთ ფეხი მომავალ თავისუფალ რუსეთში და ღირსეულად გავიკაფოთ გზა იმ „აღთქმული ქვეყნისაკენ", რომელსაც სოციალისტური ცხოვრება ეწოდება!..

კრებამ თავისუფლად ამოისუნთქა, მხიარულად დაიგუგუნა. აშკარა იყო, ორატორს კრების გულიდან ამოჰქონდა თავისი სიტყვები.

— აი, როგორ უნდა რევოლუცია. მეუმცირესებს კი ეშინიათ რევოლუციისა. ისინი ლაჩრები არიან. მეუმცირესენი არსებითად ბურჟუაზიის მაჩანჩალები არიან.

— მაშ, ჩვენს მხარეზე რათ არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში? — მიაძახა ლორთქიფანიძემ.

კობამ გაიცინა.

— დიაღ, მართლა „უმცირესობის" მხარეზე არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში, მაგრამ ეს არაფერსაც არ ამტკიცებს. რევიზიონისტების—ოპორტუნისტებია გერმანიაში—მხარეზედაც არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს,

რომ მათი პოზიცია პროლეტარულია. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპორტუნისტები არ არიან. ერთხელ ყვავმაც იშოვა ვარდი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილად კი არ არის ნათქვაში:

„რა ყვავი ვარდსა იშოვის,
თავი ბულბელი ჰგონია“....

სიცილი. გუგუნი. შეძახილები. ვაშა.

ზაქარია გურულმა გადახედა თავის ხუნხუზებს, მაგრამ წასისიანება ვერ გაბედა. ძალთა უთანასწორობა აშკარა იყო.

— მე ვამთავრებ, ამხანაგებო! თქვენ მოისმინეთ ყველა პარტიების აზრი და უნდა გადასჭრათ: ვინაა მართალი? ვის ემხრობით? უპირველესად თქვენ მოგმართავთ, ამხანაგო მუშებო! მინდა გაგახსენოთ ერთი ზღაპარი. იყვნენ მდევი და კაცი. ისინი გაიფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. იყო ერთი დედაბერიც. როცა მდევი და კაცი ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ, დედაბერი იქვე გაჩნდებოდა და კაცს ფეხებში წყალს უსხამდა, რომ ჭიდაობის დროს ფეხი დასხლტომოდა და წაქცეულიყო. მდევს კი, პირიქით, ფეხის მოსამაგრებლად ნაცარს უყრიდა ფეხებში. კაცმა უშვა მდევს ხელი, ეცა დედაბერს და მოჰკლა. კაცმა რომ დედაბერი მოიშორა თავიდან, ეცა მდევს, გამოჰკრა სარმა და ყირამალა გადააკოტრიალა. აი, ამხანაგო მუშებო, კაცი — ეს თქვენა ხართ, რომელსაც მდევის სახით გეჭიდავებათ და გებრძვით ბურჟუა-კაპიტალისტები. დედაბერი თვითმპყრობელობაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს ბურჟუაზიული პარტიები. აი, პირველყოვლისა ეს დედაბერი უნდა მოვსპოთ ძირბუდიანად და შემდეგ კი დავარტყათ ჩვენს მოსისხლე მტერს, ბურჟუა-კაპიტალისტებს. დავარტყათ ისე კი არა, რომ წელი აუთრიოთ. არა, თავი გაუჩეჩოთ, გავსრისოთ, რომ სამუდამოდ მოვსრათ მათი სინსილა. რომ მათ ნანგრევებზე, თქვენ, მუშებო, შექმნათ ახალი ქვეყანა!..

დიდხანს გრიალებდა ვაშა და ჰქუხდა აღტაცებული ხალხი. ხალხი რომ ოდნავ დაწყნარდა, თავმჯდომარემ მიმართა: — ვინა ხართ მეუმრავლესეთა მომხრე, გადადექით მარცხნით. მარცხნით გადაწვა დიდძალი ხალხი.

სტეპკო ინწკირველმა შთაგონებით უთხრა კომიტეტის წევრებს:

— ამხანაგებო, დღეს ჩვენ ვიყავით ისტორიულ მიტინგზე! ამიერიდან ჭიათურა მეუმრავლესეთა ციხე-ბურჯია... ეს ცეხე ამხანაგმა კობამ ააგო...

შავრაზმელები ფითელ სამოსელში

მდევის ზღაპარი ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს. პარტიათა შეჯახება ყველგან ხდებოდა, პარტიათა ბრძოლა აღელვებულ ზღვასავით ეხეთქებოდა ძველი ქვეყნის ნაპირებს. მთავარი ის იყო, ამ ბრძოლაში გადამწყვეტ დროს ვის გაჰყვებოდა ხალხი, რომელ პარტიას. მდევის ზღაპარმა ცხადჰყო, რომ საქართველოს მუშათა კლასის ღონიერი და ძლიერი ბურჯთაგანი—ჭიათურა — მეუმრავლესეთა ხელშია. ჩაფიქრდნენ მეუფიცირესენი. საჭირო იყო ამ ბურჯის მოშლა, რომ ბრძოლის მოედანი მეუმცირესეთ დარჩენოდათ. მაგრამ როგორ მოეშალათ? პირდაპირი ბრძოლა წააგეს. ხალხი არ გაჰყვა მათ. ჭიათურა რაა, სხვა ადგილებშიაც ჩაფიქრდნენ მდევის ზღაპარზე...

ზაქარია გურულმა არც აცია, არც აცხელა და შეადგინა „ხუნხუზების“ რაზმი, შეაიარაღა რაზმელები კეტებით, ხანჯლებით, მიუსია მეუმრავლესეებს. არგუმენტის როლი ტუკსა და ხანჯალს დაეკისრა.

კობა აღშფოთდა. მეუმრავლესეთა ჭიათურის ორგანიზაციაში გადაწყდა საგანგებო პროკლამაცია გამოეშვათ იდეური ბრძოლის დამახინჯების წინააღმდეგ. კომიტეტი ისე იყო აღშფოთებული, რომ სანამ კობა პროკლამაციას სწერდა, კომიტეტის წევრები არ დაიშალნენ. ისხდნენ და ელოდნენ. კომიტეტის წევრები ისეთის დაძაბვით და სულგანაბვით ელოდნენ, რომ მათ თითქოს ესმოდათ კიდეც მეორე ოთახში კობას კალმის იერიშები ქაღალდზე.

— თითქოს იმ ოთახში შვილი მებადება,—ჩაილაპარაკა გიორგიმ და გადახედა ამხანაგებს.

— მე კი ასე მგონია, თითქოს იმ ოთახში ხმალს სჭედავს ჩვენი კობა, — ჩაიჩურჩულა ჟელეზნიმ.

მაგრამ ჟელეზნის ჩურჩული არ გამოუვიდა. მას ბოხი ღონიერი ხმა ჰქონდა და ჩურჩულის ნაცვლად მაღალი ხმა გამოვიდა.

გაიცინეს და კიდევ დადუმდნენ. ფაცია გალდავა ღია ფანჯარასთან იდგა და ხელში ყვავილს ათამაშებდა. ის ფურცლავდა ყვავილს და რაფაზე აწყობდა. როცა დაწყობა გათავდა, გაიცინა. სტეპკომ თვალი შეავლო ფაციას ღიმილს და დახედა რაფას.

რაფაზე ყვავილის ფოთლებიდან გამოყვანილი იყო არცთუ ორი, არცთუ ერთი სიტყვა:

„ხალხი — კობა“...

კარი რომ გაიღო, ფაციამ ფოთლები აშალა და კობას მიაჩერდა. კობამ წერილი გაუწოდა.

— მზადაა! — სთქვა კობამ. — ახლა ფაციაზეა საქმე.

— წაგვიკითხე! წაგვიკითხე! — შემოეხვივნენ კობას.

კობამ დაიწყო:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რ. ს. დ. მ. პ.

„შავრაზმელები წითელ სამოსელში.

„ჭიათურელ უმცირესობის ზოგიერთ „ბელადთა“ აღვირახსნილობამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი, კიდევ ერთხელ გაქელეს მათ ტალახში ყოველივე პარტიული ზნეობა და გამო

ათოდ კი არ გაუზეპირებია, არამედ მთელი თავისი არსებით შეუ-სისხლხორცებია მისი დიდებული იდეალები, ვისაც ჩვენი წმინდა დროშის ჩირქმოცხება გულზე ნწვავე ჭრილობად დააჩნდება, ის გულგრილად არ შეხედავს ზემოთ მოყვანილ საზიზღრობას...

„ძველი წამსდარი საზოგადოების გახრწნილი ნაძირალნი. ძველს უნნეობაზე და მუშტის უფლებაზე აღზრდილნი; მკლავ-ძეები, რომლებმაც გუშინ არ იცოდნენ საღ გაქცეოღნენ სოციალ-დემოკრატიულ მხილებას, რომელ ბნელში შეეფარებინათ თავი... გონებითაც ისე ღატაკნი, როგორც ზნეობით, რომლებსაც არც ერთ ბურჟუაზიულ წრეშიაც კი არ მიიღებენ, — ღღეს ესეთი პი-რები სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ბელადობენ და თა-ვისი ძალ-მომრეობის მსხვერპლად სიმართლის გაგების მწყურ-ველ მუშას იხდიან! რა მიზანი აქვს მათ შესვლას მუშათა პარტია-ში? მსოლოდ ერთი — თავისი დაბალ გრძნობების ათამაშება, მხეცური ინსტიქტების ნავარდი და გარყვნილების გესლის შეტა-ნა მუშათა წრეში...

„ნუთუ, ამხანაგებო, ჩვენ გულხელდაკრეფილი ვუყურებთ ასეთ დაღუპვას და გათახსირებას ჩვენი პარტიისას? ყველას, ვისაც პროლეტარიატის სული უდგია, განურჩევლად მიმართულებისა, ვისაც პარტიულ უთანხმოებაში მხოლოდ სიმართლის კვლევა-ძიება აინტერესებს, მოგიწოდებთ: ზიზღი და პროტესტი გამოუცხადეთ ზევით აწერილ ძალმომრეობის მომქმედთ. განდევნეთ ეგენი თქვენი წრიდან და ნუ შეალახვინებთ ჩირქმოუცხებელს ჩვენს დროშას. ზიზღი წითელ სამოსელში გახვეულ შავრაზმელებს!

„ჟიათურის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისა“...

ბამბუკვრება

შუქიანი დილა იყო.

ვაგზალი სავსე იყო ხალხით. ყველგან იმედიანი თვალები, მო-ღიმარი სახეები. ხმამაღალი სიცილი.

არსად სჩანდა ჟანდარმი. არც ეპოლეტებიანი ვინმე. მით მა-გიერ შეიარაღებული სასალხო რაზმელები ამაყად იდგნენ ბა-ქანზე, წყობილებაში.

ამაყად თავაწეული მუშები ხალისით დასეირნობდნენ ბაქანზე. წითელი ბანტები მკერდზე, ქილებზე.

წითელი დროშა ვაგზალზე. ვაგონებზე.

ყვავილები. თაიგულები. მწიფე ხილი ხელიდან ხელში მოსაკითხი, მოსალოცი. არასოდეს უნახავს შავიქალაქის ვაგზალს ასეთი დილა.

ერთ ვაგონთან მხიარული სიცილი და ხალისიანი შეძახილები ისმოდა.

ამ ვაგონთან იდგა კობა და გარს შემოხვეოდნენ ფაცია, სტეპკო, პეტრე, გიორგი, ტარიელი, გუცა, „ელეზნი“.

— მაშ ასე, ამხანაგებო!—უთხრა კობამ გარსშემორტყმულ კოჰორტას. — ჩემს მაგივრად ორგანიზაციის ხელმძღვანელად ვტოვებ ამხ. მიშა დავითაშვილს.

და ხელი დაადო მხარზე შავ თმაწვერში ჩაფლულს ჭკვიანთვალებიან კაცს, გლეხურად რომ ეცვა და თუშური ქუდი რომ ეხურა.

— ღამეს არა ჰგავს? — გაიხუმრა სტეპკომ.—დავარქვათ მაგას „დაღამდა“.

— ხა... ხა... ხა... ზედ გამოჭრილია! — გაიცინეს და მიშას სიყვარულით და მალული მორიდებით შეხედეს.

იცოდნენ მისი დიდი და ღრმა მომზადება.

— მე კი „დრახინას“ ვეძახი, — სთქვა კობამ.—მაშ, ჩემო „დრახინ“, შენ იცი აქაურობა!

„დრახინამ“ გაიღიმა. თეთრმა კბილებმა ელვასავით გაელვეს შავ სახეზე.

მეორე ზარი რომ დაჰკრეს, სიცილი შესწყდა. გამცილებელთა თვალებში სევდა ჩამოწვა. ეძნელებოდათ საყვარელი მასწავლებლის დაშორება.

— მშვიდობით, ამხანაგებო!—და კობა ვაგონის ბაქანზე ავიდა.

ფაციამ წითელი ვარდების თაიგული გაუწოდა.

უცებ... ახ, ვინ მოაწყო ეს? სტეპკომ? მიშამ? თუ ყველამ ერთად?

სახალხო რაზმელებმა წყობილება გაშალეს მთელი ბაქნის სიგრძეზე. „ელეზნიმ“ განკარგულება გასცა:

— სმენა! სწორება პირდაპირ! სა-პა—ტიოდ!

სახალხო რაზმელებმა თოფი მოიმარჯვეს.

კობამ ხელი ჩაიქნია და ვაგონში შევიდა. ვაგონიდან მოადგა ფანჯარას.

დაჰკრეს მესამე ზარი.

ხალხი მოაწყდა რაზმელების მწყობრს და გაისმა გუგუნი:

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი“...

მატარებელი ბაქანს რომ გასცილდა, კობა დაჯდა. მოიხედა. სახალხო რაზმელების ათეული „ქელეზნის“ მეთაურობით კუპეში ჯდა. კობას ეოცა. „ქელეზნიმ“ მორცხვად გაუღიმა. გაიღიმა კობამაც.

მიხვდა: ხალხი იცავდა თავის ბელადს...

ბოლოსიტყვა

ამის შემდეგ ჭიათურა და მისი რაიონი ბოლშევიკების მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა. ჯერ 1905 წ. მათ მიიღეს აქტიური მონაწილეობა ალიხანოვის დამსჯელ რაზმთან ბრძოლაში, როგორც წიფაში, ისე სხვა ადგილებში (ზესტაფონი, შორაპანი და სხვ.). გაშმაგებული რეაქციის დროსაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ჭიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მაგალითად, 1913 წ. მოხდა დიდი გაფიცვა, რომელმაც სამ თვეს გასტანა. გუბერნატორიც კი გახდა იძულებული ჩამოსულიყო ჭიათურაში, მაგრამ დიდი ბელადის მიერ ფუძეჩაყრილმა ორგანიზაციამ თავისი გაიტანა, და გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

მართალია, მსოფლიო ომის დროს შესწყდა შავი ქვის წარმოება, მუშებიც დაიქსაქსნენ, დარჩა მათი მცირედი ნაწილი, მაგრამ ბოლშევიკური მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა, როგორც თვით ჭიათურაში, ისე ახლომახლო სოფლებში და თვით მთელს ყოფილ შორაპნის მაზრის გლეხთა შორის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ხელისუფლება მენშევიკებს ჩაუვარდათ ხელში და როგორც მოეპრიანებოდათ, ისე ანიავებდნენ სახალხო ქონებას.

„საშინელი იყო მაშინ ბოლშევიკების მდგომარეობა, — იგონებს ერთი ძველი მუშა, — მენშევიკები შეუბრალებლად სდევნიდნენ, ავიწროებდნენ და ატუსაღებდნენ ბოლშევიკებს და ბოლშევიკურად განწყობილ მუშა-გლეხებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სდევნიდნენ მხოლოდ ბოლშევიკებს, დანარჩენ პარტიებს კი ცივ ნიავსაც არ აკარებდნენ...“.

მხოლოდ დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამოისუნთქა თავისუფლად ხალხმა, და ჭიათურაც დაადგა დიდი სოციალისტური მშენებლობის ფართო გზას. ოდესღაც უდა-

ბნო ჭიათურა დღეს პატარა ქალაქთა რიგებში ერთი საუკეთესოდ მოწყობილ ქალაქთაგანია. გზები, ბაღები, ხიდები, განათება, კანალიზაცია, წყალსადენი, საავადმყოფო ბევრად უფრო გაუმჯობესებული და გაფართოებული, ვიდრე ოდესმე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სასწაელებლები, ტელეფონი, თეატრი, კინოს ახალი შენანიშნავი შენობა, სასაკლაო, აბანო და სხვა სამრეწველო და საცხოვრებელი შენობები ამშვენებენ დღევანდელ ჭიათურას. აგრეთვე თვით მაღაროებთან საცხოვრებელი სახლები, აბანოები, სასადილოები, კლუბები, სამკითხველოები, საჰაერო გზები, მექანიზირებული გვირაბები,—ეს ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების დროს მონაპოვარია.

და რაც ყველაზე უფრო ძვირფასია, ჭიათურის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გამოზარდა ჩვენი ქვეყნის სასახელო შვილის ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ძლიერი ბოლშევიკური კადრები სპეციალისტებისა და თანამედროვე ინტელიგენციისა. ესენი პირველ რიგში დგანან რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს შორის და მაღლა უპირავთ ძლევამოსილი დროშა ლენინ-სტალინის პარტიისა.



შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი პირველი

წინათ და ახლა	7
შავი ქვის აღმოჩენამდე	11
ვინ აღმოაჩინა შავი ქვა	15
ორი სიტყვა შავი ქვის მრეწველებზე	16
რკინიგზის გაყვანის შემდეგ. თეატრი	18
მეშა-ხელი	20
პირველი გაფიცვა	28

ნაწილი მეორე

ჩამოსვლა	32
ბრძოლა სწყურიათ	36
მატიანე	40
მახე	45
ათისთავი	48
განაწესი	50
პერევისა	51
ზრდა	82
სტამბა	86
პროკლამაცია	91
სალომეს ხანჯალი	94
ჭერეხი	98
ჩვენ და ტირილი?!	102
მდევის ზღაპარი	108
შავრაზმელები წითელ სამოსელში	121
გამგზავრება	123
პოლოსიტყვა	125